ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 21 სექტემბერი. № 38 (2766) გამოცემის 58-ე წელი, 1990 ფასი 20 კაპ.




დედავ ღვთისაო!
ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
სალმრთოდ მიილე სისხლი,
რომელ ამ ხალხს ულვრია,
ჩაგრულთ სასოო,
ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა,
ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა
კვლავ აღდგომისა.

ილია

დღეს ჩვენი ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესია, საქართველოს ქრისტიანობა აღნიშნავენ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობას — ღვთისმშობლობას.

# დავით და სერგო კლდიაშვილები 1924 წელს

**ლალი ავალიანი**

დავით კლდიაშვილს პროფესიით სამხედრო პირი გახლდათ. სამხედრო განათლებას, ხოლო შემდეგ რუსეთის იმპერიის არმიაში სამსახურს მან 30 წელზე მეტი შეალია. ეს იყო ჯერ ქართველი უმაწვილის შეგნებული გარუსების მცდელობა (კიევის სამხედრო გიმნაზიისა და მოსკოვის სამხედრო სასწავლებლის მესვეურთა მიერ), შემდეგ კი შფოთში, შეუნელებელ ალელვებაში გატარებული წლები, როცა მეფის არმიის „პაგონებით“ დამძიმებულ ოფიცერს — ამასთან, უზადო მოქალაქესა და დიდ ქართველ მწერალს ბეწვის ხიდზე უხდებოდა ხიარული: ერთის მხრივ, პირნათლად რომ მოეხადა სამსახურებრივი მოვალეობა (ამისათვის მას გასამრჯელოს უხდიდნენ!), მეორეს მხრივ — შეენარჩუნებინა და არ შეებღალა ადამიანური და ეროვნული ღირსება.

სიყრმიდანვე ჯერ მწერლობით, ხოლო შემდეგ კი „ქართვლის ბედით“ დაღდასმულ დავით კლდიაშვილს სხვაგვარად ესახებოდა მომავალი: „როგორც ორ წელიწადს სამხედრო სასწავლებელში ნამყოფს, მე უნდა მემსახურნა სამი წელიწადი, რის შემდეგ ვფიქრობდი სამხედრო სამსახურიდან გასვლას და სხვა დარგში მოწყობას, ვაპირებდი ჩემს გუნებაში საზღვარგარეთაც წასვლას“.

უსახსრობის გამო (კიევსა და მოსკოვში იგი სახელმწიფო ხარჯით იყო) დავით კლდიაშვილმა ვერ შეისრულა ნაოცნებარი; ხოლო შემდეგში კი, დაწვრილშვილებულს, როცა 1908 წელს უცერემონიოდ დაითხოვეს სამსახურიდან პოდპოლკოვნიკის ჩინით და მწირი პენსიით ცხოვრების სახსრის ძებნა მოუხდა.

„გათავდა ჩემი სამხედრო სამსახურიც. ეს არაფრად მაწუხებდა. სამწუხარო ის იყო მხოლოდ, რომ ჯანმრთელობა ძლიერ შემერყა“-ო — წერდა მოგვიანებით დავით კლდიაშვილი.

იგი მართლაც დაუნანებლად გამოეთხოვა სამხედრო სამსახურს, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ, 1915 წლისათვის, ხნეული და ჯანგატეხილი, 53 წლის მიტანებული ოსმალეთის ფრონტზე გაიწვიეს (პირველ მსოფლიო ომში ოფიცრები თურმე 54 წლამდე გაჰყავდათ).

დავით კლდიაშვილმა ბათუმში ისე იმსახურა, რომ არც მას და არც მის გუნდს თოფიც კი არ ჰქონდა გასროლილი, მაშინ, როცა ბათუმის ფილაქანი შინაური „მტრის“ სისხლით იყო მორწყული.

მოქმედ არმიაში მას „ღრმად შეზარდა ომი, სავსებით წარმოუდგა მისი საშინელება, მისგან ადამიანის წარმოუდგენელი გამხეცება“: დეგრადირებული არმია ლაზებით დასახლებულ ადგილებში ქვას ქვაზე არ ტოვებდა, დიდი და პატარა ცარცვა-გლეჯაზე, უაზრო ნგრევასა და ცეცხლის წაკიდებაზე იყო გადასული... ამას ისიც დაერთო, რომ ლაზების გამოსარჩლებისათვის პოდპოლკოვნიკ კლდიაშვილს საველე სასამართლო მოელოდა.

ბედმა გაუღიმა მწერალს: ნიკოლოზის გადადგომამ და დროებითი მთავრობის დაფუძნებამ იხსნა იგი დიდი ხიფათისაგან. აქ კი დავითმა წრფელი სიხარულით, საბოლოოდ დაუსვა ჯვარი თავის მოღვაწეობას რუსეთის არმიაში.

მაგრამ ვაი, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც გარკვეულ წრეებს მწარედ ჰქონდათ დამახსოვრებული მისი პოდპოლკოვნიკობაც და მისი გაუბზარავი ეროვნული მრწამსიც.

ახლა ბატონი სერგო კლდიაშვილის მონათხრობს გადმოგცემთ:

1924 წლის ზაფხულში დავით კლდიაშვილი ისვენებდა და მკურნალობდა ბორჯომში, სადაც დაგვიანებით ჩააღწია სახალხო აჯანყების ამბავმა. აჯანყება მალევე დიდი სისასტიკით ჩაახშეს, მაგრამ დავითს თავისიანებზე ფიქრი არ ასვენებდა. მან მიატოვა მკურნალობა და სიმონეთს მიაშურა. იმერეთშიც ამ დროისათვის აჯანყება ჩაეხშოთ და ბევრი მსხვერპლი, ბრალიანი და უბრალო, მოჰყოლოდა ამ ამბავს. ამბოხებას თურმე თავკაცობდა იქაური ალმასკომის თავმჯდომარე (!), და ამიტომაც ბევრი ადგილობრივი მცხოვრები დაუფიქრებლად აჰყვა მას. სერგო კლდიაშვილი ამ დროს ცოლითა და ჩვილი ქალიშვილით სიმონეთში იმყოფებოდა. მას, მშობლიურ სოფელში ცოლ-შვილით თავშეფარებულს, თავი საიმედო ადგილას ეგულებოდა.

დავითი ბოლო წლებში, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩამოშორებული იყო საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იმჟამადაც, ოჯახის კარგად ყოფნის ამბავის გარდა, მას არაფერი უტრიალებდა თავში. წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როცა უკვე „სამშვიდობოს გასული“ სადგურზევე დააპატიმრა ადგილობრივი მილიციის უფროსმა უკლებამ. მან, ცხარე პროტესტის მიუხედავად, იქვე სარდაფში შეაგდო „მეფის პოლკოვნიკი“. უხეშადაც მოექცა, ისე მძლავრად ჰკრა ხელი, რომ თავი კედელს მიანარცხებინა. ბედზე ეს ამბავი გაეგო ოფიცერ შალიკაშვილს, რომელმაც სასწრაფოდ შეატყობინა იქაური ჯარის ნაწილის მეთაურებს დიდი ქართველი მწერლის დაპატიმრების ამბავი. მათ, დიდი ყოყმანის შემდეგ, შეურაცხყოფილი და გულგახივებული, უკვე საკმაოდ შეხნიერებული დავითი დროებით სახლში გაუშვეს. უკლებას, მისი „გმირობის“ ამგვარი დასასრულით გაწბილებულს, დავითთან დაუქადნია, სახლისაკენ რომ მიიჩქარი, იქ შენი ვაჟი დაგხვდება, რომელიც ჩამოხრჩობის ღირსიაო!

საბოლოოდ განადგურებული დავითი სახლში მოსვლისთანავე მივარდნია ვაჟს — რა ჩაიდინე ამის ფასიო! შინაურებისათვის თავზარდამცემი და მოულოდნელი იყო ეს ამბავი, მაგრამ საფრთხე ორივე მამა-შვილს რომ ემუქრებოდა, ამაში კარგად გარკვეულან და ერთადერთ გამოსავლად მიუჩნევიათ ქუთაისში პარტიულ მუშაკთან ვალია ბახტაძესთან მისვლა, რომელიც აჯანყების ლიკვიდაციისათვის ყოფილა მივლინებული დასავლეთ საქართველოში.

შეშფოთებული და დაბნეული სერგო კლდიაშვილი შეღამებისას გამოსულა სახლიდან და ფეხით გასდგომია გზას. ქუთაისამდე ოციოდე კილომეტრი ჰქონდა გასავლელი. მიდიოდა ხან ტყით, ხან შარაგზით. რამდენჯერმე პატრულსაც გადააწყდა, მაგრამ შველოდა რედაქციის „იკლიკანტური“ წიგნაკი (მაშინ სერგო კლდიაშვილი თბილისის გაზეთ „მუშის“ რედაქციაში მუშაობდა), რომლის მეოხებითაც დაუბრკოლებლივ უშვებდნენ. შუაღამე კარგად გადასული იქნებოდა, როცა ერთ ნათესავს ესტუმრა. ნათესავმა გულღიად მიიღო, ნამგზავრს ჩაითაც გაუმასპინძლდა, მაგრამ როცა გაიგო მისი გასაჭირი; შეწუხდა და მობოდიშებით უთხრა: სერგო, ნუ გეწყინება, მაგრამ ხომ იცი, რა არეული დროა, მოდი, ჩემთან ნუ დაბინავდებიო. სერგო კი იმის მოლოდინში იყო, რომ გათენებამდე მოასვენებდა ნათესავი და მერე გასწევდა საქმეზე; ახლა კი იძულებული გახდა კვლავ ეძებნა თავშესაფარი. მეორე ნათესავი სახლში არ დახვდა, ცოლმა უთხრა — შტაბშია, ვალია ბახტაძესთანო. წამოვიდა იქიდანაც თავჩაქინდრული სერგო და სწორედ ამ დროს შემოხვდა შინისკენ მომავალი ნათესავი. იგი, ცოტა არ იყოს, ეჭვით შეხვდა სერგოს ნაამბობს მისი უდანაშაულობის შესახებ და უთხრა, ვალია ბახტაძესთან მთელი ღამე მუშაობდნენ და ახლა ისვენებენო; აჯანყების სალიკვიდაციო შტაბი ქუთაისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორის სახლშია, იქვე ბაღში რაიონებიდან ჩამოყვანილი პატიმრებია თავმოყრილი, მოპირდაპირე სახლში კი ვალია ბახტაძის რეზიდენციაა, ათასი კორდონით გარშემორტყმული და იქ შეღწევა მეტად ძნელიაო.

საგონებელში ჩავარდნილ სერგო კლდიაშვილს დაღლილობისაგან თავის მიდებისა და წათვლემის მეტი აღარაფერი სურდა. როგორც იქნა მოისაზრა, შეშვებოდა ნათესავებს და მეგობრებისათვის მიემართა: ამ დროს ქუთაისში იყვნენ ვალერიან გაფრინდაშვილი და კოლაუ ნადირაძე.

მივიდა სერგო კლდიაშვილი თავისი დარდითა და გაჭირვებით ვალერიანთან, მან დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი, კარგადაც მოასვენა და გამოაძინა. ამასობაში გათენდა კიდევაც და ვალერიანთან სტუმრად მოსულმა ოფიცერმა მიქაძემ სერგოს დახმარება და ვალია ბახტაძესთან შეხვედრა აღუთქვა. სერგოს ახლა მიქაძის მომქანცველი მოლოდინი მოუხდა, ვალერიანი ლექსებს უკითხავდა მას, ართობდა თავისი ჭკუით, მაგრამ შეშფოთებამ იმძლავრა და ძველებური თავშექცევა არ გამოუვიდათ.

როგორც იქნა, მიქაძეც გამოჩნდა და სერგომაც შეაღწია ვალია ბახტაძესთან. იგი (როგორც იმდროინდელ პარტიულ მუშაკთა უმრავლესობა) კრიტიკოსობდა კიდეც და ცხადია, კარგად იცნობდა კლდიაშვილებს. ვალია ბახტაძემ მაშინვე უთხრა სერგოს — დავითსა და მის მეუღლეს ხელსაც ვერავინ ახლებსო და შესაფერისი მოწმობაც მისცა; მაგრამო — იქნებ შენ კი იყავი ამ საქმეებში გარეული და ამისათვის მე პასუხს ვერ ვაგებო. გაგზავნა საწყალი სერგო კლდიაშვილი ჩეკისტ კუჭუხიძესთან. კუჭუხიძემ ერთხანს კი „აჭანჭყარა“ სერგო, მაგრამ რაც არ იცოდა, რას ათქმევინებდა. ბოლოს უთხრა, შენ აქ იყავი, მე ერთი წუთით გავალ და დამელოდეო. ელოდა სერგო, ელოდა კუჭუხიძეს; ხალხი მიდი-მოდის, ერთმა მკაცრად ჰკითხა კიდეც — აქ რას უზიხარო. ამასობაში მოსაღამოვდა. ბოლოს ერთმა უფლებამოსილმა პირმა ძლიერ დატუქსა კუჭუხიძის მომლოდინე: ვინ მოგცა აქ ჯდომის უფლება, კუჭუხიძე რა ხანია, წავიდაო. გააყოლეს კაცი სერგოს და ისიც ბაღში თავშეყრილ პატიმრებს მიუერთეს. აქაც დიდხანს უაზროდ იყო, ბოლოს, როგორ იქნა, გაუშვეს.

მივიდა ისევ სერგო თავის ნათესავთან, დავითის ხელშეუხებლობის ქაღალდი დაუტოვა; მიხვდა, რომ სოფელში მისი დაბრუნება აღარ შეიძლებოდა და ისევ ვალერიან გაფრინდაშვილს მიაშურა. სურდა იმ ღამითვე თბილისში დაბრუნება. ვალერიანთანვე მიაგნო სერგოს მისმა ცოლმა, რომელიც ჩვილი ბავშვით დილიდანვე გამოსდევნებოდა ქმარს და ნათესავებში კითხვა-კითხვით დაეძებდა.

დავითის ხელშეუხებლობის ქაღალდით დაიმედებულნი, ისინი გაემგზავრნენ თბილისში, სადაც სერგო რედაქციაში მუშაობას განაგრძობდა.

დავითი მართლაც აღარავის შეუწუხებია, თუმცა ამ ინციდენტმა ღრმა კვალი დააჩნია მის ისედაც მოშლილ ნერვულ სისტემას. დავითი მთლად განმარტოვდა, თავის თავში ჩაიკეტა; ამ წლებში დიდ მწერალს თითქმის არაფერი შეუქმნია. მისი აქტიური ნატურა გამოსავალს ვერ პოულობდა და ძველი ამბების გახსენებით-ღა იქარვებდა დარდს...

ეს ამბავი მომიყვა ბატონმა სერგო კლდიაშვილმა 1979 წლის 4 ივნისს, მონათხრობი ჩავიწერე იმ დღესვე, სამიოდე საათის შემდეგ; შეძლებისდაგვარად — მთხრობელის სტილის შენარჩუნებით.

ასე გაუხსენეს 1924 წელს ახალი ყაიდის სალდაფონებმა დიდ ქართველ მწერალს დავით კლდიაშვილს ძველი „ცოდვები“.

ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ გაზეთ „თბილისში“ ახლახან (26 აგვისტო, 1989 წელი) დასტამბულ აკაკი ხოხიაშვილის მოგონებაზე „სვირის სადგურში“, რომელიც 1924 წელს დავითის დაპატიმრების ეპიზოდს ეხება. მკითხველს, რომელსაც არ წაუკითხავს ზემოხსენებებული პატარა მოგონება, ვთავაზობთ ერთ ამონაწერს:

„1924 წელს დაიწყო ცნობილი გამოსვლები.. **მაგონდება ჩვენი სახლის წინ როგორ მოჰყავდათ უამრავი დაჭრილი და იქვე, მიწაზე ყრიდნენ, ახლაც ყურში მიდგას მათი ოხვრა-კვნესა.** ერთხელ ვხედავ, აივნის ქვემოდან, სადაც მილიციას „კუტუზკა“ ჰქონდა, მეძახის სამხედროფორმიანი კაცი: შვილო, შენ ვისი შვილი ხარო. სერგო ხოხიაშვილის-მეთქი ვუპასუხე. გაეხარდა, გაიღიმა და ამომძახა „უი, სიმონეთელი სერგოსი? შვილო, გაიქეცი, მამაშენს უთხარი აქ მოვიდეს და ერთი ხილი მნახოს“.

დავითთან გამოლაპარაკების შემდეგ სერგო ხოხიაშვილი მაშინვე მისულა მილიციის უფროსთან, სიმონეთელ ღვინეფაძესთან: „კაცო, ეს რა უქნიათ შენს მილიციელებს, იცი, ვინ დაუკავებიათ და ჩაუსვამს? ჩვენი ერის სიამაყე, ბატონი დავით კლდიაშვილი“... ამ ამბის გაგონებაზე ღვინეფაძეც შეწუხებულა, გამოუძახია მორიგე და უბრძანებია, დაკავებული მასთან მიეყვანათ.

დიდი ბოდიში მოუხდიათ ბატონი დავითისათვის — **მილიციელებს ვერ უცვნიათ და ამიტომ მომხდარა ეს გაუგებრობა.** გამოირკვა, დავითი თბილისიდან სიმონეთში მიდიოდა, თურმე.

...იმ დღეს ჩვენს სახლში **დიდი ზეიმი იყო, კარგი დრო გაატარეს**, შემდეგ მამამ ბატონ დავითს ცხენი და გამყოლი კაცი უშოვნა და **ნასიამოვნები მწერალი** სიმონეთს გაემგზავრა“.

ჩემს მიერ საგანგებოდ ხაზგასმული სიტყვები კიდევ უფრო ამძაფრებს განსხვავებას სერგო კლდიაშვილის მონათხრობთან. არ არის გამორიცხული, რომ ბატონ სერგოს ზოგიერთი გვარი კარგად არ ხსომებოდა; მაგრამ სხვა დანარჩენი?

აკაკი ხოხიაშვილის მონათხრობის ხელაღებით უარყოფა არ იქნებოდა ღირსეული საქციელი; მით უმეტეს, რომ მოგონების ავტორი მაშინ პატარა ბიჭი იყო და ბავშვის მეხსიერებაში დავანებულ ამბავს შეიძლება წლების მანძილზე (1924 წლის ზაფხულს 66 წელი გვაშორებს!) გვარიანი ცვლილება განეცადა. ეს ბუნებრივია. შესაძლოა, რომ სიმონეთელ სერგო ხოხიაშვილსა თუ ღვინეფაძესაც მიუძღოდეთ წვლილი დავითის განთავისუფლებაში. მაგრამ მაქვს სამიოდე, ჩემი აზრით, ანგარიშგასაწევი შენიშვნა:

1) 1917 წელს, მონარქიის დამხობის შემდეგ დავით კლდიაშვილი საბოლოოდ გამოეთხოვა სამხედრო სამსახურს. 1924 წელს ბორჯომში სამკურნალოდ მყოფს, რა თქმა უნდა, პოდპოლკოვნიკის მუნდირი არ ეცმებოდა. იქნებ, იმ გაჭირვების ჟამს, დავით კლდიაშვილს ზოგი რამ კი ეცვა ძველი გარდერობიდან, მაგრამ „სამხედროფორმიანი“ ნამდვილად არ იქნებოდა.

2) პატივცემული აკაკი ხოხიაშვილის ბავშვობისდროინდელი მოგონება ზედმეტად დამტკბარი და შელამაზებულია, ამიტომაც შეუძლებელია ზუსტად შეეფერებოდეს სინამდვილეს: დავით კლდიაშვილი ამაყი, ფიცხი, ყოველგვარი უსამართლობისა და უსინდისობის წინაშე უკმეხად მოურიდებელი გახლდათ. მისი „კუტუზკაში“ დამწყვდევა გაუგებრობა კი არა (როგორც ავტორი გადმოგვცემს), აღვირახსნილი, განუსჯელი თვითნებობის შედეგი იყო; შეუძლებელია, რომ დავითი ასეთი ოლიმპიური სიმშვიდით შეხვედროდა „კუტუზკაში“ უდანაშაულოდ ჩამწყვდევას და თანაც სად, თავის მშობლიურ კუთხეში!

3) აჯანყების ამბებით ისედაც უკიდურესად შეშფოთებულ, უკლებას მიერ სასტიკად შეურაცხყოფილ დავითს ხოხიაშვილებთან პურის ჭამისათვის და დროსტარებისათვის არ ეცალა; ანდა რა „დიდი ზეიმის“ დრო იყო სისხლის წვიმების დრო?

# შთამომავლობა არ გვაპატიებს

ისტორიისა და კულტურის ძეგლებს თავიანთი პირვანდელი ფუნქციები დაუბრუნდათ, ეკლესიები ამოქმედდნენ, იქ კვლავ გაისმა ლოცვა, ინთება სანთელი, მომრავლდა მრევლიც.

მცხეთის ჯვარზე მოსული კაცი თუ აქამდე ლამაზი ხედის სანახავად მოდიოდა, დღეს სანთლის ასანთებადაც ამოდის, რათა თავისი სავედრებელი ღმერთს შეავედროს. ეს ყველაფერი გულს ახარებს მაგრამ რამდენადაც თვითონ ჯვარია ჩვენი სულის მეოხი, იმდენად გულს მიკლავს მისი შემოგარენი. ჯვრიდან გადასახედი ვახსენე, მართლაც, არაჩვეულებრივია იქიდან დანახული მცხეთა და რამდენადაც თვალს გტაცებს იგი, იმდენად არ გინდა ქვევით დაიხედო, უსახური სამხედრო ყაზარმებისა და ლულა აშვერილი ტანკებისაგან გამოწვეული უსიამო გრძნობის გამო. ჯვრის შემოგარენი მართლაც დიდ გარდაქმნას, დიდ ყურადღებას მოითხოვს. გაყაყებულ გუბედ ქცეული ტბა კარგა ხანია მიგდებულია. არადა, მისი კეთილმოწყობა, წყლით შევსება განა რა ისეთი ძნელია. სამხედრო ნაწილის გადატანის შესახებ ერთხელ ტელევიზიითაც ითქვა, სულ მალე სხვაგან მივუჩენთ ბინასო, მაგრამ პირობა პირობად დარჩა, ტბის კეთილმოწყობაზეც იყო ლაპარაკი, მხოლოდ ლაპარაკი... როგორც ერთი, ისე მეორე საკითხის მოგვარება უსათუოდ გარკვეულ თანხებთან იქნება დაკავშირებული და მათთვის, ალბათ, ძნელად გამოიძებნება „გადასაყრელი“ ფული. სპონსორობა დღეს თანდათან იკრებს ძალას, და, ვინ იცის, იქნებ ჯვრის ტერიტორიას, მის გარემოსაც გამოუჩნდეს ვინმე ღვთისნიერი. რა თქმა უნდა, სამხედრო ნაწილის გადატანის ბედს მარტო სპონსორი ვერ გადაწყვეტს, აქ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს, მაგრამ ის, რისი გაკეთებაც რაიონის ადგილობრივ ხელმძღვანელობას, საექსკურსიო ბიუროებს (თბილისის და მცხეთის) შეუძლიათ, უნდა მოვთხოვოთ კიდეც, რათა დღემდე მოუგვარებელ პრობლემებს ახალი არ მივუმატოთ.

ვისაც ამ ბოლო დროს ჯვრისკენ მიმავალ გზაზე ერთი-ორჯერ უმგზავრია, შეამჩნევდა, რომ მარჯვენა მხარეს, ნორჩ ნაძვნარს ვილაც თანდათან მიწას აყრის, დღისით, მზისით, სპობს ვაივაგლახით ნახარებ ნერგებს, გამკითხავი არავინაა. მიწა ზაჰესის დასახლებიდან მოაქვთო, ამბობენ, ვილაც აქ აუზს აშენებსო. ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ ერთი საქმის გაკეთებით განა მეორე უნდა წავახდინოთ? გარდა ამისა, ჯვრისკენ მიმავალი მთელი გზის მარცხნივ და მარჯვნივ ჩამწკრივებული ნარგავები აჭრელებულია ჰინჰებით. ექსკურსანტებს „რელიგიურად“ განწყობილი გიდები ურჩევენ თავიანთი სანუკვარი ოცნებების განსახორციელებლად ხეებს ნაჭრები შეაბან. როგორ გგონიათ ამ ნაჭრებს შეხსნის ვინმე? რა თქმა უნდა, არა. წლების მანძილზე, ხანძარს, სიცხეს, გადარჩენილ ნარგავს ძირში ჰრიან. დღეს თუ არავინ არაფერს გვეუბნება, ხვალ შთამომავლობა არ გვაპატიებს განუკითხაობას.

**ნოდარ ჯანიაშვილი**

# ხატისა და სახატის გადარჩენისთვის

## ლენინი: „—ჩამოახრჩვეთ!“

მართლაც ასეა, ტაძრამდე მხოლოდ სიმართლის თქმა მიგვიყვანს. კმარა, რაც გვატყუეს, კმარა, რაც თავი მოვიტყუეთ. თუ მართლა „პერესტროიკაა“, მაშინ ახლა მაინც სიმართლე, მხოლოდ სიმართლე უნდა ვთქვათ მარქსზე, ენგელსზე, ლენინზე, სტალინზე, ხრუშჩოვზე, ბრეჟნევზე... გორბაჩოვზე, საერთოდ მარქსისტულ-ლენინურ კომუნისტურ პარტიაზე, „განვითარებულ სოციალიზმზე“, „მომწიფებულ სოციალიზმზე“, „ჰუმანურ სოციალიზმზე“, მოგონილი „სოციალიზმის“ მოგონილ „ძირითად ეკონომიკურ კანონზე“, საბჭოთა იმპერიის ადრინდელ და ახლანდელ პრაქტიკაზე. დიახ, უნდა ვთქვათ სიმართლე, უნდა ვთქვათ ის, რასაც ვფიქრობდით და ვერ ვამბობდით, უნდა ვთქვათ ის, რასაც ახლა ვფიქრობთ.

ბევრჯერ ითქვა და ახლა მე ვიმეორებ.

ქვეყნისა და ნებისმიერი საკომანდო პოსტის მეთაური, რომელიც დღესაც მარქს-ენგელს-ლენინს ვერ თმობს, კვლავაც ცდილობს იაროს ამ უტოპისტების გზით და სხვაც ატაროს ამ შარაზე, ხალხს სიკეთეს ვერ მოუტანს. რიგითი მოქალაქეც, რომელიც მარქსის, ენგელსის, ლენინის გზით მიმავალ დღევანდელ მეთაურს წინ წითელი დროშით მიუძღვის ან მას უკან მიჰყვება, პოტენციალურად იმ პროლეტარების პროტოტიპია, რომლებსაც პატრონნად მშრომელი გლეხების, პატრონნად მშრომელი მუშების, პატრონნად მოღვაწე ინტელიგენციის სისხლის სმა შერჩათ და მეტი არაფერი.

თავისი ხატისა და სახატის არმქონე მარქსისა და ენგელსის გზით მიმავალი მსოფლიო მასშტაბის დიქტატორის — ლენინის მიერ შექმნილი საბჭოთა იმპერია კარგა ხანია რღვევის პროცესშია, ლენინის გზით მიმავალი. სტალინისა და სტალინელების მიერ სისხლით შეკოწიწებული ევროპის სოციალისტური ბანაკი დაინგრა-დაიშალა, მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური პარტიის მიერ შობილი საბჭოთა იმპერიის პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კრიზისები საზოგადოების ცხოვრებას მსჭვალავენ, საბჭოური დიქტატურის სენით დაავადებულ და აქამდე ე. წ. სსრკ-ს მეგობრებად წოდებულ ქვეყნებში საბჭოთა იმპერიის ხელით შფოთი, არეულობა, „პროგრესული გადატრიალება“ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა... საბჭოთა იმპერიის კოლონიებმა გამოიღვიძა, გამოაღვიძა დაბეჩავებამ, უუფლებობამ, შიმშილმა, სიცივემ, ყაჩაღობამ, ძმათა სისხლის ღვრამ. დიახ, შეირხა, შეიძრა. ახლა ისინი ლენინის მიერ ძალმომრეობით შეკოწიწებული კავშირიდან გამოსაძრომ-გამოსავალ გზებს ეძებენ და ეს გველეშაპი — მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური პარტია, რომელმაც ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშივე გადაყლაპა ყველა ეროვნული პარტია, ახლა მისი ელიტა კვლავ ლენინისკენ იშვერს ხელებს, ლენინის შრომებში ეძებს გამოსავალს, ლენინისგან ელოდება ახალ რჩევა-დარიგებას, ლენინისგან, სწორედ იმ კაცისაგან, ვისი თეორიითა და პრაქტიკითაც სამოცდათორმეტი წელია შეძრწუნებულია, აბუნტებულია, აქოთებულია მთელი მსოფლიო, გაჩანაგებულია საბჭოეთის გლეხობა, მრავალგზის რეპრესირებულია ინტელიგენცია და ღვთისმსახურნიც.

არა გჯერათ?

თუ არ გჯერათ, წაიკითხეთ, კარგად წაიკითხეთ სკკპ XXVIII ყრილობაზე, აგრეთვე საკავშირო ალკკ XXI ყრილობაზე, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის, სკკპ გენერალური მდივნის, „პერესტროიკის“ მებაირახტრის მიხეილ გორბაჩოვის მიერ წარმოთქმული მოხსენება, წარმოთქმული სიტყვა. ამ უკანასკნელში შავით თეთრზე წერია:

„... წინააღმდეგობათა გამოსავალს ვეძებთ რევოლუციურ გარდაქმნათა გზებზე. რით დაგვეხმარებოდა დღეს ლენინი, რა შეგვიძლია ვისწავლოთ და რა უნდა ვისწავლოთ მისგან?“

ხედავთ, საბჭოეთის ხალხთა ცხოვრების „რევოლუციური გარდამქმნელი“ ლენინს თხოვს დახმარებას, მისგან დიქტატორულ განსწავლულობას არ სჭირდება და მის ნაშრომებში ქვეყნისა და მსოფლიოს ახლებურად ასარევ-დასარევ რეცეპტებს ეძებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის და სკკპ გენერალური მდივნის ამ სიტყვის ტექსტის პირველ ორას სტრიქონში ლენინი, ე. ი. სწორედ ის კაცი, საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე რომ დაამკვიდრა სისხლიანი პოლიტიკა, სისხლიანი მმართველობა, სისხლიანი რეპრესიები, ინტელიგენციის, საერთოდ განათლებულთა, მდიდართა, ღვთის მორწმუნეთა დახვრეტისა და ჩამოხრჩობის პრაქტიკა, იმედის ნიშნად ოცჯერაა ე. ი. ყოველ ათ სტრიქონში ერთჯერ მაინცაა ნახსენები. მეტისმეტია თუ არა, ახლა ეს მთავარი არაა. მთავარი ისაა, დაიჯერებს თუ არა დღეს ვინმე იმას, რაც ლენინის შესახებ საკავშირო ალკკ XXI ყრილობაზე, კიდევ მეტი, სკკპ XXVIII ყრილობაზე თქვა მიხეილ გორბაჩოვმა, და, მართლაც როგორ? როგორ უნდა დავიჯეროთ ის, რომ ლენინის პათოსი იყო არა ძალადობა, არამედ აღმშენებლობა; რომ ლენინმა გვიანდერძა სამოქალაქო მშვიდობის და არა სამოქალაქო ომის დაცვა; რომ ლენინიზმის თავი და თავია მშრომელ ადამიანთა და ხალხთა თავისუფალი და ნებაყოფლობითი ამხანაგური შეკავშირება; რომ ლენინის პლატფორმა იყო ჰუმანური დემოკრატიული სოციალიზმის პლატფორმა.

დღეს მარტო საბჭოეთში კი არა, საერთოდ მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში ვითომ დაიჯერებს ვინმე იმას, რომ ლენინის „მოძღვრება“ — ლენინის თხზულებათა ტომები უშველის ნიჩაბზე დადებულ კომუნისტურ მოძრაობას? რომ თითქოსდა აწი მაინც რაიმე სიკეთეს მოუტანს კაცობრიობას ლენინის იდეები სოციალიზმის, როგორც მშრომელ ადამიანთა საზოგადოების, როგორც დემოკრატიული წყობილების, მასების შემოქმედების შესახებ? საბჭოების ხელისუფლების, მმართველობის აპარატის გადაკეთების, მშრომელთა თვითმმართველობისა და ცენტრალიზმის შესახებ? გარდამავალი ეკონომიკის მრავალწყობილებისა და მასში საკუთრების ფორმების მრავალფეროვნების შესახებ? სოციალიზმის დროს ერების, სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის, ყველა ერისა და ეროვნების ადამიანთა თანასწორობის, მრავალეროვან ქვეყანაში ცხოვრების უნარის შესახებ? კაცობრიობის მიერ შექმნილი კულტურის მთელი სიმდიდრის დაუფლების, სოციალიზმის დროს კულტურისა და ადამიანთა ცხოვრების დონის ამაღლების შესახებ?

დაიჯერეთო — ამას ახლაც ახალგაზრდობას უკიჟინებენ, უკიჟინებენ, მაგრამ ახალგაზრდობა კი არა, ძველგაზრდობაც, საერთოდ ნებისმიერი ჭკუათმყოფელი მიხეილ გორბაჩოვის მოწოდებისა და რჩევის შესაბამისად მართლაც რომ უფრო ღრმად ჩაწვდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიასა და პრაქტიკას, ნახავს კია მასში რაიმე სამომავლოს, რაიმე დასაჯერებელს? დაიჯერებს ვინმე, რომ კერძო საკუთრების მოსპობამ, ღვთის მორწმუნეთა აოხრებამ, პროლეტარიატის დიქტატურამ საბჭოთა რუსეთსა და მის კოლონიებს, საერთოდ კაცობრიობას, რაიმე სიკეთე მოუტანა?

კი, ბატონო, გავიხსენოთ თუნდაც თუ რა არის დიქტატურა. ეს ხომ გაბატონებული კლასის ისეთი ძალაუფლებაა, რომელიც კანონით არ არის განსაზღვრული და, რომელიც უშუალოდ ძალას, ე. ი. ძალმომრეობას ემყარება. განა ლენინი თვითონ არ ამბობს „დიქტატურა ნიშნავს ... განუსაზღვრელ ძალაზე და არა კანონზე დამყარებულ ხელისუფლებას“-ო. ახლა გავიხსენოთ ისიც, თუ ვინღაა დიქტატორი. დიქტატორი არის შეუზღუდველი ძალაუფლებით აღჭურვილი ერთპიროვნული მმართველი. გავიხსენოთ ისიც თუ ვინღაა პროლეტარი. პროლეტარი არის ულარიბესი მოქალაქე, წარმოების საშუალებას მოკლებული მუშა, რომელსაც, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, საცხოვრებლად თავისი მარჯვენა აქვს და სხვა არაფერი.

ჰოდა, ასეთ ლატაკთა, უპოვართა, უსწავლელ-გაუნათლებელთა შეერთების, კიდევ მეტი, ქვეყანაში, ქვეყანაში კი არა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ასეთთა დიქტატურის მთავარი მქადაგებელი, მქადაგებელი კი არა, რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ასეთთა დიქტატურის დამმყარებელი იყო არა სხვა ვინმე, არამედ ლენინი, დიახ, ლენინი — პროლეტარიატის წინამძღოლი, პროლეტარიატის „დიდი ბელადი“, რომელმაც 1917 წლის ოქტომბრამდე მთელი თავისი სიცოცხლე შეალია პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების, აგრეთვე კერძო საკუთრების მოსპობის, ცოდნისა და სიმდიდრის მქონეთა განადგურებისა და სარწმუნოების უარყოფის „თეორიების“ შექმნას. ლენინი იყო ის კაცი, რომელმაც 1917 წელს რუსეთის იმპერიის ინტელიგენციას დაუპირისპირა პროლეტარიატი და პროლეტართა ბარბაროსული, ისტორიაში არნახული ძალმომრეობით მოსპო და ფიზიკურად გაანადგურა რუსების იმპერიის ბურჟუაზია, ამოწყვიტა მეფის ოჯახი; ლენინი იყო ის კაცი, რომელმაც მის მიერვე გაბრიყვებული, მისი მორჩილი, მისი ნების აღმსრულებელი პროლეტარები მეფის მთავრობის დამხობის პირველი დღიდანვე რომ გააცურა: ფაბრიკა-ქარხნები — მუშებსო, მიწა — გლეხებსო, რომ თქვა და მას შემდეგ დღემდე ფაბრიკა-ქარხნები მუშების, მიწა — გლეხებისა რომ ფაქტობრივად არც არასოდეს ყოფილა. ბრიყვებმა კი დაიჯერეს, და ვერ მიხვდნენ იმას რომ ის, რაც ყველას საკუთრებაა ერთის საკუთრება არ შეიძლება იყოს. ის, რაც ერთის საკუთრებაა, ყველას საკუთრება არ შეიძლება იყოს. კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის გზას არა, არ გაჰყვა ინგლისი, არ გაჰყვა გერმანია, არ გაჰყვა საფრანგეთი ... მარქსისა და ენგელსის უტოპია — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ ჭიუტად, ერთპიროვნულად მხოლოდ ლენინმა ჩაიხუტა და მსოფლიოს ქვეყანათა შორის თითქმის ყველაზე ულატაკეს ქვეყანაში — რუსეთში ლატაკებს მდიდრები სისხლის მორევში ამოახრჩობინა. სიმდიდრე, რაც ამ ისედაც ლატაკ ქვეყანაში იყო, ლენინმა მფლობელებს ჩამოართვა, განაზოგადა, განსაზოგადოებულის მოვლა-პატრონობის მართვა პროლეტარებს — მოჯამაგირეებს, ზარმაცებს, ლატაკებს, ბატისტვინა ადამიანებს, ქუჩა-ქუჩა მაწანწალებს მიანდო და, ბუნებრივია, ეს სიმდიდრეც სულ მალე გაჩანაგდა, გაპარტახდა და ლენინის ნაანდერძევი გზით მას შემდეგ დღემდე მიმავალმა საბჭოთა იმპერიამ და მისმა კოლონიებმა, კიდევ მეტი, ყველა იმ ქვეყანამაც, სადაც ლენინური იმპერიული ხელი ერია, სული ვერა და ვერ მოითქვა და მოიცვა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, ეკოლოგიურმა, ერთაშორისი ურთიერთობის კრიზისებმა. დიახ, ე. წ. მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური პარტიის ელიტის სამოცდათორმეტწლიანმა მაფიამ, კორუფციამ, რომელსაც სათავეში თავდაპირველად იდგა ლენინი, შემდეგ სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი და სხვა მავანნი, საბჭოთა იმპერიის ბრჭყალებში მოქცეულ ე. წ. „მოკავშირე“ სახელმწიფოებს სახელმწიფოებრიობა მოუსპო, ერები ერთმანეთში აღრია, ერთმანეთს გადაკიდა, გლეხური მეურნეობა გაანადგურა, სოფლად და ქალაქად ყაჩაღობა გააბატონა. ჰოდა, კომუნისტური მაფიობის ამ გრძელ პერიოდში ლენინის იდეების განუხრელად დამცველი კრემლი, სადაც საბჭოთა იმპერიის პირველ თავკაცად ლენინი იჯდა და, სადაც ახლა მისი „შვილთაშვილი“ მიხეილ გორბაჩოვი ზის და პრეზიდენტობს, მაფიოზობიდან თავის დასაღწევად, სახელმწიფოებრიობის აღსადგენად „მოკავშირე“ რესპუბლიკებში ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ტანკებით, ქვემეხებით, ქიმიური მომწამვლავი იარაღებით, ორლესური ნიჩბებით ახშობს.

რა, რა არ ხდება დღეს ლენინისეულ იმპერიაში, იმპერიაში, რომლის მმართველი წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდება, კიდევ მეტი, რომლის მმართველს ერთი ხელი კაპიტალისტური ქვეყნებისაკენ აქვს გაშვერილი, მეორე ხელი კაპიტალისტური ქვეყნების მტრისაკენ — ლენინისაკენ და, წარმოიდგინეთ წარმოუდგენელი რამ, იგი მართლაც წყალწაღებულივით ორივეს შველას თხოვს. წარმოიდგინეთ წარმოუდგენელი რამ: სისხლიანი დათრგუნვის უნიკალური გამოცდილების მქონე კრემლი თავისი ქვეყნის შიგნით კი არა, გარეთაც რაებს აკეთებს: ევროპის თითქმის ყველა მეზობელ ქვეყანაში ავტორიტარულ-ტოტალიტარული ტერორისტული რეჟიმის დამყარება არ იკმარა და უგუნური ფარული დიპლომატიითა და იარაღით მრავალ სხვა ქვეყანასაც მოუტანა შიმშილი, ჩამორჩენა და სილატაკე; კრემლმა, რომელიც ყოველთვის თვლიდა დიქტატორის რეჟიმს სოციალიზმის პრინციპების ხორცშესხმად, ეგვიპტის დიქტატორს ნასერს, აგრეთვე ალჟირის პირველ დიქტატორს ახმედ ბენ-ბელას და ზოგიერთ მათ მგზავრებს თავიანთ ქვეყნებში დიქტატორობისათვის სსრ კავშირის გმირის წოდება მიანიჭა; ავღანეთში ტრაგედია დატრიალდა — ისლამური ფანატიზმისათვის მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მორგება სცადა, ამ ულრანი ფეოდალური ქვეყნის პირდაპირ სოციალიზმის რელსებზე გადაყვანა მოინდომა და ამით შეძრწუნებული ხუთ მილიონამდე ავღანელი აიძულა მშობლიური კერა მიეტოვებია, ლტოლვილი გამხდარიყო, საბჭოთა არმიასთან ბრძოლაში სიკვდილს შეჭიდებოდა. კრემლმა ერაყელი დიქტატორებიც დაიმეგობრა, მათ 18 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების იარაღი — 4100 ტანკი, დიდძალი ჯავშანტექნიკა, დიდძალი ტაქტიკური და სხვა სახის რაკეტები, სატრანსპორტო ვერტმფრენები, საჰაერო თავდაცვის ათასი ქვემეხი, სამხედრო თვითმფრინავები და ვინ მოსთვლის კიდევ რა და რა არ უბოძა. სადამ ჰუსეინმა საბჭოთა მხედრიონის — ათასამდე საბჭოთა გენერლისა და ოფიცრის მიერ გაწვრთნილი და კრემლის წყალობით კბილებამდე შეიარაღებული მილიონნახევრიანი არმია შექმნა და ქუვეითის ტრაგედია დაატრიალა. როგორც სხვა მსგავსი ბოროტებისათვის, ერაყის ამჟამინდელი ყაჩაღობისათვისაც მორალური პასუხისმგებლობა საბჭოთა იმპერიის დღევანდელ მთავრობას ეკისრება, მთავრობას, რომელიც, როგორც ადრე, ახლაც იმკის ლენინური გზით თავის [illegible] გარეთაც ხელების [illegible] იმედებს“.

მაინც, [illegible], ვინაა ლენინი? მარტო თქვენ კი არა, ალბათ, დღეს მთელ მსოფლიოს აინტერესებს ლენინის პიროვნებაზე არა ჩემი, არამედ საბჭოთა იმპერიის დღევანდელი პრეზიდენტის შეხედულება. აი, ისიც, საკავშირო ალკკ XXI ყრილობაზე მიხეილ გორბაჩოვმა დელეგატებს უთხრა: ლენინი საოცრად თანამედროვეა და ამას თქვენ გაიგებთ, თუ ჩაუღრმავდებით ლენინის შრომებს, განსაკუთრებით სიცოცხლის ბოლო წლების ნაშრომების აზრსო. აქედან ისიც გასაგებია, თუ ვინ არის თვით მიხეილ გორბაჩოვი. იგი ლენინელია, ლენინის გზის გამგრძელებელია. ეს კი ასეა, მაგრამ ახალგაზრდებიც და ძველგაზრდებიც თუ დაუჯერებენ პრეზიდენტს და ერთხელ კიდევ ჩაუღრმავდებიან ლენინის, თუნდაც 1918-1922 წლების იმ ნაწერებს, რომლებიც უკვე შეტანილია მის თხზულებათა კრებულებში, მართლაც გაცილებით უკეთ, ვიდრე ადრე, დაინახავენ იმას კი არა, რასაც დაინახავთო, მიხეილ გორბაჩოვმა რომ უთხრა მათ, არამედ იმას, რომ კაცობრიობის ისტორიაში არნახული ტერორისტული და დესპოტური აქტები, ადამიანების, ერების დათრგუნვის ის ფორმები, ის ხერხები, რომლებსაც იყენებდნენ საბჭოთა იმპერიაში ლენინის სიცოცხლეშივე და ლენინის გარდაცვალების შემდეგ სტალინი და სტალინელები, რომ სტალინი ყოფილა ერთადერთი ერთგული ლენინელი, რომელმაც ლენინის გზით ლენინივით ჯიქურად იარა და, რომელიც ლენინისაგან ნასწავლი ჯალათური ხერხებით, ჯალათური ფორმებით სპობდა და ანადგურებდა ყველას, ვისაც არ სწამდა მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური პარტია, ვისაც არა სჯეროდა მარქსისტულ-ლენინური სოციალიზმისა, პროლეტარიატის დიქტატურისა, თვით მარქსისა, ენგელსისა, ლენინისა და სტალინისა.

დიახ, ლენინი ასეთი იყო. ამიტომაც ასეთი იყო მისი ერთგული მოწაფეც. არა გჯერათ? ვისაც არა გჯერათ, მაშინ დაუჯერეთ მიხეილ გორბაჩოვს და, როგორც ის გირჩევთ, აიღეთ ლენინის ბოლო წლების შრომები და ჩაუღრმავდით... დიახ, აიღეთ ვ. ი. ლენინის ნაშრომის სრული კრებულის მეხუთე რუსული გამოცემის ორმოცდამეათე ტომი. თქვენ ამ ტომის 106 გვერდზე წაიკითხავთ: „...უნდა წავახალისოთ მასობრივი-სახალხო ტერორი“, 142 გვერდზე — „...საჭიროა... სასწრაფოდ მასიური ტერორის გატარება, ჯარისკაცების, ყოფილი ოფიცრების და სხვათა გამლოთიებელი — ასობით მეძავის დახვრეტა. არც ერთი წუთი არ დაიკარგოს;“ იქვე — „უნდა ვიმოქმედოთ მთელი ძალით: მასიური ჩხრეკები, დახვრეტები — იარაღის შენახვისათვის. მენშევიკებისა და არასაიმედო პირთა მასიური გამოძახებები?“ 143-144 გვერდებზე — „ჩატარდეს უმოწყალო მასიური ტერორი კულაკების, მღვდლების, თეთრგვარდიელების წინააღმდეგ. საეჭვონი ჩაიკეტონ საკონცენტრაციო ბანაკებში ქალაქგარეთ“, 165 გვერდზე — „...დავხვრიტოთ შეთქმულები და მერყევნი ყველგან დაუკითხავად, ზედმეტი, იდიოტური გაჭიანურების დაუშვებლად;“ 219 გვერდზე — „მთელი ძალა იხმარეთ, რომ დაიჭიროთ და დახვრიტოთ ასტრახანელი სპეკულიანტები და მექრთამეები. ამ ნაძირალებს ისე უნდა გაუსწორდეთ, რომ წლების შემდეგაც ახსოვდეთ“. ახლა აიღეთ ვ. ი. ლენინის თხზულებათა ორმოცდამეთერთმეტე ტომი. ამ ტომის მეოცე გვერდზე წაიკითხავთ — „ჩამოახრჩვეთ: 1. სახკომსაბჭოსა და თავდაცვის საბჭოს სამდივნოები, 2. სურსათის კომისარიატი; 3. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი; 4. სამხედრო კომისარიატი. უაზრო გაჭიანურებისა და დაგვიანებისათვის;“ 184 გვერდზე — „დახვრეტით დაემუქრეთ იმ დაუდევარს, ვისაც, განაგებს რა კავშირგაბმულობას, არ შეუძლია

(დასასრული მე-4 გვ.)

(დასასრული)

მოგვცეს კარგი გამაძლიერებელი და უზრუნველყოს თქვენი სატელეფონო კავშირი ჩემთან;“ 216 გვერდზე — „თუ არ იქნება მიღებული საგანგებო ზომები, მე პირადად მოვახდენ თავდაცვის საბჭოსა და ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ პირთა არა მხოლოდ დაპატიმრებას, არამედ დახვრეტასაც.“ ვ. ი. ლენინის თხზულებათა ორმოცდამეთოთხმეტე ტომიც გადაფურცლეთ. ამ ტომის 144 გვერდზე წაიკითხავთ — „რევტრიბუნალების საჯაროობა უკვე საჭირო არ არის... გაძლიერდეს რეპრესიების სისწრაფე და ძალა;“ 149 გვერდზე — „ახლა საქმე მხოლოდ ტექნიკურ ზომებშია, რომლებიც დააჩქარებს ჩვენს სასამართლოებს, მენშევიკების წინააღმდეგ რეპრესიებს?“ 160 გვერდზე — „ ხომ არ სძინავს ჩვენთან „ნკიუსტს“ (იუსტიციის სახალხო კომისარიატს)? აქ საჭიროა რიგი საჩვენებელი პროცესებისა, მხეცურ წამებათა გამოყენებით. „ნკიუტს“ ალბათ, არ ესმის, რომ ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ითხოვს ახალ მძვინვარე დასჯათა ახალ ხერხებს“.

კიდევ მეტი, დააკვირდით ლენინი მოლოტოვს 1922 წლის 10 ნოემბერს რას წერს: „...განვახორციელოთ საეკლესიო განძეულობათა ამოღება ყველაზე გააფთრებული და დაუნდობელი ენერგიით, უკან არ დავიხიოთ ნებისმიერი წინააღმდეგობების ჩასახშობად... ჩვენ სწორედ ახლა უნდა გავუმართოთ შავრაზმელ სამღვდელოებას გადამწყვეტი და დაუნდობელი ბრძოლა და ჩავახშოთ მათი წინააღმდეგობა ისეთი სისასტიკით, რათა მათ არ დაივიწყონ ეს ამბავი ათეული წლის მანძილზე; პარტიის ყრილობაზე მოეწყოს ყველა, ან თითქმის ყველა დელეგატის საიდუმლო თათბირი... თათბირზე მივაღებინოთ ყრილობის საიდუმლო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ განძეულობის ამოღება, განსაკუთრებით ყველაზე მდიდარ ლავრებიდან, მონასტრებიდან და ეკლესიებიდან, ჩატარდეს დაუნდობელი მოქმედებით, ისე, რომ არაფერს მოვერიდოთ, და ავასრულოთ კიდევაც უმოკლეს ვადაში. ამ საბაბით, რაც უფრო მეტ ბურჟუაზიასა და რეაქციული სამღვდელოების წარმომადგენელს დავხვრეტთ, მით უკეთესი“.

ეს, რაც აქ თქვენ ლენინის თხზულებებიდან წაიკითხეთ, გეთანხმებით, ძნელი კია დაიჯეროთ... ლენინის ასეთ საპროგრამო ნაწერებს, მარტო ნაწერებს კი არა, პრაქტიკაში ამ ნაწერების მიხედვით, მოქმედებასაც საბჭოეთში სისტემური ხასიათი ჰქონდა. ის, რაც, აქ ჩვენ ლენინის თხზულებებიდან მოვიტანეთ, ზღვაში წვეთის მსგავსია.

მართლაც, ვინც კი ლენინის 1918-1922 წლების ნაშრომებს ჩაუჯდება და ჩაუღრმავდება, დაინახავს უთვალავ მსგავს ფაქტს, დაინახავს იმას კი არა, რაც პრეზიდენტმა ხმამაღლა უთხრა საბჭოეთის მოსახლეობას, მთელი მსოფლიოს ხალხს, არამედ დაინახავს კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახულ ჯალათს, რომელსაც ქვეყნის სამართავი სადავეები ხელში უპყრია და ჯალათ ხელქვეითებს მოუწოდებს, მოუწოდებს კი არა, პირდაპირ განკარგულებას აძლევს ადამიანები მხეცურად აწამონ, ადამიანები მძვინვარედ დასაჯონ, ჩაატარონ მასობრივ-სანახაობრივი ტერორი, ჩაატარონ მასობრივი ჩხრეკა-გამოძახებები, ჩაატარონ უმოწყალო, მასიური რეპრესიები, ჩაატარონ ადამიანთა მასიური ჩამოხრჩობები. კიდევ მეტი. ვინც კიდევ და კიდევ უფრო მეტად ჩაუღრმავდება ლენინის 1918 წლისა და შემდგომი წლების ნაშრომებს, მათში აშკარად დაინახავს კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახულ დიქტატორს, რომელიც განკარგულებებს იძლევა, ჩამოახრჩონ თვით მის მიერვე შექმნილი სახკომსაბჭოსა და თავდაცვის საბჭოს სამდივნოები, სურსათის კომისარიატი, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი, სამხედრო კომისარიატი. ამასაც არ ჯერდება და კიდევ უფრო ხმამაღლა, საქვეყნოდ ყვირის: თუ არ იქნება მიღებული საგანგებო ზომები, მე პირადად, მოვახდენ თავდაცვის საბჭოსა და ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ პირთა არა მხოლოდ დაპატიმრებას, არამედ დახვრეტასაც.

ყოველივე ამის შემდეგ, მართლაც რა ვქნათ? მაინც დავიჯეროთ, რომ სტალინი ლენინის მოწაფე არ იყო, რომ სტალინი თვითნასწავლი ჯალათი იყო? დავიჯეროთ, რომ ჯალათობაში სტალინმა ლენინს გაასწრო, რომ ლენინი მამა აბრამის ბატკანი იყო, ხოლო სტალინი მამა აბრამის ბატკანს ჩასაფრებული დაყურადებული მგელი? ლენინი და სტალინი დღეს თანაბარ მდგომარეობაში არაა. ლენინს მთელი რუსეთი იცავს, სტალინს არც არავინ — საქართველოც კი არა. სტალინის არქივის ყველა კარადა ღიაა და ის, რაც გამოქვეყნებულია, და გამომზეურებულია, ლენინის არქივის კარადების კარები კი ჯერ კიდევ დახშულია, სპეცორგანოების მიერ დაცულია და სტალინის კარადების კარებივით თუ გაიღო, ლენინის სისხლიანი ხელებით ნაწერებიდან, ვინ იცის, კიდევ და კიდევ რამდენი დღემდე ჩვენთვის უცნობი დახვრეტების, ჩამოხრჩობების, მხეცური წამებების, უსასტიკესი რეპრესიების საიდუმლოებებს აეხდება ფარდა და, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამით ის მაინც გაკეთდება, რომ შემდგომი თაობები დღევანდელ თაობას ნამდვილად არ დაადანაშაულებენ ლენინის ძეგლების ალებაში, ლენინის ძეგლების დანგრევაში.

ჰოდა, როდემდე ვუსმინოთ სიცრუეს? დღეს, დღეს მაინც, საბჭოთა იმპერიის სულის ლაფვისას, მაინც არა ვთქვათ სიმართლე? ვთქვათ, ხმამაღლა ვთქვათ ყველას გასაგონად: საბჭოთა იმპერია სისხლით, დიახ, სისხლით შექმნა ლენინმა, საბჭოთა იმპერიას მარქსიზმის იდეებით და სისხლიანი ხელით მართავდა ჯერ თვით ლენინი, ლენინის სიკვდილის შემდეგ, ლენინის იდეებითა და სისხლიანი ხელით — სტალინი. შემდეგ ბრმად, აშკარად ბრმად, სტალინიდან აღებული ინერციით — ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, ანდროპოვი, ჩერნენკო. ახლა — „პერესტროიკის“ პერიოდშიც მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის სამოსელში გახვეული და მათ მსგავსად სიტყვით ერთის მთქმელი, საქმით მეორის გამკეთებელი გორბაჩოვი. ჩამოთვლილი უზურპატორები გვეუბნებოდნენ: ძალაუფლება საბჭოებს — ძალაუფლება საბჭოებს არც არასოდეს ჰქონიათ; მიწა გლეხებს — მიწა გლეხებს არც არასოდეს ჰქონიათ; ფაბრიკა-ქარხნები მუშებს — ფაბრიკა-ქარხნები მუშებისა არც არასოდეს ყოფილა; სსრ კავშირი ნებაყოფლობით შეიქმნაო — სსრ კავშირი ნებაყოფლობით არ შექმნილა; სსრ კავშირში შემავალი რესპუბლიკები სუვერენული რესპუბლიკებიაო — მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენული არც არასოდეს ყოფილა; მოკავშირე რესპუბლიკებს აქვთ სსრ კავშირის შემადგენლობიდან გასვლის უფლებაო — მოკავშირე რესპუბლიკებს ეს უფლება არც არასოდეს ჰქონიათ; გლეხური მეურნეობის დაშლა და კოლმეურნეობების შექმნა ხალხის ნება-სურვილით მოხდაო — გლეხური მეურნეობის დაშლა და კოლმეურნეობების შექმნა ხალხის ნება-სურვილით არ მომხდარა, საბჭოთა და პარტიული ორგანოების არჩევნები ტარდებაო — საბჭოთა და პარტიული ორგანოების ჭეშმარიტი არჩევნები არც არასოდეს მომხდარა, არჩევნები ფიქტიური იყო, ზემოდან დიქტატით დანიშვნა — რეალობაა. ასე იყო გასული სამოცდათორმეტი წლის განმავლობაში, ასეა ახლაც. ასეთია გორბაჩოვიც. სხვა თუ არა, ის ხომ გახსოვთ, მსოფლიოს ხალხთა გასაგონად ხმამაღლა რომ თქვა: ლუკიანოვს, რომელიც მისი მარჯვენა ხელია, სამი თუ ოთხიოდ წელია ვიცნობო და თურმე სტუდენტობის წლებიდან იცნობდა, იმ დროს ლუკიანოვი კომკავშირის კომიტეტის მდივანი ყოფილა, გორბაჩოვი — მისი მოადგილე. თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის თაობაზე, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა არ მიმიღიაო და ფაქტიურად ის, რაც მოხდა, მისი დიქტატით განხორციელებულა. რამდენი დავასახელოთ. ასეთი ფაქტებით რომ არის აღსავსე საბჭოეთის ცხოვრების ნებისმიერი მხარის სტატისტიკა — ეს განა თქვენ ყველამ ჩემზე უკეთ არ იცით?

მერდა, ვის, ბოლოსდაბოლოს, ვის ვენდოთ ამ დუნიაზე? მარქსისტულ-ლენინური პარტიის რაიკომის მდივნიდან დაწყებული გენერალური მდივნით დამთავრებული, ყველა, უკლებლივ ყველა, რომ ცრუობდა და ცრუობს საბჭოთა იმპერიაში? ვხედავდით შავს და გვიმტკიცებდნენ თეთრიაო; ვხედავდით გულმართალ მამულიშვილებს — გვიმტკიცებდნენ ხალხის მტრებიაო; ვხედავდით საბჭოეთის მმართველთა ელიტის მაფიას, კორუფციას, მექრთამეობას, ყაჩაღობას, ტერორისტობას — გვიმტკიცებდნენ ასეთნი მხოლოდ კაპიტალისტურ ქვეყნებშიაო; ვხედავდით საბჭოეთის ხალხთა სილატაკეს, სიდუხჭირეს — გვიმტკიცებდნენ კაპიტალიზმი ლპებაო... დიახ, ვხედავდით საბჭოთა იმპერიის სხვა ბოროტებასაც, სხვა უბედურებასაც, ვხედავდით, ვხედავდით, განა არა ვხედავდით? მაგრამ ყველა ჩვენთაგანს პირზე კრემლის ხუკის ლაგამი გვქონდა ამოდებული და დაშინებულდაბეჩავებულნი სიმართლის თქმას ვერ ვბედავდით.

ახლა, თუ გამოვიღვიძეთ, გონს თუ მოვედით და თუ მართლა ეროვნული მოძრაობის ჯარისკაცები ვართ და თუ თავს ვთვლით საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ლაშქართა წევრად, მაშინ სიმართლე ყველა ჩვენთაგანმა რატომ არ უნდა ვთქვათ? სხვა გზა ტაძრამდე ვერ მიგვიყვანს, საბჭოთა იმპერიის სენით დაავადებულებს, დაბეჩავებულებს მხოლოდ სიმართლე განგვკურნავს. ჰოდა, ვთქვათ, დღეს მაინც ვთქვათ მარქსი ვინ იყო, ენგელსი ვინ იყო, ლენინი ვინ იყო, სტალინი ვინ იყო, ხრუშჩოვი ვინ იყო, ბრეჟნევი ვინ იყო, ანდროპოვი ვინ იყო, ჩერნენკო ვინ იყო. ვთქვათ პირდაპირ, ხმამაღლა ვთქვათ დღევანდელი საბჭოთა იმპერიის პრეზიდენტიც ვინცაა, რისი მაქნისია, რისი გამკეთებელია: მარტო სტალინის დაგმობა ქვეყანას დაღუპვისაგან ვერ გადაარჩენს, ჯერ მარქსიზმი და ლენინიზმი უნდა უარვყოთ, დავგმოთ, შემდეგ სტალინიზმი და კიდევ შემდეგ ყველა იმათი საქმიანობაც, ვინც კი სტალინის შემდეგ დღემდე ბოგინობდნენ და ბოგინობენ ახლაც კრემლში. ვთქვათ, რატომ, რატომ არ ვამბობთ ხმამაღლა და ყველას გასაგონად იმასაც, რომ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის იდეებით სიარული კაცობრიობას არასოდეს გამოდგომია და არც არასოდეს გამოადგება, რომ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის თეორიამ და პრაქტიკამ კაცობრიობას აურაცხელი მატერიალური და სულიერი ზარალი მიაყენა, მიაყენა ისეთი ჭრილობაც, რომლის მოშუშებას საუკუნეები დასჭირდება.

ამიტომაა, დიახ, ნამდვილად მხოლოდ ამიტომაა, რომ მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანაში ხალხს კარგახანია, კარგახანია, კი არა, დიდიხანია არ უნდა მარქსიზმი, არ უნდა ლენინიზმი, არ უნდა სტალინიზმი, არ უნდა მსოფლიო და შიდასაქვეყნო მეურნეობრიობათა ლენინური მართვა, არ უნდა საბჭოთა იმპერიის მონობაში ყოფნა. და თუ არ უნდა ერთიც, მეორეც, მესამეც... და მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური პარტიის მიერ თავზე მოხვეული ათასი სხვა უბედურებაც ,მაშინ კრემლში მოკალათებულ დიქტატორთა დიქტატით მოქმედ ასეთ პარტიაზე ბოლოსდაბოლოს ჩვენ ხომ ხელი უნდა ავიღოთ. ახლა კმარა მარტო იმის თქმა, რომ „ხატია ჩემი სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა“-ო. ამ ხატისა და სახატის კეთილი დღისათვის ერთხელ და სამუდამოდ მტკიცე უარი უნდა ვთქვათ ნებისმიერ არაეროვნულ პარტიაზე. ხალხის ნება უნდა აღსრულდეს. ვინც კვლავაც შეეცდება, ერს წაართვას მამული, ენა, სარწმუნოება, თავიდან დროულად უნდა მოვიცილოთ. ერთად და ყველამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რათა მწვანე გზა მივცეთ ეროვნულ მოძრაობას — საბჭოთა იმპერიის ხახიდან კოლონიების განთავისუფლებას.

**ალექსანდრე კუჭუხიძე**
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

# ანატოლი სობჩაკი — ლენინგრადის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე

ლენინგრადის საქალაქო საბჭოს სესიამ ლენინგრადის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია სსრკ სახალხო დეპუტატი, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ანატოლი სობჩაკი; არჩევნების შემდეგ ა. სობჩაკმა „ინტერფაქსის“ კორესპონდენტთან ვ. ტერეხოვთან მიცემულ ინტერვიუში თქვა:

**— ლენინგრადის საქალაქო საბჭოს წინაშე დგას პრობლემები, როგორც პოლიტიკური ურთიერთობის, ისე ქალაქის ეკონომიკური განვითარების სფეროში. ჩვენთვის აუცილებელია, რათა ლენინგრადის ქალაქის საბჭოს ფარგლებისათვის შევიმუშაოთ მრავალპარტიული სისტემის მოდელი. ლენინგრადის საქალაქო საბჭოში უკვე დღეისათვის მოქმედებს შვიდი სხვადასხვა მიმდინარეობა, კომუნისტურიდან მოკიდებული ანტიკომუნისტურამდე. ამიტომაც დღეისათვის საჭიროა მივაგნოთ თანამშრომლობის ისეთ სისტემას, რომ ყველა მიმდინარეობამ გააერთიანოს თავისი ძალ-ღონე ქალაქის პრობლემების გადასაწყვეტად.**

**მეორე, უნდა ყოველნაირად ვეცადოთ, რათა ქალაქში შევქმნათ საბაზრო ეკონომიკის რეალურად მოქმედი მოდელი. ლენინგრადი, ჩემი აზრით, საამისოდ იდეალურ პოლიგონს წარმოადგენს. ჩვენ გვჭირდება ხელ-ფეხის გახსნა, რათა თვითონვე ვიშოვოთ ფული და ჩვენვე შეგვეძლოს მისი მოხმარება. უპირველეს ყოვლისა, უნდა მივაღწიოთ ლენინგრადის რეგიონის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას.**

**ტურიზმის განვითარებით შეგვიძლია დიდძალი ფული ვიშოვოთ. მარტო საგამომცემლო მოღვაწეობამ — ბროშურებისა და ლენინგრადის ხედებით ღია ბარათების გამოცემამ — შეიძლება მილიონობით შემოსავალი მოგვიტანოს.**

**მცირე მნიშვნელობა არ ექნება საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფონდების გონივრულ გამოყენებასაც. მე ვფიქრობ, რომ ცალკეული შენობები, განსაკუთრებით, ქალაქის ცენტრში, კონკურსის შედეგად, შეიძლება არენდით გავცეთ. მაგრამ უნდა გავცეთ არა იმიტომ, რომ უბრალოდ ფული ვიშოვოთ, არამედ უნდა გავცეთ იმ კოოპერატორებსა და სახელმწიფო არენდატორებზე, რომელთა მოღვაწეობა აუცილებელია ქალაქისათვის, ლენინგრადის პორტიც საკმაო ფულს მოგვიტანს. ეს საშუალებას მოგვცემს, ვიზრუნოთ ეკოლოგიური საკითხის გადაჭრაზე. ჯებირმა, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფს ზღვასა და ყურეს, ლენინგრადი ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიიყვანა.**

— ქალაქში განვითარებულია სამხედრო მრეწველობა, მაგრამ ეს საწარმოები თქვენ არ გექვემდებარებათ. რა ღონისძიების გატარებას აპირებთ?

**— ყველა ეს ქარხანა ქალაქის მიწაზე იმყოფება და მის ინფრასტრუქტურაში შედის. ამიტომ, მე ვფიქრობ, მოვნახავთ სამხედროებთან მოლაპარაკების გზებს. ჩვენი მიზანია — ლენინგრადი სამხედრო-სამრეწველო წარმოების ცენტრიდან გადავაქციოთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მსოფლიო კულტურის ცენტრად.**

— თქვენ და ლენინგრადის სკკპ საოლქო კომიტეტისა და ქალაქკომის პირველი მდივანი ბორის გიდასპოვი სხვადასხვა პოლიტიკურ პოზიციებზე დგახართ. ეს ხელს არ შეგიშლით მოღვაწეობაში?

**— მე არ ვისურვებდი არავითარ კონფრონტაციას. ქალაქს კონფრონტაცია კი არა, თანამშრომლობა სჭირდება. მაგრამ თუ თანამშრომლობის მიღწევა არ მოხერხდა და რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაცია არ მოისურვებს საბჭოების ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, მაშინ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რით მთავრდებოდა ეს ჩვენს ისტორიაში. ქალაქში იქნება მხოლოდ ერთი — საბჭოების ხელისუფლება.**

— პარტიის საოლქო კომიტეტი იმყოფება „სმოლნის“ სასახლის კომპლექსში. თქვენ განზრახული გაქვთ ორგანიზაციას მთელი შენობა ჩამოართვათ. რას აპირებთ, როგორ უნდა მოიქცეთ ამ შემთხვევაში?

**— ვის უნდა ეკუთვნოდეს სმოლნი? ეს დამოკიდებულია სმოლნის ამჟამინდელ მობინადრეებზე. ყველაფრისათვის, რაც ქალაქსა და სახელმწიფოს ეკუთვნის, საფასურს უნდა იხდიდნენ. და თუკი მათ ძალა მოსდევთ საამისო, რომ არქიტექტურის ასეთი ძეგლის სარგებლობისათვის გადაიხადონ ის საარენდო ღირებულების განაკვეთი, რასაც ჩვენ დავაწესებთ, მაშინ, კი ბატონო, შეუძლიათ დარჩნენ იქ. მაგრამ საბოლოოდ მაინც ლენინგრადის ქალაქის საბჭო გადაწყვეტს, როგორ მიიჩნევს უკეთესად და როგორ გამოიყენებს ამა თუ იმ შენობას, სახლს. ამჟამად, მრავალ პარტიულ ორგანოს ლენინგრადის საუკეთესო სახახლეები და ბინები უკავია. საჭიროა თუ არა ასე გაგრძელება? ეგებ როგორც იდეოლოგიური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, პარტიის მიერ სახახლეების არენდით აღება არც თუ ისე გონივრულია?**

— სკკპ-ში შინაგანი რთული პროცესები მიმდინარეობს. ზოგიერთი ცნობილი მოღვაწე პარტიის რიგებს ტოვებს. როგორია თქვენი გეგმები პარტიასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით?

**— ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება სკკპ. ამას კი გვიჩვენებს პარტიის XXVIII ყრილობა. პარტიაში დარჩენა მემარჯვენე კონსერვატორებთან არა მსურს. ეს არა თუ უიმედო რამაა, ეს იმას ნიშნავს, რომ თავიც მოიტყუო და მოატყუო ხალხიც. თუ კი მომავალ ყრილობაზე დემოკრატები უმცირესობაში აღმოჩნდებიან და იძულებულნი გახდებიან დატოვონ პარტია, მაშინ მეც დავტოვებ სკკპ-ის რიგებს.**

**ამასთან, ჩემი აზრით, რეგიონის, რესპუბლიკის, და თვით ქვეყნის ხელმძღვანელიც კი დღეს უპარტიო უნდა იყოს.**

„არგუმენტი ი ფაკტი“, 1990, № 23.

# მამულისა ჩვეულებისამებრ სვლა

რევაზ სირაძე

„ჩუეულებისაებრ მამულისა სლვაი“ — იოანე საბანისძის ეს სიტყვები ყოველი დროისთვის მნიშვნელოვან, ფუნდამენტურ ეროვნულ კონცეფციას შეიცავს. ასე განმარტავს მათ ივანე ჯავახიშვილი. ეს სიტყვები გულისხმობენ, რომ ყოველ ერს თავისი ისტორიული გზა და კვალი აქვს, იგულისხმება ისიც, რომ ქართველთა მიერ გააზრებული უნდა იყოს თავისი სამშობლოს ცხოვრების ტრადიციული წესი, რაც ყოველ დროს და ყველასთვის სახელმძღვანელო უნდა გახდეს.

ეს სიტყვები ნათქვამია 1200 წლის წინათ („წმ. აბო თბილელის წამება“ დაწერილია 786-790 წლებში).

ჩვენ გვმართებს მოვიხმოთ დიდი ქართველი მწერლის მაღალი სიბრძნე, რომელიც გახდა საფუძველი მთელი შემდეგდროინდელი ჩვენი არსებობისა. ეს განსაკუთრებით გვმართებს სწორედ დღეს, როცა, შეიძლება ითქვას, ჩვენი სამომავლო ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება.

ძალზე შორსაა ჩვენგან იოანე საბანისძე, მაგრამ იგი გვახსენებს, რომ ერისთვის არსებობს ზედროული პრობლემები, გვახსენებს, რომ ცალკეულ ეპოქათა მოღვაწენი პასუხს აგებენ ერის მრავალსაუკუნოვანი წარსულისა და მრავალსაუკუნოვანი მომავლის წინაშე, რომ ერისთვის ათასი წელი ჭეშმარიტად ერთი დღეა, რომ „ჩუეულებისაებრ მამულისა სლვაი“ ბევრი რამით ყველა დროისათვის საერთო უნდა იყოს.

მაგრამ არსებობს ეპოქები, როცა ყოველივე ამის გათვალისწინება განსაკუთრებით საჭიროა.

ასეთი დროა ახლა, ასეთი დრო იყო VIII საუკუნეშიც. მაშინ არაბთა ძალმომრეობის ეპოქა იდგა. VIII საუკუნეს განსაკუთრებით დაეჯერება, რადგანაც მაშინ მსოფლიო დამთრგუნველი ძალის წინაშე იდგნენ. უკვე დაარსებული იყო თბილისის არაბთა საამირო, რომელიც თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში არსებობდა.

ჩვენი ერის ისტორიაში, სხვაობათა მიუხედავად, ძნელბედობებით აღსავსე არაერთი ხანა ერთმანეთს ჰგავს. დღეს „თანამედროვე ფორმით“ გვთავაზობენ ჩვენივე თანხმობით დაკანონდეს ჩვენი ყოფნა სხვის სახელმწიფოში, რომელშიაც ნებაყოფილობით შემსვლელთ აღარ ექნებათ მისგან ნებაყოფლობითი გამოსვლის უფლება. ამით ჩვენ დიდი ისტორიული გამოცდის წინაშე ვდგებით; ჩვენივე არჩევანმა უნდა განსაზღვროს, ვართ თუ არა ჩვენ ღირსნი თავისუფლებისა. ამ პრობლემის გადაწყვეტისას ჩვენ პასუხს ვაგებთ მომავალი თაობების წინაშე, თანაც არა მხოლოდ ქართველთა წინაშე, არამედ წინაშე ყველა სხვა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ერისა, რადგან როცა ერთი ერი თმობს დამოუკიდებლობას, ამით სხვისთვისაც ქმნის არასასურველ პრეცენდენტს.

„აბო თბილელის წამება“ მიმართულია არაბთა ძალმომრეობის წინააღმდეგ, უფრო ზუსტად, — წინააღმდეგ ქართველთა მიერ რწმენის დაკარგვისა. ქართველები „გარდაგულარძნნესო (ე. ი. რწმენა გაუმრუდესო), — წერს იოანე საბანისძე, — რომელნიმეო მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით და სხუანი, რომელნი-ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრობასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე გუემულნი და ქეჯნილნი, ძვირად-ძვირად ზღუელნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. მიუხედავად ამისა, — განაგრძობს იოანე საბანისძე,—„ქრისტეს სიყუარულითა და შიშითა, ჩუეულებისაებრ მამულისა სლვისა, ჰირთა მოთმინებითა, არა განეშორებიან მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა“.

ეს სიტყვები არაა გამიზნული მხოლოდ ეროვნულ ძნელბედობათა წარმოსაჩენად. აქ სხვა რამაა უმთავრესი სათქმელი, კერძოდ ის, რომ უბედურებათა განცდა სულიერ განწმენდას უნდა იწვევდეს და ვერ უნდა გვიკარგავდეს რწმენასო. ასეთი იყო და არის „მამულისა ჩუეულებისაებრ სლვა“-ო.

აქედან ისიც ჩანს, რომ ერის სულიერი თავკაცი ერის ნაკლოვანებათა მხილებას არ ერიდება, სიმდაბლეს არ ამართლებს ძნელბედობით და ამიტომ იოანე საბანისძე ჭეშმარიტი წინამორბედია ილია ჭავჭავაძისა. საერთოა მათთვის აზრი, რომ ერის სისუსტეა, თუ ის მხოლოდ თავის ღირსებებზე ფიქრობს, ხოლო ერის ძლიერება იმით გამოიხატება, თუ რამდენად ძალუძს მას თვალი გაუსწოროს საკუთარ ნაკლოვანებებს, ეპოქისეულსაც და მუდმივთანმხლებსაც.

არაბთა წინააღმდეგ მიმართულ იოანე საბანისძის თხზულებაში იდეალიზებულია არაბი აბო. ასეთი ეროვნული ტოლერანტობა საერთოდ დამახასიათებელია ქართული აგიოგრაფიისათვის (წმ. შუშანიკი სომეხი ქალია, წმ. ევსტათი სპარსელია) და მთელი ქართული მწერლობისთვისაც („ამირანდარეჯანიანი“, „ვეფხისტყაოსანი“). მწერლობის ამგვარი პოზიციაც გამოხატავს „მამულისა ჩუეულებისაებრ სლვას“. ის, რაც გაიდეალდებოდა სხვათა სახეში, უფრო მეტად მოეთხოვებოდა ქართველს. ამ გზით მკვიდრდებოდა მნიშვნელოვანი აზრი, რომ ქართველთაგან ქართველობა მხოლოდ ღირსებად კი არ უნდა აღიქმებოდეს, არამედ მოვალეობად. ასეთი მიზნითაა იდეალიზებული „ვეფხისტყაოსანში“ არაბი პერსონაჟი, სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა გაიდეალებულიყო წარმომადგენელი იმ ქვეყნისა, რომელიც თითქმის ოთხ საუკუნეს ბატონობდა ქართლში.

ეროვნული ტოლერანტობა სრულიადაც არ მოასწავებდა ეროვნულ ნიჰილიზმს, რაც კარგად ჩანს „აბო თბილელის წამებიდანაც“, სადაც ქართლის ჭირის ერთ-ერთ მთავარ გამოხატულებად მიჩნეულია ის, რომ „ალვერიენით ერსა უცხოსაო“.

იოანე საბანისძე ქართველთა დიდ სამომავლო საფიქრალთან აკავშირებს საკუთარ ეროვნულ ნაკლოვანებათა მხილებას და ქართველთა უღირსობას ხელაღებით მხოლოდ არაბობას კი არ აბრალებს, არამედ საკუთრივ ჩვენივე თანამდევ თვისებად თვლის. თანაც ეროვნული ნაკლულევანებანი თავის თავზე უნდა მიიღოსო პიროვნულად ყველამ. არვის შეჰფერის, რომ ცოდვებიან ერს დაუპირისპირდეს როგორც უცოდველიო. ეს ევანგელურ-აგიოგრაფიული იდეალი ქართულ მწერლობაში შემდეგშიაც მუდმივად ვლინდებოდა. დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანში“ ეს ასე გამოიხატა: ეროვნულ ნაკლოვანებებს თავისთავზე ყველაზე მეტად უნდა იღებდეს ერის თავკაცი, როგორც მეფე და როგორც პიროვნება. „ქართველთ მადლს ცოდვამ დასძლიაო“, — ამბობდა დავით გურამიშვილი და ყველაზე მეტად ცოდვილიანად თავის თავს რაცხდა.

ერს უნდა აერთიანებდეს არა მხოლოდ პიროვნებათა ღირსებით თანასწორობა, არამედ თანასწორობა ეროვნულ ნაკლოვანებათა პირისპირ დგომისას. ღირსების შეგრძნება კი არ წარმოაჩენს ნაკლოვანებას, არამედ ნაკლოვანებათა შეგრძნება წარმოაჩენს ღირსებას. ამის შეგნებითაა გამსჭვალული იოანე საბანისძისეული გალობანი სინანულისანი, რასაც „აბოს წამების“ მეოთხე თავი შეიცავს (გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობდა: „სინანული—ცვლაა უმჯობესთა მიმართო“).

იოანე საბანისძე ქართველთა ეროვნულ ღირსებებზედაც იმ მიზნით მსჯელობს, რათა გვიჩვენოს, თუ როგორ დავკარგეთ ანდა როგორ ვკარგავთ მათ. იგი გამომყოფს ქართველთა ეროვნულ-სარწმუნოებრივ ღირსებათა წარმომაჩენელ ორ ნიშანს: ჩვენ ვცხოვრობთ საქრისტიანო სამყაროს განაპირას და მარტოდ-მარტონი ვიცავთ ჩვენს რწმენასო; ჩვენ ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანი ერი ვართ; ჩვენი სარწმუნოება ბერძნებისას ეთანატოლება, ჩვენი ქვეყანა წმინდანთა სამშობლოა.

იოანე საბანისძეს სურს შეაგრძნობინოს ქართველობას, თუ რაოდენ დიდი ღირსების დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას. სურს შეაგრძნობინოს, რომ ამგვარ ღირსებათა დაკარგვა არანაკლები სიმდაბლეა, ვიდრე ყოველივე ამის თავიდანვე არქონა. იგი იმედოვნებდა, რომ დიდი უბედურების ზღურბლზე დგომა გამოაფხიზლებდა ქართველებს. უბედურების შეგრძნებამ შეიძლება გონიერება შეჰმატოსო ერს და უფრო უკეთ გააზრებინოს თავისი წარსული, აწმყოც, და მომავალიც. ამ გზით ერი შეძლებს თავისი უბედურება ბედნიერებადაც-კი გადაიქციოსო. ცხადია, ყოველივე ეს იოანე საბანისძისთვის არ იყო ოდენ-მჭვრეტელობითი პრობლემა. მისი ნააზრევის სირთულე ანარეკლი იყო რთული ეპოქისა.

„მამულისა ჩუეულებისაებრ სლვას“ უკავშირდება ი. საბანისძესთან იმის გათვალისწინება, რომ ჩვენ ვცხოვრობთ საქრისტიანო სამყაროს განაპირას („ყურესა ამას ქუეყანისასა“) და მარტოდ-მარტონი ვიცავთ ჩვენ თავსაო, „ზედამდგომელთაგან მათ ჩუენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა“ და ეს მიაჩნია ჩვენი ეროვნული არსებობის მუდმივთანმხლებ ფაქტორად. მართლაცდა, ეს დღესაც ასეა.

იოანე საბანისძე ეროვნულ ამოცანებს განსჯის გარემომცველ მსოფლიოში ჩვენი ქვეყნის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით: სამხრეთიდან არაბთა ძალმომრეობაა, ხოლო „ქუეყანასა მას ჩრდილოისასა არს სადგური და საბანაკე ძეთა მაგოგისათა, რომელ არს ხაზარნიო“ (იოსებ ფლავიოსის განმარტებით: „მაგოგემ დაასახლა მხარე, რომლის მცხოვრებლებსაც, მისი სახელის მიხედვით, მაგოგები ეწოდება, ხოლო ელინები მათ სკვითებს ეძახიანო“. — „იუდეველთა სიძველენი“, თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი, გვ. 80). დასავლეთითაა „საბრძანებელი ქრისტეს მსახურისა იონთა (ბერძენთა) მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კონსტანტინეპოლისასა“.

ასეთი იყო ჩვენი გარემოცვა და არავინ იყო ჩვენი დამხმარე. ნერსე ერისთავი ხაზარეთს წასულა, ალბათ იმის იმედით, რომ არაბების მტრობით შეიძლება დახმარება აღმოგვიჩინონო. (სხვათა შორის, ბერძნებიც ამ დროსაც და შემდეგაც იმავე საფუძველზე ეძებდნენ ხაზართა დახმარებას). მაგრამ ნერსეს ხაზართაგან (ანუ სკვითთაგან) დახმარება ვერ მიუღია. აქედან აფხაზეთს გადასულა, სადაც ოჯახი ჰყოლია გახიზნული. ი. საბანისძე საზგასმით აღნიშნავს, რომ აფხაზეთში ქრისტიანობაა და „არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრ იპოვებისო საზღვართა მათთა, რომეთუ საზღვარ მათდა არს ზღუაი იგი პონტოისაი, სამკვიდრებელ ყოვლად ქრისტიანეთაო“.

მართალია, მას შემდეგ ჩვენი გარემოცვა დიდად შეიცვალა რწმენა—ურწმუნოებით, მაგრამ ბევრი რამ უცვლელი დარჩა ისტორიული გეო-პოლიტიკიდან და ეს მეტად ნიშანდობლივია.

იოანე საბანისძე ეროვნულ სარწმუნოებრივ პრობლემებს განსჯის არა მხოლოდ გეო-პოლიტიკურ ფაქტორთა გათვალისწინებით, არამედ დროის ფაქტორთა კვალობაზედაც. დრო უაღრესად მრავალნაირადაა მის მიერ გააზრებული: კერძოდ, რელიგიური თვალთახედვით, პოლიტიკური თვალსაზრისით თუ ისტორიული ქრონოლოგიის მიხედვით. რელიგიური თვალსაზრისი გამოიხატება იმით, რომ მოვლენები გააზრებულია, ერთის მხრივ, მარადიულობის, ხოლო, მეორეს მხრივ, წუთისოფლის მიხედვით. აქვე მოხმობილია კონსტანტინეპოლის მეფეთა და არაბთა ხალიფების ზეობის დრო—ჟამი, ქართლში არსენის კათალიკოსობა და სტეფანოზის ერისმთავრობა. იოანე საბანისძისათვის ყოველივე ამის ურთიერთგარდაკვეთას წარმოადგენს კონკრეტული ეროვნული დრო-ჟამი, ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოვლენები გააზრებული და ურთიერთშეჯერებულია ყველა შესაძლებელი დროული თვალსაზრისით. ასე ფართოდ ხედავს იოანე საბანისძე მოვლენათა არსს, მათ დროულ და ზედროულ რაობას.

დღეს არცთუ იშვიათად გაიგონებს კაცი იოლად ნათქვამს — საქართველოში პოლიტიკური აზროვნების ტრადიციები არ ყოფილაო. ამის უარსაყოფად იოანე საბანისძის ნააზრევიც კმარა.

იოანე საბანისძესთან შეგვიძლია დავინახოთ ბევრი ისეთი კონცეფცია, რომლებიც განსაკუთრებით აკლია დღევანდელობას.

მხედველობაში გვაქვს შემდეგი პრობლემა: ამა თუ იმ ეპოქის რაობას უმეტესწილად ვახასიათებთ-ხოლმე მხოლოდ შემდეგი თვალსაზრისით: სოციალური ასპექტით, ანდა პოლიტიკურით, ან ეკონომიკურით, ანდა კულტურულ-ისტორიული თვალთახედვით და ფაქტიურად ვივიწყებთ, რომ ეპოქა არის ფსიქოლოგიური რაობა, რომ საჭიროა ეპოქის ფსიქოლოგიური არსის გაგება. ეპოქისეული ფსიქოლოგიის საფუძველია კოლექტიური განწყობა, ეროვნული განწყობა (დ. უზნაძის კვალობაზე თუ ვიტყვით, ეროვნული „მზაობა“). დღევანდელობისათვის კონკრეტულად საკითხი ასე დგება: რამდენად შეესაბამება ჩვენი დღევანდელი ფსიქოლოგია ჩვენსავე ბუნებას, რამდენად შეესაბამება ჩვენი დღევანდელი ფსიქოლოგია ჩვენსავე დიდ ეროვნულ მიზნებს?

როცა დროის ანალიზი იზღუდება სოციალური და პოლიტიკური ასპექტებით, ბატონდება მექანიკური თვალთახედვა ეროვნული ყოფის გააზრებისას, თვით მაღალი პოლიტიკური მიზნების განხორციელების გზათა გამოსარკვევად. ბატონდება პანლოგიზმი, ბატონდება თვალსაზრისი, რომ ყველაფერში ლოგიკააო. ადამიანური ეპოქა შეუძლებელია არ იყოს ფსიქოლოგიური რაობა, ანდა, თუნდაც — ანტიფსიქოლოგიური. მაგრამ შეუძლებელია ის იყოს არაფსიქოლოგიური. არადა, კარგადაა ცნობილი, რომ ადამიანური სულიერი ცხოვრების სირთულე ვერ დაიყვანება ლოგიკაზე, რაციონალურზე. მასში ბევრია მეტალოგიკურიც და ირაციონალურიც. პანლოგიზმი, იდეალისტურიც კი, ძალზე ახლოა მარქსისტულ დეტერმინიზმთან, რომელიც თვით ადამიანის ფსიქიკას მთლიანად ეკონომიკური ბაზისით ხსნის. დღესაც გვეძალება პანლოგიზმი, როცა გვგონია, რომ ყველაფერი ლოგიკურად ახსნილია, ყველაფერი ვიცით და ფაქტიურად დავიწყებულია, რომ მაღალსულიერება და ღვთაებრიობა არსებითია. მაღალსულიერება და ღვთაებრიობა ძნელადსაწვდომია, რადგან სიღრმისეულია და არსებითი, რაც არა ჩანს, მაგრამ იგულისხმება. პანლოგიზმი ყველაფერს ხსნის, მაგრამ ზედაპირულად, პანლოგიზმი ბადებს საშიშროებას [illegible] ყოვლისმცოდნეობისა. შეიცან თავი შენიო, — თუ ამას ერის მიმართ ვიტყვით, მასში, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური მდგომარეობა უნდა ვიგულისხმოთ. სადღეისოდ უნდა ვიგულისხმოთ ერის სულიერი გაწონასწორება, ქართულად ამას ჰქვია დარბაისლობა. სამწუხაროდ, ეს სიტყვა სულ უფრო ნაკლებად ისმის. იქმნება სამწუხარო შთაბეჭდილება, რომ ეს სიტყვა ხშირად აღარც კი გვჭირდება. ისიც კარგადაა ცნობილი, რომ მტერთან ბრძოლაზე ძნელია ბრძოლა თავის თავთან. ეს პიროვნებებზედაც ითქმის და მთელ ერზედაც.

იოანე საბანისძე ქადაგებდა, რომ მტერთან საბრძოლველად გვჭირდება ბრძოლა თავის თავთან. ამის საფუძვლად მას მიაჩნდა ერის სულიერი განწმენდა, ერის თვითსრულყოფა.

იმ დროისათვის ეს რომ მხოლოდ, როგორც იტყვიან, ლიტერატურული პრობლემა არ იყო, ამას გვიჩვენებს შემდეგი გარემოებანი. „აბოს წამების“ დაწერის დროს უკვე დაწყებული ჰქონდა თავისი დიდი სამომავლო მნიშვნელობის მქონე ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოღვაწეობა გრიგოლ ხანძთელს ტაო-კლარჯეთში. ეს იყო მრავლისმომცველი ანტიარაბული აქცია. თბილისის საამიროს დაარსების შემდეგ ქართლი კარგავდა ქვეყნის უმთავრესი ცენტრის მნიშვნელობას. საჭირო იყო, ასე ვთქვათ, ქართლის მონაცვლე ცენტრის შექმნა; ე. ი. იმნაირი ცენტრის ჩამოყალიბება, რომელიც ქართლის მაგივრობას გასწევდა. ამის განხორციელება მიზანშეწონილი იყო არაბებიდან შორს და ბიზანტიასთან ახლოს, თანაც მიზანშეწონილი იყო ისიც, რომ დიდი პოლიტიკური მიზანდასახულობის შემცველი მოძრაობა დაწყებულიყო სამონასტრო მოძრაობის სახით. გასავლელი იყო მრავალი ეტაპი: ჯერ სარწმუნოებრივი აღორძინება ტაო-კლარჯეთისა, შემდეგ მისი კულტურული დაწინაურება და მერე მისივე გადაქცევა საერთო-პოლიტიკურ ცენტრად. ყოველივე ეს განხორციელდა ტაო-კლარჯეთში და თანაც ქართლის და სრულიად საქართველოს აღდგენის ნიშნით. სწორედ აქ ჩამოყალიბდა საბოლოოდ ბაგრატიონთა დინასტია, რომელიც შემდეგ მთელი საქართველოს საუკუნეობრივი გამგებელი გახდა. იმ დიდი ისტორიული მისიის დამწყებია გრიგოლ ხანძთელი. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ იგი ბევრის მხრივ წამომწყებია იმ დიდ მიზანდასახულობათა, რომლებიც საბოლოოდ განახორციელა დავით აღმაშენებელმა.

გრიგოლ ხანძთელი პრაქტიკულად ახორციელებდა იმას, რასაც ქადაგებდა იოანე საბანისძე. სრულიად აშკარაა, რომ არსებობდა ეროვნული აღორძინების ერთიანი კონცეფცია, რომელსაც სხვადასხვა სახით ემსახურებოდნენ სამუელ ქართლის კათალიკოსი და ნერსე ერისთავი, გრიგოლ ხანძთელი და იოანე საბანისძე და, ცხადია, სულიერი წინამძღვარი ყველასთვის იყო კათალიკოსი სამუელი, მეტადრე, როცა ქვეყანას არ ჰყავდა ერთიანი ხელისუფლება. სწორედ სამუელ კათალიკოსმა უბრძანა იოანე საბანისძესაც „აბოს წამების“ შექმნა.

გრიგოლ ხანძთელმა ყველაფრის წინაპირობად გამოაცხადა ადამიანთა პიროვნული სრულყოფა, სულიერი თუ ყოფითი სიწმინდე. ამას იგი ერთნაირად ითხოვდა ბერ-მონაზონთაგანაც, ეპისკოპოსთაგანაც და კურაპალატებისგანაც. მონოპოლია ჭეშმარიტებაზე განისაზღვრებოდა მხოლოდ და მხოლოდ მაღალსულიერებით. ასე ამზადებდნენ ქვეყნის მომავალს. ამ გზის მიმდევარნი კი არ ემზადებოდნენ მხოლოდ მომავალი საქმისათვის, ისინი უკვე ცხოვრობდნენ საქმით. მაშასადამე, ცხოვრობდნენ ისე, როგორც უნდა ეცხოვრათ მომავალში, ცხოვრობდნენ შინაგანი სულიერი თავისუფლებით. ასე იცავდნენ ისინი თავის თავსა და ერს „ზედამდგომელთაგან მათ ჩუენთა, მფლობელთა მის ჟამისათა“ „ყურესა ამას ქუეყანისასა“. ამიტომაც გასცდა მათი ღვაწლი მათსავე დროს. ამიტომაც არიან ისინი ფრიად ახლობელნი და მაგალითის მომცემნი დღევანდელობისთვისაც.

ეს იყო დიდი ისტორიული გამოცდილება, რომელიც თავადაც დაემყარა და ჩვენთვისაც განსაზღვრა — „მამულისა ჩუეულებისაებრ სლვაი“.



# იქნებ ასე ჯობდეს?

## თეიმურაზ ბერიძე

არც თუ ისე დიდიხნის წინათ, თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მოიწვია მრჩეველთა ორი სხდომა, რომელზეც განიხილეს და მიიღეს გადაწყვეტილება ქალაქის ზოგი ადმინისტრაციული რაიონის და ქუჩის სახელთა დარქმევა-გადარქმევის შესახებ. რამაც, როგორც ერთ-ერთ რიგით თბილისელს, გამაბედინა გამომეთქვა ჩემი აზრი.

რასაც მრჩეველთა საბჭო ემსახურება და აკეთებს მეტად საჭირო და საშური საქმეა. თუნდაც იმიტომ, რომ ათწლეულების მანძილზე თბილისის ქუჩათა სახელების დარქმევა და გადარქმევა ისე ხდებოდა, რომ არ ითვალისწინებდნენ ძველი თბილისის ისტორიულ, სოციალურ, ეთნიკურ გეოგრაფიას...

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებების გაცნობის შემდეგ დამებადა (ალბათ, არა მარტო მე) ასეთი კითხვა — ხომ არ გაგვიტაცა ქალაქის ქუჩებისათვის და მოედნებისათვის ჩვენი სასიქადულო მამულიშვილთა სახელების დარქმევამ. არ იფიქროთ, თითქოს მე წინააღმდეგი ვიყო ჩვენი სახელოვანი მამულიშვილების სახელთა უკვდავყოფისა, მაგრამ ამისათვის ხომ ბევრი სხვა საშუალება არსებობს.

თუ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა, ქალაქი დაემსგავსება საბინაო დავთარს. თუ იგი უკვე არა ჰგავს მას. ამიტომ, ალბათ, აჯობებს დროზე შევჩერდეთ, თავი შევიკავოთ.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში და შემდგომაც, თბილისი ამიერკავკასიის პოლიტიკურ-კულტურულ, სავაჭრო-ხელოსნურ მსხვილ და მთავარ ცენტრს წარმოადგენდა. აქ განვითარებული იყო ხელოსნობის ყველა დარგი. ძველ ქალაქში ხელოსნები და ვაჭრები პროფესიის — ხელობისდა მიხედვით იყვნენ დაყოფილნი რიგებად და უბნებად. ქართულში სიტყვა უბანი არა მარტო დღევანდელი გაგებით იხმარებოდა, არამედ იგი ქუჩის, სავაჭრო ადგილის, ხალხის თავშესაყარ ადგილსაც აღნიშნავდა.

ერთი შეხედვით, თბილისის ზოგიერთი ქუჩის სახელი თითქოსდა არაფერს ამბობს, მაგრამ მისი წარმოშობის ისტორიის შესწავლის შედეგად, საშუალება გვეძლევა აღვადგინოთ ძველი თბილისის ისტორია, ეთნოგრაფია.

ამ ბოლო ხანს დედაქალაქს ბევრი ქუჩა, მოედანი, მაგისტრალი შეემატა, ბევრიც გაფართოვდა, გადაკეთდა, გალამაზდა. ამასთან დაკავშირებით, ეგრეთწოდებულ სიახლეთა მოყვარულთაგან ხშირად გაიგონებთ აზრს, რომ საჭიროა გაფართოებულ, გალამაზებულ ქუჩას თუ მოედანს ეწოდოს ჩვენი რომელიმე დიდი მამულიშვილის სახელი. აღსანიშნავია, რომ ეს, ალბათ, უფრო მიესადაგება თბილისის ბევრ ახალ მასივში გაჭრილ თუ გაყვანილ ქუჩას. აქვე უნდა ვთქვა, თბილისის ახალი მასივები გაშენდა იმ ადგილებზე, რომელთაც ადრევე ჰქონდათ თავიანთი საკუთარი სახელები — დიღომი, ავჭალა, ვარკეთილი, სონღანლული (ამჟამინდელი ფონიჭალა), გლდანი. აღნიშნულ დასახლებულ პუნქტებს თავისთავად ჰქონდა და აქვთ მიკროტოპონიმიკა, ადგილთა სახელები (ხევ ძმარი, ყეენისა, მუხიანი, თრელები, საყდრის ხევი და მრავალი სხვა), რომელთა აღგვა ან დაკარგვა დიდი დანაკარგი იქნება, გნებავთ ისტორიულ-გეოგრაფიის, თუ სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით.

თბილისი ძველი და უკვე დიდი ქალაქია. მისი ქუჩების რაოდენობამ დიდიხანია 2000-ს გადააჭარბა. რასაკვირველია, მათ შორის გამოირჩევა არაფრისმთქმელი, უშინაარსო სახელის მატარებელი ქუჩაც. ამიტომაც, ხშირად მართებულია მათთვის სახელის გადარქმევის მოთხოვნა, რადგან ქალაქს ამშვენებს არა მარტო კარგი გარეგნობა, არქიტექტურული სახე, არამედ ქუჩათა შინაარსიანი სახელებიც. როცა ამ საკითხზე ვსაუბრობთ, ვლაპარაკობთ, ვკამათობთ, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, რატომ ჰქვია ან ერქვა ამა თუ იმ ქუჩას, მოედანს ესა თუ ის სახელი, რა მნიშვნელობა აქვს, ანდა რა მნიშვნელობა ჰქონდა მას ქალაქის ისტორიისათვის. იმიტომ, რომ ქალაქის ისტორიული და მოსახლეობის ეთნოგრაფიული სახის აღდგენა-შეცნობის ერთ-ერთი წყარო ძველი ქუჩებისა და უბნების სახელწოდებათა ეტიმოლოგიის დადგენა-შესწავლაა. ჩვენი ვალია შთამომავლობისათვის მათი შენარჩუნება და გადაცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ ეცოდინებათ თავიანთი ქალაქი.

გავიხსენოთ იოანე ბაგრატიონის „კალმასობიდან" ერთი ადგილი. თბილისში პირველად ჩამოსულ ოდიშელ ბერს სერაფიმეს სურს დაათვალიეროს თბილისი. მეგზურობას დიაკვანი იოანე ხელაშვილი კისრულობს. ქალაქის დათვალიერება-გაცნობას იწყებენ ბატონის მოედნიდან (ამჟამინდელი ერეკლე II-ის მოედანი), ჩვენც მივყვეთ მათ — „შევიდნენ ხარაზხანის ბაზარში, იხილეს მუნ ოქრომჭედლები, მსხდომარენი დუქნებში, მრავალი ვერცხლის იარაღი, ეგრეთვე ოქროს დაწყობილი და სხვა სამკაული... მერე მივიდნენ მექოშეებთან, იხილეს ყოველი დუქანი სავსე ქოშით და მაშიით..." ყოველივე ნანახით გაკვირვებულ და გაოცებულ ოდიშელ სერაფიმეს იოანე ხელაშვილმა აუხსნა, რომ: „ასეა რიგი, რომ ქალაქში ყოველივე სავსებით უნდა იყოს, რომ ერთი ქალაქის დიდება არის, და მეორე ქვეყანა გამდიდრდება ვაჭრობით. ვისაც არა ექნება სახლში და ფული ექნება, იყიდის ყოველს და თავის სახლს გაიწყობს. ზერმა (მიუგო) ნეტამც ამ რიგს ჩვენს ქვეყანაშიაც მისცემდეს ვინმე". (იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, წ. I, 1936 წ. გვ. 198-8).

ამჟამინდელ ვითარებას თუ მივუსადაგებთ, მათ შემოუვლიათ ერეკლე მეორის მოედნიდან — ერეკლე II-ის და სიონის ქუჩები, შარდენის და ბამბის რიგი, ვახტანგ გორგასალის მოედანი; ლესელიძის ქუჩის ნაწილი ერეკლე მეორის მოედნამდე. რასაკვირველია, ჩემს მიერ ამ შემოფარგვლას სიზუსტის პრეტენზია არ გააჩნია და როგორც უკვე ვთქვი, იგი მიახლოებითია.

იოანე ხელაშვილის მიერ აღწერილი თბილისი, მისი სახელოსნო სავაჭრო დუქნებით და რიგებით საოცრად ნათლად გვიხატავს XVIII საუკუნის თბილისის კოლორიტულ სახეს. სამწუხაროდ, „კალმასობა"-ში ჩამოთვლილი სახელოსნო თუ სავაჭრო რიგებიდან (რომლებიც დამოუკიდებელ ქუჩებს წარმოადგენდნენ) დღეს შემოგვრჩა ძველი სახელით მხოლოდ „ბამბის რიგი". დანარჩენი ამ სამოცდაათი წლის განმავლობაში ჩატარებული ძველი ქალაქის რეკონსტრუქციას შეეწირა და საერთოდ გაქრა, ზოგი კი, თუ კი გადაურჩა აღნიშნულ ღონისძიებას, თბილისში თავის არსებობას სხვა სახელით აგრძელებს.

ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოსდა, მე დღესაც მინდოდეს, რომ ძველ თბილისში საქმიანობდნენ ყაჯარდუზები, ხარაჯები, ჭონები, (თუმცა, არც ამაში ვხედავ რაიმე უკადრისს ჩვენი ქალაქისათვის), მაგრამ, ვფიქრობ, უნდა დარჩენილიყო ქუჩების ძველი სახელწოდებები.

აბა წარმოიდგინეთ, რომელია უკეთესი ქალაქის ისტორიისათვის:

1-ლი მაისის ქუჩას ერქვა კათოლიკეთა;
კიროვის ქუჩას — სოლოლაკის;
თოიძის ქუჩას — მექოთნეთა;
შაუმიანის ქუჩას და მოედანს — კახეთის გზატკეცილი და მოედანი;
ენგელსის ქუჩას — ბაღის;
დავითაშვილის ქუჩას — ამაღლების;
ლესელიძის ქუჩას — შუა ბაზარი და ა. შ.

სოფლების ჩუღურეთის და კუკიის ბუნებრივ სამანად ითვლებოდა დიდი ხევი (ასე ეწოდებოდა ხევს). დღეს არსებობს პატარა ქუჩა ამ სახელით, რომლის ქვეშაც გადის აღნიშნული ხევის მცირე მონაკვეთი. ერთ მშვენიერ დღეს, სიახლის მოსურნეს შეიძლება მოუნდეს ამ ქუჩის სახელის შეცვლა. ვფიქრობ, ეს დიდი დანაკლისი იქნებოდა, გაქრებოდა კიდევ ერთი ტოპონიმი. როგორც გაქრა ჩუღურეთის ხევი, ეკლიანი ხევი და სხვა მრავალი.

უკვე ვახსენე შუა ბაზარი. კარგი იქნებოდა, რომ ძველ თბილისს დაბრუნებოდა ქუჩების ძველი სახელები; ქუჩათა სახელები ძველი თბილისის დაფურცლული და დაფანტული მატიანეს შემადგენელი ნაწილია; ქალაქში სტუმრად ჩამოსულთათვის, უცხოელი იქნება თუ არა უცხოელი, ძველი უბნებისა და ქუჩების სახელები სავიზიტო ბარათის მნიშვნელობისაც უნდა იყოს.

რაც შეეხება თანამედროვე თბილისის ადმინისტრაციული რაიონების (ზოგიერთის) სახელთა გადარქმევას, ჩემი აზრით, აქაც საქმე გვაქვს ძველი ქალაქის ისტორიისა და გეოგრაფიის გამრუდებასთან.

ამჟამინდელი თბილისი თავის ფარგლებში აერთიანებს, როგორც თვით ისტორიულ ქალაქს (მტკვრის ორივე მხარეს — კალას და ისანს), ასევე, საუკუნეების მანძილზე მის შემოგარენში მდებარე სოფლებს და უბნებს. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, ხანამ სათქმელს ვიტყოდე, ერთს აღვნიშნავ, ქართლის სამეფო XVII საუკუნის 30-40 წლებიდან იწყებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მომძლავრებას. რასაც მოჰყვა ქალაქისპირა ძველი სოფლების (ჟამთა სიავისაგან გაპარტახებული და დანგრეულ-დაქცეული) — ავლაბრის, კრწანისის, დიდუბის, ვერის, საბურთალოს აღდგენა-გამოცოცხლება, ასევე ახალი სოფლების — ჩუღურეთის, ახალსოფლის (კუკიის), სონღანლულის (ყურყუთა), ხეიდაბადი (ხარფუხი) და სხვა გაჩენა.

ძველი თბილისის აქ ჩამოთვლილი, და კიდევ ბევრი სხვა, გარეუბანი და სოფელი უკვე ქალაქის ფარგლებშია მოქცეული (ეს პროცესი XIX საუკუნეში დაიწყო). ზოგი კი, ადრე უფრო მოშორებული სოფელი, ქალაქისპირა სოფლად და გარეუბნად იქცა. ზოგიერთი ქუჩის თუ უბნის სახელი დღეს მივიწყებულია, ქართული ენის სალაპარაკო ლექსიკიდან ან უკვე განდევნილია, ან არადა, ჩვენ ვუწყობთ ხელს მის დავიწყებას. ეს, ალბათ, იმის ბრალიცაა, რომ ძველი სახელწოდება დღეს თითქოს უცნაურად ჟღერს. ბევრისთვის გაუგებარია, მაგალითად, რატომ ერქვა ან რატომ ჰქვია ამა თუ იმ ქუჩასა და უბანს ესა თუ ის სახელი. მაგალითად, ავლაბარი, ჩუღურეთი, ხეიდაბადი, ხარფუხი, დიდუბე, კუკია, ელია, გარეთუბანი, ისანი, ვერე. ჩამოთვლილი ტოპონიმები თავისთავად კიდევ შეიცავდნენ მიკროტოპონიმებს, უბნებს. ვერეში შედიოდა — ვაკე, ვარდის უბანი, სატიოს უბანი... გარეთუბანში — სოლოლაკი, მთაწმინდა, კალოუბანი, ვანქის უბანი, ყაბახში — ახპარეზი, ორბელიანთ უბანი და სხვა.

უკვე ნახსენებმა, ქალაქის საბჭოსთან არსებულმა მრჩეველთა საბჭომ, თავის სხდომებზე, ქალაქის ქუჩების სახელთა გადარქმევასთან ერთად, განიხილა და დაადგინა თბილისის ზოგიერთი ადმინისტრაციული რაიონის სახელთა შეცვლის საკითხიც, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, ზუსტი არ უნდა იყოს.

რა ხდება ახლად მონათლულ ადმინისტრაციულ რაიონებში. იქაც უგულვებელყოფილია ქალაქ თბილისის ისტორია.

კალინინის რაიონი ძირითადად მოიცავს ისტორიულ გარეთუბანს და ვერეს ნაწილს, რომელთა ფარგლებში მოქცეული იყო მიკროუბნები, სახელდობრ: გარეთუბანში შედიოდა — სოლოლაკი, ქანქის უბანი, მთაწმინდა, ორბელიანთ უბანი, კალოუბანი, ახპარეზი (ყაბახი), ორბელიანების კუნძული (მადათოვის), ხოლო ვერეში (კალინინის რაიონი) ვარდისუბანი (სოფელი). მართალია, მთაწმინდა პოეტური სახელია, მაგრამ მაინც ჯობია, ძველი ტოპონიმების აღდგენასა და ქალაქისათვის ისტორიული სახის დაბრუნებაზე ვიზრუნოთ, უპრიანი იქნებოდა კალინინის რაიონი შეცვლილიყო გარეთუბნით, მითუმეტეს, რომ მთაწმინდა გარეთუბნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

26 კომისრის რაიონი მოიცავს ძველი თბილისის შემდეგ ნაწილს ისანს, — მეტეხის უბანს, სოფლებს: ავლაბარს, ლომელაურს, დირსიჭალას, ნავთლუღს (ერეკლეს ციხე) და ასევე XIX საუკუნეში დაარსებულ დასახლებებს — სამება, მირზაბადი, შავი სოფელი, მამუკას სოფელი, რომლებიც თანდათანობით ერთმანეთს შეერწყნენ და ბოლოს კი — ქალაქსაც.

აჯობებდა, გაუგებრობის და უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, თბილისი ადმინისტრაციულად დაგვეყო ძველი ისტორიული სინამდვილის გათვალისწინებით, კერძოდ, თვით ძველი ქალაქისათვის დაგვერქმია (ალბათ, უფრო ზუსტი ვიქნებოდით გვეთქვა, დაგვებრუნებინა) ძველი ისტორიული სახელი კალა-თფილისის რაიონი, ხოლო დანარჩენი რაიონებისათვის ქალაქისპირა სოფლების შესაბამისი სახელები, რომლებიც მოქცეულია ამჟამინდელი ქალაქის ფარგლებში — ავლაბარი, ნავთლუღი, ჩუღურეთი, კუკია, დიდუბე, ავჭალა, გარეთუბანი, ვერე, საბურთალო, ხარფუხი, (ხეიდაბადი), კრწანისი, სონღანლული (ყურყუთა, ფონიჭალა). (იხილეთ სურათი — 1, 2).

ძველი უბნების, მოედნების, ქუჩების სახელებს უნდა მიეცეთ ისტორიული ძეგლის სტატუსი, (რამდენადაც მათ სახელებშია შემორჩენილი ქალაქის ისტორია და ეთნოგრაფია), რომელსაც დაიცავს შემდგომი ხელყოფისაგან თვით ხალხი.

ვიმეორებ, თბილისში აუცილებლად უნდა იყოს ავლაბრის, სოლოლაკის, გარეთუბნის, მამადავითის, ვერეს, ვარდისუბნის, ჩუღურეთის, კუკიის, ალექსანდრედორფის, დიდუბის, ვაკის, ავჭალის, დიღმის, ვეძისის, საბურთალოს, შავი სოფლის, დირსიჭალის, ლომელაურის, ავანაანთხევის, თაბორის, მეტეხის, ისნის, კათოლიკეთა, მალაკნების, აისორების დასახლების, ბოშათა დასახლების, ნაძალადევის, ზემო და ქვემო უბნის, კალოუბნის, ბზის, ყაბახი-ახპარეზის და კიდევ მრავალი სხვა და სხვა ქუჩათა სახელები (აქ ჩამოთვლილი ზოგიერთი ქუჩა თბილისში არსებობს).

საჭიროა სამუზეუმო რელიკვიასავით შემორჩენილი ქალაქის ძველი უბნების, მოედნების, ქუჩების სახელები მაინც ვიხსნათ დავიწყებისაგან, მითუმეტეს, რომ დღეს, თითქოსდა უფრო ადვილად შეიძლება ამის მიღწევა. ყოველივე ძველი რომ მოვშალოთ, რომელიც ჩვენი ქალაქის წარსულზე ლაპარაკობს და მეტყველებს, მაშინ თბილისი დაემსგავსება ლამაზ ყდაში ჩასმულ წიგნს, სადაც მხოლოდ დიდ და ცნობილ ადამიანთა გვარებსა და სახელებს ამოვიკითხავთ.



სურათებზე: თბილისი და ქალაქისპირა სოფლები XVIII ს.-ში.

# „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი გამოცემის ერთი კონიექტურა

ნელი საგინაშვილი

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა, მისი ბრუოლყოფილად წარმოჩენა, ძალიან რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. დიდი ხანია მიმდინარეობს ამ მიმართებით მუშაობა. თანამედროვე რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში სწორი პოზიციაა დამკვიდრებული: ხელნაწერისეული ტექსტის გასწორება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაშია საჭიროდ მიჩნეული. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის წევრებიც აცხადებენ: „რედაქციას პრინციპად აქვს, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართოს კონიექტურას“. (იხ. ჟურნ. „მაცნე“, 1978 წ. №2). „კომისიის“ ეს სწორი პრინციპი განაზიარებელია, რადგანაც, ყოველი ახალი იკითხვისის შემოტანა სათუოა. გავიხსენოთ, როგორ განმარტავენ კონიექტურას. „კონიექტურა ლათინური სიტყვაა და მიხვედრას, მოაზრებას ნიშნავს. იგი დამახინჯებული ტექსტის აღდგენა, გასწორებაა მიხვედრითა და ალღოთი“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, 1955 წ. გვ. 1307).

ახლახანს გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის მიერ მომზადებული გამოცემა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სწორი პოზიცია უნდა გავრცელდეს იმ კონიექტურათა მიმართაც, რომელთაც იგივე კომისია შესაძლებლად მიიჩნევს. ამჯერად შევჩერდებით პოემის ორ სტროფში კომისიის მიერ შემოტანილ ერთსა და იმავე კონიექტურაზე.

●

სიყვარულით გულანთებული მეგობრები, ტარიელი და ავთანდილი, გაიყარნენ. ავთანდილი არაბეთში დაბრუნდა. მან მახარობლად როსტევან მეფესთან შერმადინი გაგზავნა. მეფე სიხარულით გაეგება. სასახლეში ნადიმი გამართეს: ავთანდილმა ყველას უამბო უცხო მოყმის ამბავი. მეორე დღეს კი სანადიროდ წავიდნენ. დაფდაფების ცემისაგან გაყრუებული იყო არე-მარე. ქორნი მზეს აბნელებდნენ, მწევარ-მეძებრებს თვლა არა ჰქონდათ, უამრავი ნადირი დახოცეს, მიდამო სისხლით მორწყეს და

ინადირეს, შემოიქცეს:
მხიარულნი, მინდორს რულნი;
შეიტანნეს დიდებულნი,
თავადნი და სპანი სრულნი;
დაჯდა, დახვდეს მოკაზმულნი
საჯდომნი და სრანი სრულნი,
და ხმას სცემს ჩანგი ჩაღანასა,
მომღერალნი იყვნეს რულნი!
(719)
(„ვეფხისტყაოსანი“, 1988 წ.)

ბოლო ტაეპის იკითხვისი „რულნი“ კონიექტურაა. იგი გამოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წ. საიუბილეო გამოცემაში და მას შემდეგ სხვა გამოცემებიც გაჰყვა. ამ კონიექტურას იზიარებს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია“ (იხ. ჟურნ. „მაცნე“, 1978 წ. №3). ხელნაწერებსა და თითქმის ყველა ძირითად გამოცემაში „სრულნი“ იკითხება.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველ, ე. წ. ვახტანგისეულ გამოცემაში ეს სტროფი ასეა წარმოდგენილი:

ინადირეს შემოიქცეს:
მხიარულნი მინდორს რულნი
შეიტანეს დიდებულნი: თავადნი
და სპანი სრულნი
დაჯდა დახვდეს მოკაზმულნი:
საჯდომნი და სრანი სრულნი
და ჰმას სცემს ჩანგი ჩაღანასა:
მომღერალნი იყუნეს სრულნი.

პოემაში სიტყვა „რული“ პოლისემანტურია, იგი აღნიშნავს ძილს (შდრ. „ვჭე და მასვე ვიგინებდი, არ მიეცა თვალთა რული“), (389) ეს ფრაზა ტარიელის უძილობის გამომხატველია). იგი ზოგჯერ ენაცვლება სიტყვას — „როგორ“ (შდრ. „ვჰკადრე: „მზეო, ბედმან შავმან ვით მიმუხთლა, ხედავ, რულად!“ (1170), „აწ ისრე მკვდარსა ვიგონებ, იშ, თავი ვიხსენ მე რულად“ (1202), „იქით-აქათ იჭრებოდეს: „ვუპევრიტოთო ამას რულად!“ (1071)). და ბოლოს, იგი იხმარება სიარულის მნიშვნელობით („მერმე მივიდე ცოცხალი მე, სხვაგან სადმე რებული“! (186), „ფრიდონ გზა იცის, იარეს დღისით და ღამით რებულთა“. (1384), „შინა დავსხედით ნადიმად მას დღესა მინდორს რებულნი“, (866)).

რამდენად ეგუება სიტყვა „რულნი“ ზემოთ დამოწმებული სტროფის ბოლო ტაეპს? დავუკვირდეთ, იგუებს თუ არა კონტექსტი მას აქ წარმოდგენილი რომელიმე მნიშვნელობით:

1. „ხმას სცემს ჩანგი ჩაღანასა“, მომღერალნი მიძინებულნი იყვნენ.

2. „ხმას სცემს ჩანგი ჩაღანასა“, მომღერალნი იყვნენ როგორნი? (ამგვარადაა განმარტებული ეს კონიექტურა „ვეფხისტყაოსნის“ 1976 წ. გამოცემაში ნ. ნათაძის მიერ).

3. „ხმას სცემს ჩანგი ჩაღანასა“, მომღერალნი მოსულნი იყვნენ (ვ. ბერიძის მიერ ასეა ეს ტაეპი განმარტებული: „ჩანგი კასტანიეტს ეხმაურება, სადაურნი არ იყვნენ მომღერალნი“!) ვეფხისტყაოსნის კომენტარი“, 1974 წ. გვ. 217).

ვფიქრობთ, საგანგებო მსჯელობა არაა საჭირო იმის დასამტკიცებლად, იკითხვისი „რული“ ვერც ერთი თავისი მნიშვნელობით ლოგიკურად ვერ აშინაარსიანებს ტაეპს, ამიტომაც კონიექტურა ხელოვნური ჩანს. ზემოთ თქმულის გარდა, მისი ამგვარი კვალიფიკაციის საფუძველს იძლევა ხელნაწერებიც. როგორც აღინიშნა, მათში სადავო კონიექტურის ადგილას დამოწმებულია სიტყვა „სრული“. იქნებ ის ყველაზე მეტად ესადაგება ტექსტის შინაარსს და ამდენად, შესაძლოა, არც იყოს მისი შეცვლის საჭიროება?

ეს ვარაუდი რომ გამართლდეს, ამისათვის საჭიროა სიტყვა „სრულის“ მნიშვნელობათა დადგენა და მისი გათვალისწინება სადავო კონტექსტში.

რუსთაველის პოემაში სიტყვა „სრული“ მრავალგზის გვხვდება, მისი შინაარსი თითქმის ყველგან ნათელია, მაგრამ, ამავე დროს, სხვადასხვა კონტექსტში ამ სიტყვის შინაარსობრივი ნიუანსის განსხვავებანიც შეინიშნება: „სრულ-ი (1): „ჰკადრა ქება სრულსა სრული“, „ხვაშიადსა უთხრობს სრულსა“, „ვისცა ეს სრულად არა სჯირს“. „სრულ-ი (2): „იგი ფიცი ჩემგან სრული, მან აღარა გამისრულა“. სრულ-ი (3) (ზედსართავი „სრა“ სიტყვისაგან). „ტახტი გმართებს სრაცა სრული“ (იხ. „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, თბ. 1956 წ. გვ. 300).

სიტყვა სრულის სულხან-საბასეულ განმარტებაში აშკარად იკვეთება სამი ნიუანსი: „სრული გასრულებულს ჰქვიან, უნაკლულოსა, წარმატებული“. (თხზულებანი, $IV_2$, გვ. III).

„ვეფხისტყაოსნიდან“ ჩვენს მიერ დამოწმებული სტროფის მეორე ტაეპში სიტყვა „სრული“ წარმატებულის მნიშვნელობით უნდა გავიგოთ: „შეიტანნეს დიდებულნი, თავადნი და სპანი სრულნი“. სპა იგივე ჯარია, ლაშქარია. ბუნებრივია, რომ ჯარს სასახლეში სანადიმოდ მთლიანად ვერ შეიყვანდნენ. როგორც ჩანს, წარმატებული, ასპარეზობაში, ნადირობისას გამარჯვებული მეომრები თუ მონადირენი შეიპატიჟეს სასახლეში.

მესამე ტაეპში („დაჯდა, დახვდეს მოკაზმულნი საჯდომნი და სრანი სრულნი“) სრული უნდა გავიგოთ გასრულებულის, მთელის მნიშვნელობით, ე. ი. პოეტის სიტყვით, მეფესა და მის ამალას მთელი სასახლე მოკაზმული დახვდათო.

მეოთხე ტაეპში სიტყვა სრული შეიძლება უნაკლულოს, საუკეთესოს მნიშვნელობით გავიგოთ, ე. ი. მომღერალთა დასი უნაკლო იყოო.

ჩვენს მიერ განხილული სტროფი რითმის მიხედვით მაჯამურია. მასში სამწევრიანი ომონიმური რითმა გვაქვს. პირველ ტაეპში ფორმითა და მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვა (რული) გვხვდება, ხოლო დანარჩენ ტაეპებში ფორმით ერთნაირი და მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვები. კონიექტურით კი მაჯამური რითმა დავშალეთ და მასთან ერთად მთელი სტროფი დამახინჯდა.

ამგვარად, ჩვენი აზრით, საანალიზო სტროფი ასე შეიძლება განიმარტოს: მინდორს ნახიარულნი (რული) ნადირობიდან მხიარულნი დაბრუნდნენ. სასახლეებში შეიყვანეს დიდებულები, თავადები და სანადირო ასპარეზობაში გამარჯვებული, წარმატებული (სრულნი) მეომრები. დასხდნენ და მოკაზმული დახვდათ მთელი (სრულნი) სასახლე, ჩანგი ჩაღანას აძლევდა ხმას, მომღერალთა დასი უნაკლოდ (სრულნი) გალობდა.

სტროფის შინაარსი სავსებით ლოგიკურია, გამართულია, საერთო კონტექსტის შესაბამისი, კონკრეტული სიტუაციისათვის შესაფერისი. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელ გამოცემათა კონიექტურა, რომელსაც მხარს არ უჭერს არც ერთი ხელნაწერი, ხელოვნურია. სასურველია, მომავალ გამოცემებში ხელნაწერებით ნაანდერძევი იკითხვისი „სრულნი“ აღდგეს.

●

ტარიელს გაყრილი ავთანდილი სამოცდაათი დღის განმავლობაში ზღვის პირას მიდიოდა. გრძელი გზა ადრე გალია და მულღაზანზარსაც მიუახლოვდა. ორბი მოკლა და მინდორში სანადიროდ გამოსული ლაშქრის ყურადღებაც მიიპყრო. ფრიდონს მონამ ამბავი მიუტანა: დღის მანათობლად მოსული მზე ვნახეო. სიხარულით შეხვდნენ ავთანდილი და ფრიდონი ერთმანეთს. ტარიელის გახსენებაზე ცრემლიც ბევრი ღვარეს. ამასობაში ფრიდონის ქალაქსაც მიუახლოვდნენ.

ქალაქს შევიდეს, მუნ დახვდა
სრა მოკაზმული სრულითა,
სახელმწიფოთა ყოვლითა
გასაგებლითა სრულითა;
მონანი ტურფად მოსილნი
წესითა იყვნეს რულითა!
და შეჰფრფინვიდიან ავთანდილს,
გულითა სულწასრულითა.
(1006).
(„ვეფხისტყაოსანი“, 1988 წ.).

იკითხვისი „რულითა“ იუსტინე აბულაძის კონიექტურაა. ამ კონიექტურას იზიარებს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია (იხ. ჟურნ. „მაცნე“, 1981 წ. № 3), ხელნაწერთა და გამოცემათა უმრავლესობაში „სრულითა“ იკითხება, ორ ხელნაწერშია დადასტურებული იკითხვისი „დჯანან პირ-მხიარულითა“.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველ ე. წ. ვახტანგისეულ გამოცემაში ეს სტროფი ასეთი სახითაა წარმოდგენილი:

ქალაქს შევიდეს, მუნ დახვდა:
სრა მოკაზმული სრულითა
სახემწიფოთა ყოვლითა:
გასაგებლითა სრულითა
მონანი ტურფად მოსილნი:
წესითა იყვნეს სრულითა
და შეჰფრფინვიდიან ავთანდილს:
გულითა სულ წასულითა.

ზემოთ, როდესაც 719-ე სტროფის შესახებ გვქონდა საუბარი, აღვნიშნეთ, რომ პოემაში სიტყვა „რული“ პოლისემანტურია, „ვეფხისტყაოსანში“ იგი სამი მნიშვნელობით დასტურდება: აღნიშნავს ძილს, იხმარება სიარულის მნიშვნელობით და ზოგჯერ ენაცვლება სიტყვას — „როგორ“.

რამდენად ეგუება იკითხვისი „რული“ ზემოთ დამოწმებული სტროფის მესამე ტაეპს? შეიძლება თუ არა მოცემულ კონტექსტში სადავო სიტყვას რომელიმე მნიშვნელობა ესადაგებოდეს?

1. „მონანი ტურფად მოსილნი“ მიძინებულ წესრიგში, ე. ი. უწესრიგოდ იყვნენ.

ამგვარი გააზრება შეუძლებელია.

2. „მონანი ტურფად მოსილნი“ როგორ წესრიგში იყვნენ.

3. „მონანი ტურფად მოსილნი“, შემოსული, ანუ უცხო წესრიგით იყვნენ.

იკითხვისი „რული“ ვერც ერთი თავისი მნიშვნელობით ვერ აშინაარსიანებს ტაეპს, ამიტომაც კონიექტურა ხელოვნური ჩანს. ხელნაწერთა უმრავლესობაში კი იკითხვისი „სრული“ დასტურდება, ეგებ იგი ორგანულია ტაეპისათვის, ყველაზე მეტად ესადაგება ტექსტის შინაარსს და არც მისი შეცვლის საჭიროება დგას?

„ვეფხისტყაოსნიდან“ ჩვენს მიერ დამოწმებული სტროფის პირველ ტაეპში „სრული“ გასრულებულის მნიშვნელობით უნდა გავიგოთ: „ქალაქს შევიდეს მუნ დაჰხვდა სრა მოკაზმული სრულითა“, ე. ი. ფრიდონსა და ავთანდილს მთელი სასახლე მოკაზმული დახვდათ.

მეორე ტაეპში („სახემწიფოთა ყოვლითა გასაგებლითა სრულითა“) „სრული“ უნდა გავიგოთ სრულყოფილის, სავსეს მნიშვნელობით.

ილია აბულაძე სიტყვა „გასაგებელს“ ამგვარად ხსნის: „განსაგებელი, გასაგებელ-ი, საგამგებლო, სა ერგავი, გამგებლობა („ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, 1973 წ. გვ. 67), ე. ი. მთელი სახელმწიფოთი და სრულყოფილი სამართავი, საგამგებლო მხარეებით, ანუ სხვანაირად, როგორც ვ. ბერიძეს აქვს ახსნილი: „სავსებით მოწესრიგებული“ („ვეფხისტყაოსნის“ კომენტარი“, 1974 წ. გვ. 281).

მესამე ტაეპში („მონანი ტურფად მოსილნი წესითა იყვნეს სრულითა“) იკითხვისი სრული საუკეთესოს, უნაკლულოს მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. ე. ი. „წესითა იყვნეს სრულითა“ ამგვარად უნდა ავხსნათ: საუკეთესო, უნაკლო წესრიგში იყვნენ.

ამრიგად, ჩვენი აზრით, სასურველია, აღდგეს ხელნაწერებსა და ძირითად გამოცემებში დადასტურებული იკითხვისი სრული და მოცემულმა ტაეპმა ასეთი სახე მიიღოს:

ქალაქს შევიდეს, მუნ დაჰხვდა
სრა მოკაზმული სრულითა,
სახელმწიფოთა ყოვლითა
გასაგებლითა სრულითა;
მონანი ტურფად მოსილნი
წესითა იყვნეს სრულითა,
შეჰფრფინვიდიან ავთანდილს
გულითა სულ-წასრულითა.

ეს სტროფიც რითმის მიხედვით მაჯამურია, ზემოთ განხილული სტროფის მსგავსად, კონიექტურით კი სამწევრიანი ომონიმური რითმა დავშალეთ და მთელი სტროფიც დამახინჯდა.

რაც შეეხება საანალიზო სტროფის შინაარსს, იგი ასე შეიძლება განიმარტოს: ქალაქში შევიდნენ, იქ მთელი სასახლე მოკაზმული დახვდათ, სავსებით მოწესრიგებული, ტურფად შემოსილი მონები საუკეთესო წესრიგში იყვნენ. მოუთმენელი გულით აღტაცებულნი და აღფრთოვანებულნი შეჰყურებდნენ ავთანდილს.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ზემოთ განხილულ ორ სტროფში სასურველია, აღდგეს ხელნაწერებით ნაანდერძევი იკითხვისი „სრული“. კონიექტურის შემოტანა ხელოვნურია. იგი არ იკითხება პოემის ხელნაწერებსა და უძველეს გამოცემებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ასოციაცია „გულანის“ შემოქმედება

გულანი — გულთ ხანდომად შაკრებილი წიგნიაო, — განმარტავს საბა. ასოციაცია „გულანის“ წევრებს სწორედ გულის ნება, ურთიერთპატივისცემა და ერთნაირი მისწრაფებანი აერთიანებთ.

ჩვენი გაერთიანება მწერალთა დამოუკიდებელი ასოციაციაა, ყველასგან დამოუკიდებლად ვაპირებთ ჩვენი მიზნების განხორციელებას.

ასოციაცია გამოსცემს ალმანახ „გულანს“, სადაც ქართველ ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებებთან ერთად დაიბეჭდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებაც.

ასოციაციის მიზანია დაეხმაროს ნიჭიერ ახალგაზრდას წიგნის გამოცემაში, გაგზავნოს თავისი წევრები შემოქმედებითი მივლინებით — როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე, შეძლებისდაგვარად, საზღვარგარეთის ქვეყნებშიც.

შემოქმედებითი თავისუფლება, და, რა თქმა უნდა, მწერლური პასუხისმგებლობა განაპირობებს ჩვენს საერთო საქმიანობას.

ჩვენს ასოციაციაში ფედერაციის წესით შემოვიდა საძმო „იახსარი“, ეს ლიტერატურული გაერთიანება ერთი წლის წინ შეიქმნა.

## ავტოტრენინგი

მე თვალებს ვხუჭავ, ვხედავ, მწვერვალებს
ნისლებითა აქვთ სავსე პეშვები
და სიზმარეულ სიკამკამიდან
ჩვენც სხივებივით თავქვე ვეშვებით.
მე თავს ვირწმუნებ რომ დავმშვიდდები,
რომ გულიც წყნარად ფეთქავს საგულეს,
რომ სიხარულის ფერადი ჰანგი
მოვა და სულში დაისადგურებს.
რომ არასოდეს არ წავალ შენგან,
რომ შენც არასდროს დაგავიწყდები,
რომ არ დაკენწლავს ჩემს გულს იჭვები,
როგორც ცის ზეფირს ნაძვის წიწვები.
რომ წლები ისევ წავლენ და მოვლენ,
ჩვენ ვერ დაგვღუნავს წელში წარსული,
ვერ აგვიყოლებს უდარდელობის
გიჟურ როკვაში ცრუ და ავსული.
და მე ვიხსენებ, როგორ გელოდი,
როგორ მტანჯავდი დაბადებამდე
და ფითრისფერი სიზმრის ძაფისგან
დღეები როგორ ავაფერადე.
და თავს ვახსენებ, შენ ხარ მოვალე,
შენ ჩიტის ბედზეც უნდა ზრუნავდე,
რომ არ მოგქანცოს ფუჭმა დიდებამ
დასაბამიდან დასასრულამდე...

. . .

მე თვალებს ვახელ და ვრჩები მარტო,
თვალებს ვახელ და ვერაფერს ვხედავ,
ვერ დამამშვიდა თვითშთაგონებამ.
ეგების, ლოცვამ მიშველოს, დედა,
დედა, მიშველე!
დედა, ო, დედა!
შუბლზე დამაწყე გრილი ხელები,
სახეში მცემენ ბედის ქარები,
თავგამეტებით და გახელებით.
ზოგს ბროლის კოშკი,
ზოგს ოქროს ხუნდი,
მე — სიმარტოვე მარგუნეს ბედად.
ჰო, გათვალულის მითხარ შელოცვა,
სანამდის თვალებს დავხუჭავ, დედა.

. . .

მე თვალებს ვხუჭავ და ვინაბები
და ყოველივეს ვიწყებ თავიდან,
ირიჟრიბანდა, სულში გათენდა,
მზე ცის მინდორზე ამოყვავილდა.
შროშანისფერი მაცვია კაბა,
ცის კაბადონზე ზარები რეკენ
და რწმენით მავსებს მზე — დედაჩემი,
სიმშვიდის ბილიკს მოვყვები შენსკენ.

**მაყვალა გონაშვილი**

●

ყვავილნარში ყვავილები ყვავილობენ კვლავაც,
მზე სამზეოს ამზეურებს უმზეობით დაღლილს,
აღარ დევნის მადევარი დევნილს მოსაკლავად
და ტალღებშიც ტალღა ტალღას ტალღასაც არ ახლის.
უნაპირო ნაპირებთან განაპირა ვდგავარ,
მარტოსული მარტოობას მარტოობით ვებრძვი,
სიყვარულო, შემაყვარე, ვინც მიყვარდა, კვლავაც,
სიძულვილო, შემაძულე მძულვარების მსხვერპლი.
მახსოვრობავ, გამახსენე სახსოვარი ძველი,
საპოვნელავ, მაპოვნინე უპოვნელი კაცთა,
მოლოდინის მომლოდინე ველოდი და ველი,
სიცოცხლეო, გამიცოცხლე უსიცოცხლო განცდა.
დავბრუნდი და უბრუნებლის დაბრუნებას ვცდილობ,
წასასვლელი წასულა და წაუსვლელიც წავა,
დე, სიკვდილმა სასიკვდილო მომკლას უსიკვდილოდ,
ყვავილნარში ყვავილები ყვავილობენ კვლავაც.

**ვახტანგ ღლონტი**

## მწვერვალი

ეძღვნება რეინჰოლდ მესნერს, ადამიანს, რომელმაც დაიპყრო მსოფლიოს ყველა „რვაათასიანი“ მწვერვალი!

სუნთქვაშეკრული უმზერ და ხვდები,
რომ არარა ხარ...
რძისფრად მოსჩანან ცაში ქედები...
ეტყვი — მიყვარხარ!
ცდილობ დაიპყრო მთა—ბუმბერაზი,
შეადგა ფეხი,
(...მახსოვს ბავშვობა... ჩვენი ვარაზი...
ჩვენი მეტეხი...)
და აჰა, ისიც, ვეება ქუდი, —
უძირო ზეცა,
უკან კი გზები, უვალი, მრუდი,
თოვლიც და კლდეცა;
კვლავ მოზღვავდება სიცოცხლის ძალა,
სისხლს აგიჩქროლებს,
მთა კი მორჩილად მოგიძღვნის ძალას,
გაგიცვლის როლებს:
ახლა შენა ხარ მასზე მაღალი,
ის დაგემონა,
კაცს კი უდრეკი, თეთრი მწვერვალი —
ხატი გეგონა!
...დგახარ ძლიერი, რაღას მოელი?
გულს გიკლავს სევდა:
— ჩანავლდა ცეცხლი, ცეცხლი, რომელიც
ლამეს გითევდა!

**გია გრიგოლაშვილი**

## შენდამი

შენ გიფიქრია ჩემს შესახებ: შენი სიმღერა
მილიარდობით მზის წელიწადს დაითმენს და დამიბრუნდება,
როგორც სიკვდილის, სიყვარულის, სიბრძნის შიშით დაღლილი ქალი;
შენი სიმღერა უანკარეს სიღრმეებს ამღვრევს,
ჩემს გულისგულს რომ მოაწყდეს და
შვას ბალახი, სახლი, ჩიტი, ქვეწარმავალი,
ზურგი აქციოს ღვთისკენ გზაზე აჩქარებულ მოკვდავთა მიზანს,
იცოდეს ვნება უთვალავი მკვლელის და მსხვერპლის...
ვაი შენ, ერთობ ღარიბო და მიუსაფარო,
ერთობ გალობად და თვით სიტყვად განწირულო,
და მსურხარ და მსურხარ... როგორ და არავინ გამიკითხავდა;
აი, სიჩუმე, შენს ბაგეებთან შესახვედრად გაწვრთნილი და გალაღებული;
აი, ადგილის დედანი და შვილნი მათნი,
სისხლიანი თვალებით რომ მოგიხელთებენ;
აი, მართალნი, სიტყვის სათქმელად გახსნილ პირში
სიმღერებს რომ ჩასჩრიდნენ და
ლამის წყვდიადს მათივ მკვდრებით ჩაუქოლავდნენ...
ო, ურიცხვია მათი ბედი... მიმოაგროვე
სიზმართა კვალად კაცთა აწმყო,
კიდევ ერთხელ უშველე რჩეულთ:
გაემეტოქე განთიადის ხმობასა თუ ყეფა-ყმუილში,
ისევ ძლეულთა გულებისკენ ასწავლე საშო,
სისხლი იყოს მათი მფარველი!

**დათო ბარბაქაძე**

## ნისლში როდი ჩანდნენ სახლები

როგორც ყოველთვის — დღესაც თვალს გვტაცებდა ტელევიზორი.
როგორც ყოველთვის — სავარძლები დღესაც ახლოს იყო
მიწეული ერთმანეთთან,
როგორც ყოველთვის — გაბრაზებით დავიწყეთ.
როგორც ყოველთვის — საფერფლეში ბევრი ჩაიჭყლიტა
სიგარეტი.
როგორც ყოველთვის — შენ უფრო დუმდი.
როგორც ყოველთვის — მე ტემპერამენტით გჯაბნიდი.
როგორც ყოველთვის — შეშინებული თვალები გქონდა.
როგორც ყოველთვის — ათასში ერთხელ გაგაცინებდი ხოლმე.
როგორც ყოველთვის — ახლაც თქვი: შენმა საუბარმა რაღაც
მომცაო.
როგორც ყოველთვის — ახლაც იმით დავამთავრე: უფსკრულის
პირას უნდა იცხოვრო და
ბედნიერი იყოო — (რაღაც „ბედნიერი
აპოკალიფსი“ წამომცდა).
როგორც ყოველთვის — ახლაც დამალევინე დამამშვიდებელი
წამლები.
როგორც ყოველთვის — ახლაც გაიხურე კარები შენი ოთახისა
და შიგნიდან გადარაზე.
როგორც ყოველთვის — ახლაც მარტო დავრჩი.

**ბადრი გუგუშვილი**

## ძველი ქალაქი,
## სავსე მთვარე

მე დავწერ, როცა მივიწყებულ საჩუქარივით
მომენატრება ამ ქალაქის თოვლიც, სიშიშვლეც,
ვერ შევეხები მას ფანჯრებზე, როცა ჩავივლი,
დამშვიდობებას და ამბორსაც გადავიფიქრებ.

სახლის კრამიტზე დამტვრეულან ტოტები ელვის,
საით მივყავარ სიტყვების გზას, მკაცრსა და მართალს,
ეს მთვარეც, ცის ელვარე, შიშველი ნერვი
ჩემი მწუხა... სხეუ...ან ამოიზარდა.

სავსე მთვარეა. კვლავ ზეიმობს, მავსებს და როცა
გენიალური შეცდომებით თამაშს არ იშლის,
მიაყურადე, მოუსმინე ბალახის ლოცვას
მინდვრის ყვავილთა — სიმღერების წვასა და
შიმშილს.

ფიქრით შეეხე ამ ნეკვერჩხალს, შენში რომ ღვივის,
სულში შებრუნდი, მოიტანე ლექსი თითებით,
თვით პოეზია, სავსე მთვარის წააგავს ღიმილს
და მთვარის ტაძარს, ჩემი მხრებით მივეზიდები.

ხელებში ჩაყრილ დაღლილ დღეებს შევყურებ, რადგან
მე უკვე ვიცი, რაზე მღერის ხეებში სისხლი, —
როცა არყოფნის მშვენიერი სურნელი ადგას
ტყეს შემოდგომით, თვით სამყარო ფითრდება
რისხვით.

გაქლენთილია სიტყვების გზა, ჰანგით ღვთიურით,
ველურ ყვავილთა მტვერში თვალი სასწაულს ეძებს,
დრო კი მოცურავს ძალით, არაამქვეყნიურით,
ბაბუაწვერას ჰაეროვან ნაფეხურებზე.

მე კარგად მესმის ენა წვიმის, ელვის, ქარიშხლის,
სულში ვბრუნდები, მომაქვს ლექსი შემკრთალ
თითებით.
და პოეზია სავსე მთვარის ღიმილს არ იშლის,
მეც მთვარის ტაძარს ჩემი მხრებით მივეზიდები.

**მერი შალვაშვილი**

## სასწაული

არ გავჩენილვარ ამ ქვეყნად ჯერაც
და დედაჩემი კვლავ ცოცხალია...
ამ სასწაულის მე თვითონ მჯერა,
მე თვითონ მჯერა, წმინდა მარიამ...
ჩითის კაბის ქვეშ, ჯერ ისევ დედა
ატარებს სხეულს ავსებულს ჩემით...
უკვე ვუყვარვათ, თუმცა, ვერ მხედავს,
თუმცა, ვერ მხედავს მორცხვი და ჩუმი...
რა ბედნიერი ვიყავი მაშინ,
გაჩენილი რომ არ ვიყავ ჯერაც
და დედაჩემი როს იყო ბავშვი,
მეც მასთან ერთად ვიყავი, მჯერა...
დედა კი მერე იყო ბავშვივით,
ხატივით წმინდა და უცნაური...
დატოვა მშვიდად თავის ქმარ-შვილი
და კუბოს თავზე მიწის ხმაური...
სანთლების შუქზე ნათდება ჯვარი
და დედაჩემი კვლავ ცოცხალია...
სასწაულების ხომ დავიჯერო,
ხომ დავიჯერო, წმინდა მარიამ...
მგონია, ჯერ არ დავბადებულვარ,
დედას უბრწყინავს ლალის საყურე,
კაბას ისწორებს თავისებურად
და ჩემით სავსე სხეულს დაჰყურებს...

**ვაჟა ოთარაშვილი**

## მარიამის ქარო

მარიამის ქარო —
დაო შემოდგომის,
ჩქარობ თითქოს დროა
ბერად შემოდგომის —
აქეთ, ჩემსკენ, !
მშვიდად —!
ფიტარეთთან ახლოს,
სად, სენაკში ლაღად
მომავალზე ნაღვლობ...
მაგრამ მთვარის შუქზედ,
რატომ კრთები, დაო...
მარიამის ქარო —
შემოდგომის ცაო...

**თემურ შავლაძე**

## ისევ ორშაბათი

რაკი ჩემი დღე მთვარისაა
და ორშაბათი მაინც თარსია,
თარსი ვართ მე და ჩემი წიგნიც,
არა გვაქვს ბედი მე და ჩემს ლექსებს —
გადახდილი ვდგავართ წვიმაში — როგორც შატილი...
უცხო სიტყვებში
ჰერბარიუმის ყვავილებივით ვართ ჩარჩენილი...

რაკი ჩემი დღე მთვარისაა ..
და ორშაბათი მთვარის სახლია,
ჩემი ბედიც ამ გზაზე გადის.
და თუ მოხდება რამე ისეთი,
ისევ ორშაბათს მოხდება, ისევ...

თუ აყვავდება ჩემი ჯაგი —
ორშაბათობით აყვავდება — ორშაბათობით...
ორშაბათობით ამოვა წყლიდან ეკლესიის გუმბათი
სველი
ყვითელი თევზით...
კედლის ქვასავით ჩამოვარდნილი —
შორსა ვარ ჩემი კედლებისაგან...

ცელზე შეჭრილი გველივით ვლოკავ მკურნალ
ბალახებს,
ლამის დარდის ბალახში ჩავრჩე...
არსით ნუგეში
და არც წერილი,
ჩვენ არ გვყავს ემერსონები,
(არც... არც... არავინ!,) —
ვინ მოგვწერს წერილს!
ვინ ამოგვთხრის სიმარტოვიდან?!
ჩვენა გვყავს მხოლოდ მესაფლავენი —
ერთმანეთს ვმარხავთ,
გველებივით ერთმანეთის ბილიკზე ვწევართ!
მკვდრები კიდევ მზეზე გამოგვყავს...

...ისევ თავისით მოხდება რამე,
ისევ ორშაბათს აყვავდება
ჩემი იელის ყვავილივით მწარე ლექსი...
გაზაფხულამდე აყვავდება მზებუდობის ბნელ აივნებზე,
გაზაფხულზე კი...
საფლავის ქვაზეც ყვავის ხავსი.

**კობა არაბული**

## სიზმარი

მხატვარ მალხაზ კუხაშვილს

— რა ლამაზი ფერებია?!. თითქოს მზეს წვდება ხელებით. ჰო, ჰო, მზის სხივებს ეთამაშება ნამდვილად!.. საიდან მოგივიდა აზრად ასეთი სილამაზის დახატვა?

— არსაიდან!

— როგორ თუ არსაიდან, აბა, როგორ დახატე?

— ისე, რაც ვნახე, ის დავხატე!

— როგორ, შენს თვალწინ ასეთი ლამაზი ქალი, შიშველი იდგა?...

— ჰო, ასე იყო... ეჰ, მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას ის სილამაზე, რაც მაშინ ვნახე!

— გეხვეწები, მიამბე, რა ნახე?

— სხვა დროს, ახლა დაღლილი ვარ!...

— არა, არა, ახლა მიამბე, ძალიან გთხოვ!... თუ მომეწონა, შეიძლება მოთხრობაც დავწერო!

— მოთხრობა?!

— ჰო, თანაც, მხატვრებზე არასოდეს დამიწერია!

— კარგი, რაც არის, არის, გიამბობ, იქნებ მართლაც რამეში გამოგადგეს...

●

... იმ გაზაფხულზე შემოქმედებითი მივლინება რიგაში მქონდა. კარგი დილა იყო, მზიანი. სურვილი დამებადა, ზღვის სანაპიროზე გავესეირნა. ჰოდა, მეც წავედი. კარგა ხანი კი... ზე ვიჯექი და გავცქეროდი ფირუზისფერ ზღვას, ფიქრებით კი სად არ ვიყავი!.. უცებ მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი, შევცბი, ზემოთ ავიხედე. თავზე მაღალი, სახემომღიმარი ქალიშვილი დამდგომოდა. სპორტულად გამოწყობილს საოცრად შვენოდა მხრებზე დაფენილი ჩალისფერი თმა.

— რა გნებავთ? — დაბნეულმა ვკითხე.

— არაფერი! — მიპასუხა მოკლედ და ჩემს გვერდით ჩამოჯდა.

— ვერ მიცანით?

— ვერა!

— ღმერთო ჩემო, როგორი უყურადღებოები ხართ მამაკაცები, მე კი გიცანით!

— საიდან?

—როგორ თუ საიდან, თქვენ ხომ მხატვარი ხართ?

— დიახ!

— ჰოდა, მეც თქვენი კოლეგა ვარ, თქვენსავით შემოქმედებითი მივლინებით ვარ ჩამოსული... გუშინ შეგნიშნეთ გალერეაში, დღეს აქ რომ დაგინახეთ, მაშინვე გიცანით!

— ძალიან კარგი, რომ მიცანით!.. რა გქვიათ?

— ნინა. ბელორუსიიდან, მინსკიდან ვარ!

— თქვენ, თქვენ რა გქვიათ?

— მალხაზი!

— მალხაზი?!. ლამაზი სახელია, საიდან ბრძანდებით?

— თბილისიდან, ქართველი ვარ!

— ქართველი?!. რა კარგია!.. ძალიან ბევრი რამ გამიგია ქართველებზე... ხვალ ჩემი ნახატების გამოფენაა, მოხვალთ?

— აუცილებლად!..

...მეორე დღეს მართლაც მივედი ნინას ნახატების გამოფენაზე. როცა ყველაფერი დავათვალიერე და გარეთ გამოვედი, ქალიშვილი ფეხდაფეხ გამომყვა, ხელით შემაჩერა,

— მალხაზ, რატომ არაფერს მეტყვით?.. არ მოგეწონათ? — მკითხა ინტერესით.

— კი, ნიჭიერი მხატვარი ყოფილხართ, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— მაგრამ ის, რომ ყველა თქვენი ნახატი კლასიკური, აკადემიური სტილისაა, უშუალობა, ბუნებრივი სინატიფე აკლია!

— რას ნიშნავს ბუნებრივი სინატიფე?

— როცა ხატავ, გარემოც უნდა გიწყობდეს ხელს, სუნით, ბუნების სუნით უნდა იყო გაბრუებული, — ვუთხარი და დავტოვე...

სამი დღის განმავლობაში ნინა აღარ დამინახავს... მთელი დღე ზღვის ნაპირზე ვხეტიალობდი და ისე ვკლავდი დროს. ერთ საღამოს სასტუმროში შევდიოდი, როცა ერთი ჩემი კოლეგა, მოსკოველი მხატვარი შემხვდა და მთხოვა:

— მალხაზ, მომეშველე!

— რა მოხდა?

— აია ხომ იცი?!

— რომელი აია?

— აია ზიილე, მხატვარი, კერამიკოსი.

— კი, ვიცი!

— ჰოდა, თავს იკლავდა, ძლივს გადავარჩინე! •

— რატომ? — ვკითხე გაოცებით?

— ვერ ასწრებს გამოფენის მოწყობას, დრო არ ყოფნის, ადრეც, თურმე, თავს იხრჩობდა, ძლივს გადაურჩენიათ!.. იქნებ, მივეხმაროთ, ა?

უსიტყვოდ გავყევი ჩემს კოლეგას...

აია ზიილე ეროვნებით ლატვიელი იყო, რიგაში ცხოვრობდა. მისი სახლი ქალაქის ერთ-ერთ განაპირა უბანში იდგა. მის ბინაში შესვლისას უმალ იგრძნობდით ხელოვანის გემოვნებას. განსაკუთრებით თვალში მომხვდა ლამაზად გაკეთებული, კერამიკაში გადმოტანილი ზღაპრების გმირების ილუსტრაციები... ორი დღე და ღამე გადაბმულად ვიმუშავე: თიხას ვზელდი, კერამიკას ვწვავდი, ნამუშევრებიც გადავიტანეთ... გამოფენა შედგა... ყველა ნამუშევარი გაიყიდა!..

გამოფენის შემდეგ აია გაბრწყინებული ცისფერი თვალებით მიყურებდა, ოდნავ აპრეხილი ცხვირის გვერდით კი ცრემლები ჩამოსდიოდა... ისე დამშორდა, არაფერი უთქვამს, მინდოდა რაღაც მეთქვა, მაგრამ გაყინულივით ერთ ადგილზე ვიდექი...

მეორე დილით ზღვის ნაპირზე ვიჯექი და ტალღებს გავყურებდი. მხარზე ვიღაცამ ხელი დამადო, ნინა იყო...

— იცი, რამდენი გეძებე, მალხაზ?

— შენ თვითონ სად დაიკარგე?

— მე?!. მე ვხატავდი!

— ჰოო!...

— წამოდი, გინდა ჩემი ახალი ნახატი განახო?

— კარგი!., წამოვალ!

ნინამ სადღაც, სოფლის ტიპის დასახლებაში წამიყვანა. დაბალ სახლში შევედით. ოთახი თივით იყო სავსე, სუნიც თივის იდგა...

— აი, ჩემი ახალი ნახატი! — მითხრა ნინამ. ნახატს შევხედე და გავვოცდი, სულ არ ჰგავდა მის სხვა ნახატებს...

— მე ვიგრძენი, მალხაზ, ბუნების სუნი ვიგრძენი!.. — მითხრა ნინამ და ფანჯარასთან მივიდა.

მზის შუქზე ისე ლამაზად მომეჩვენა მისი გაშლილი თმები, უცებ წარმოვიდგინე, როგორი იქნებოდა, მას რომ ფრენა შესძლებოდა, და ჩემდაუნებურად წამომცდა:

— რა კარგი იქნებოდა, ადამიანს ფრენა რომ შეეძლოს!

— ფრენა?!. მე შემიძლია ფრენა, თქვა მან და ფანჯარა გამოაღო.

სულმოუთქმელად მივირბინე, გადავიხედე... ნინა ყვავილებში ლამაზად ჩამჯდარიყო, მერე ზემოთ ამოიხედა და ორივე ხელით ჰაეროვანი, კოცნა გამომიგზავნა...

იურმალაში გავისეირნეთ, ფეხით დავხეტიალობდით. საოცრად ლამაზ ადგილს წავაწყდით, თეთრი გვირილები მწვანე მინდორს ზეწარივით გადაჰფარებოდა. ნინა სირბილით შეიჭრა გვირილებში, მე კი ბუნების სილამაზით გაოგნებული იქვე, მახლობლად, ხევს გავყურებდი, სადაც მდინარეში ჩამდგარი ჭრელი ძროხები ხარბად დასწაფებოდნენ წყალს. როცა ნინასკენ მოვიხედე, გავვოცდი,. ერთ ადგილზე გავქვავდი...

გოგო სულ მთლად გაშიშვლებულიყო, ხელები მზისკენ გაეშვირა და ტრიალებდა... მზის სხივები მის ლამაზ ხელებს და გაშლილ ჩალისფერ თმას ერთნაირად ეთამაშებოდა... შემდეგ ადგილს მოსწყდა, გვირილების ზღვა გაიარა და ხევისკენ წავიდა. ნაპირს რომ მიუახლოვდა, თითქოს გაფრენას აპირებსო, ხელები შეათამაშა და წყალში გადაეშვა...

ხევის ნაპირთან მივირბინე, გადავიხედე და კვლავ ენით აუწერელი სილამაზე დავინახე. ჩალისფერთმიანი შიშველი გოგო, ჭრელ ძროხებს შუა იდგა და ლამაზი ხელებით, რაც შეეძლო, წყალს აქაფებდა. მერე წამით შეჩერდა, მე ამომხედა და მდინარეში თევზივით ლამაზად გასცურა. თავი სიზმარში მეგონა, კარგად ვერც აღვიქვამდი, ცხადი იყო თუ სინამდვილე...

როცა მივლინებიდან თბილისში დავბრუნდი, მაგონდებოდა ნინა, მაგონდებოდა აია ზიილეც, რომელიც გამოფენის შემდეგ თვალცრემლიანი მიყურებდა და, რომლის ნახვაც მეტად ველარ შევძელი. ბინაზე ბევრჯერ მივაკითხე, მაგრამ შინ არ დამხვდა... სიზმარში კი, სიზმარში ხშირად ვხედავდი გვირილების ზღვაში მდგარ შიშველ გოგონას, რომლის ხელებიც მზეს სწვდებოდა...

●

— მართლა, რა ლამაზია!.. სინამდვილეშიც ასეთი იყო?

— მე მგონი, უკეთესიც!

— რა ჰქვია ამ ნახატს?

— არაფერი!

— მოდი, სიზმარი ერქვას!

— კარგი, ასე იყოს!

— ნინასიც არაფერი გაგიგია?

— კი, როგორ არა, კარგა ხანს მწერდა წერილებს. ბოლო წერილი ამ ორი წლის წინ მივიღე, ვთხოვდებიო, გერმანელ მხატვარს მივყვებიო ცოლად!.. მერე აღარაფერი მოუწერია!

— აია, აიას ხომ არ შეხვედრიხარ?

— არა, მხოლოდ ამ ერთი თვის წინ გავიგე, რომ თბილისში ყოფილა სტუმრად.

— მართლა?.. მერე, არ გინახავს?

— არა, შემთხვევით გაზეთიდან გავიგე. თურმე ლატვიის წლის საუკეთესო მხატვარი ყოფილა.

— მერე?

— როცა შეეკითხნენ, ქართველებზე რა წარმოდგენის ხარო, პასუხი მოკლე და კონკრეტული იყო: ძალიან კარგი, ამის მაგალითად ერთ-ერთ ჩემს კოლეგას მოგიყვანთ, რომელმაც მე უდიდესი დახმარება გამიწია და შეიძლება სიცოცხლეც კი შემინარჩუნა.

— ვის ასახელებდა?

— სუნთქვა შემეკრა, როცა გაზეთიდან მის მიერ დასახელებული ჩემი სახელი და გვარი ამოვიკითხე!..

— ღმერთო ჩემო, რა ლამაზი ფერებია?!. თითქოს მზეს სწვდება ხელებით... ჰო, ჰო, მზის სხივებს ეთამაშება ნამდვილად!...

— როგორ ფიქრობ, გამოგადგება ის, რაც გიამბე?

— შევეცდები გამოვიყენო, თანაც მხატვრებზე არასოდეს დამიწერია!.. იქნებ, მართლაც რამე გამოვიდეს!..

**ირმა კეკელიძე**



# თეირანის კონფერენცია

## მერაბ კვიტაშვილი

არკადიევმა მაშინვე განაცხადა, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში საკუთარი საშვის გარდა სხვას არ სცნობდნენ, ვინაიდან ძალზე სერიოზული საქმე წყდებოდა და ისინი ასეთ რისკზე ვერ წავიდოდნენ. მოგვიანებით, როდესაც უკვე რამდენიმეჯერ შევხვდი არკადიევს და საკმაოდაც დავუმეგობრდი, მან პირად საუბარში მითხრა: „თქვენ, გეტყობათ, არ გესმით, რომ თუ რაიმე შეემთხვა ჩერჩილს ან რუზველტს, პასუხისმგებელ ოფიცერს ტრიბუნალით გაასამართლებენ და როგორღაც დასჯიან, მაგრამ თუ სტალინს შეემთხვა რაიმე, ჩვენ ადგილზევე დაგვხოცავენ", და მან დრამატიული ჟესტიც გააკეთა — ხელი ყელთან მიიტანა, რომ ეჩვენებინა, რა მოუვიდოდა მას.

კონფერენციის უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებული პირველი სხდომის მომდევნო დღეებში ძალზე დიდ გაწამაწიაში ვიყავით მეცა და ყველა ისინიც, ვინც ამ საქმეში იყო ჩაბმული. პოლკოვნიკი რაიანის ადიუტანტად გახდომის გამო მე მოულოდნელად მნიშვნელოვანი პირი გავხდი და პასუხი უნდა გამეცა მაღალი რანგის ოფიცრების, მათ შორის გენერლებისთვისაც, რომლებიც ხან რას ითხოვდნენ და ხან რას: დამატებით გუშაგებს, დამატებით საშვებს, დამატებით ინფორმაციებს, უფრო დეტალურ ინსტრუქციებს და ა. შ. ათასი რამ საჭიროებდა გადაუდებელ ყურადღებას და არც ხალხი და არც დრო არ გვყოფნიდა, რათა ყველაფერს გავწვდომოდით. მაგრამ, როგორც ინგლისელებს უყვართ თქმა, ასეა* თუ ისე, ინგლისი და ბრიტანეთის არმია ყოველთვის ახერხებენ ფონს გასვლას, და ამჯერადაც, ერთი შეხედვით გადაულახავი წინააღმდეგობების დაძლევა არც თუ ისე ძნელი აღმოჩნდა.

თავდაპირველად სრული ქაოსი სუფევდა, არავინ იცოდა თუ რა მოვალეობა ეკისრებოდა, არ იყო დადგენილი სუბორდინაცია — ვინ ვის ბრძანებას უნდა დამორჩილებოდა. რაიმე განკარგულება გაიცემოდა და მაშინვე ვინმე სხვა მის საწინააღმდეგო ბრძანებას იძლეოდა. ერთი ქვეგანაყოფი გაიგზავნებოდა რაიმე პოზიციის ან შენობის დასაკავებლად, იქ კი უკვე რომელიმე სხვა ქვეგანაყოფი დახვდებოდათ. ერთხელ, ინგლისელებმა და ამერიკელებმა კინაღამ სროლა აუტეხეს ერთმანეთს. იყო საჩივრების გაუთავებელი ნაკადი, რომელთა უმრავლესობა ჩემს მიმართ იყო გამოთქმული. საბჭოელები ყველაზე უარესად იქცეოდნენ და მათთან საქმის წარმოება ძალიან ძნელი იყო. ისინი ჩვენ ყოველთვის ეჭვის თვალით გვიყურებდნენ, უნდოდათ ყველაფერი თავისებურად გაეკეთებინათ და ყველაფრით უკმაყოფილონი იყვნენ. ამასთანავე, უაღრესად უხეშად და უზრდელად იქცეოდნენ, მაგრამ, ეტყობოდათ, ასეთ მოქცევას ნორმალურად თვლიდნენ. გენერალ-მაიორი არკადიევი მათი არაოფიციალური წარმომადგენელი იყო, მაგრამ მას არ ეკავა უშიშროების სამსახურის ყველაზე მაღალი პოსტი. არა ვარ დარწმუნებული, მაგრამ, მგონი, სეროვიცა და კრუგლოვიც (შემდეგში „ენკავედესა" და „გეპეუს" უფროსები) თეირანში იყვნენ, ხოლო მათი ყველაზე მთავარი უფროსი რასაკვირველია, თვით ლავრენტი ბერია იყო.

ერთადერთი ნორმალური ადამიანი საბჭოელების მხარეს, რომელთანაც შეიძლებოდა თავისუფლად ლაპარაკი და ურთიერთობა, იყო ქართველი გენერალ-მაიორი შალვა (შალიკო) წერეთელი, სტალინის პირადი დაცვის უფროსი, რომელიც სტალინთან ერთად ჩამოვიდა, თუ არ ვცდები, პარასკევს, 26 ნოემბერს. იგი წარმოსადეგი, ჭკვიანი და ზრდილობიანი ადამიანი ჩანდა და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ყველა ბრიტანელ და ამერიკელ ოფიცერზე, ვისაც კი რაიმე კავშირი ჰქონია მასთან. ჩემთან ის ყოველთვის ზედმიწევნით კორექტული და საქმიანი იყო, მაგრამ თავი საკმაოდ შორს ეჭირა და არც ძალიან დავახლოვებულვართ ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში, როცა კი საბჭოელებთან საქმე მეტისმეტად გაგვირთულდებოდა, მე წერეთელთან მაგზავნიდნენ ხოლმე და ის როგორღაც ყოველთვის ახერხებდა საქმის მოგვარებას და რაიმე დამაკმაყოფილებელი გამოსავლის მოძებნას. იგი მართლაც რომ საინტერესო პიროვნება იყო, ჰქონდა მეთაურობის ნიჭი და თეირანში მყოფ უშიშროების სამსახურის ყველა რუს ოფიცერზე რამდენიმე თავით მაღლა იდგა.

არ შემიძლია იგივე ვთქვა მეორე ქართველზე, გენერალ-მაიორ კაპიტონ ნაჭყებიაზე, რომელსაც იქ შევხვდი. იგი გიგანტური აღნაგობის ადამიანი და, ალბათ, შესრულებელი ოფიცერიც იყო, მაგრამ სხვაფრივ გიგანტს ვერ შევადარებდი. მე ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს მას ყოველთვის რაღაცის ეშინოდა. ერთხელ მე თვითონ გავხდი მოწმე იმისა, თუ როგორ ელაპარაკებოდა, ან უფრო სწორად, ლანძღავდა მას ბერია და ეს პირდაპირ საცოდავი სანახაობა იყო. რაც არ უნდა იყოს, ნაჭყებია გენერალი იყო და ბერია კი ისე ელაპარაკებოდა, თითქოს მის წინ უბრალო მოსამსახურე ან ყმა მდგარიყო.

საერთოდ, ბერია საშინლად უხეშად და დამამცირებლად ექცეოდა თავის ხელქვეითებს. იგი ჩემი და სხვა ბრიტანელი ოფიცრების თანდასწრებითაც უყვიროდა და აგინებდა რუს გენერლებს და არაფრად არ აგდებდა მათ ღირსებას. რაღა საკვირველია, რომ მათ ის სძულდათ. ჩემს მიმართ კი ბერიას ყოველთვის ძალზე ზრდილობიანად და მეგობრულად ეჭირა თავი და მასთან რაიმე საკითხზე შეთანხმება არასოდეს გამჭირვებია. იგი მართლაც ექსტრაორდინარული პიროვნება იყო, ნამდვილი ლიდერი, კაცი, რომლისაც ეშინოდათ და სძულდათ, მაგრამ, ამავე დროს, პატივსაც სცემდნენ, შესაძლოა, მისი გამჭრიახობის ან მისი ენერგიისა და მოქმედებისუნარიანობის გამო.

ჩერჩილი, ასევე ბრიტანეთის დელეგაციისა და მათი შტაბის წევრები, შაბათს, 27 ნოემბერს ჩამოვიდნენ სხვადასხვა მარშრუტითა და სხვადასხვა დროს, მაგრამ ყველანი დაეშვნენ ერთსა და იმავე აეროპორტში, მეჰრაბადში, რომელიც თეირანიდან დასავლეთით რამდენიმე მილის მანძილზე მდებარეობდა. რუზველტი და მისი დელეგაციაც ამ აეროპორტში ჩამოფრინდა, ხოლო სტალინი, მოლოტოვი და სხვა საბჭოელები წინა დღით, 26 ნოემბერს ჩამოვიდნენ თეირანიდან აღმოსავლეთით მდებარე აეროპორტში, მგონი, მას დოშან ტაპეჰი ერქვა.

ჩერჩილი უკმაყოფილო დარჩა მისი ჩამოსვლისთვის მომზადებული უსაფრთხოების ორგანიზაციით. თავისი ნაშრომის, „მეორე მსოფლიო ომის" მეხუთე ტომში, რომლის ქვესათაურია „რკალის შეკვრა", იგი წერს: „ვერ ვიტყვი, რომ თეირანში ჩემი შეხვედრის ორგანიზაციამ აღტაცებაში მომიყვანა..." და შემდეგ მკაცრად აკრიტიკებს უსაფრთხოების ორგანიზაციას. სამხედრო პოლიციის უფროსი კი იმ აზრისა იყო, რომ არსებულ სიტუაციაში (თუ მხედველობაში მივიღებთ უზარმაზარ დისტანციას, ვიწრო ქუჩებს, მოსახლეობისათვის სამოძრაო გზების გადაკეტვის შეუძლებლობას და ა. შ.) უსაფრთხოების ორგანიზაცია საუკეთესოდ იყო მომზადებული. გამოყოფილი იყო ორი „ნაპიერის" მარკის მანქანა, რომელთა ფანჯრები განგებ ტალახით იყო გასვრილი, რათა არავის დაენახა, თუ ვინ იჯდა შიგ. ამასთანავე, არავინ იცოდა, რომელი მანქანით იმგზავრებდა ჩერჩილი. მე უფრო სამხედრო პოლიციის უფროსს ვეთანხმები და, ჩემი აზრით, ჩერჩილის საჩივარი არ იყო სამართლიანი. ერთგვარი საშიშროება, რასაკვირველია, არ იყო გამორიცხული, მაგრამ ყოველგვარი ზომა იყო მიღებული პრემიერ მინისტრის უსაფრთხოების გარანტირებისათვის.

საბჭოელებს არავითარი პრობლემა არ ჰქონიათ. მათ მოიყვანეს ჯარისკაცების მთელი ბატალიონი, სრულიად გადაკეტეს სტალინის გასასვლელი მარშრუტი და მიახლოების საშუალებაც კი არავის მისცეს.

ჩერჩილი თუ უკმაყოფილო დარჩა უსაფრთხოების ორგანიზაციით, რუზველტი, რომელიც 27 ნოემბერს ჩამოვიდა, მთლად განრისხდა. იმ დროს, ამერიკის საელჩო თეირანის არც თუ ისე თანამედროვე სექტორში იყო განლაგებული და მისკენ მიმავალი ვიწრო ქუჩები პირდაპირ გაჭედილი იყო ხალხით. აეროპორტიდან საელჩოსკენ მიმავალ გზაზე რუზველტის მანქანებს დაყოვნება და, მგონი, რამდენჯერმე შეჩერებაც მოუხდათ მოძრაობის სიხშირის გამო და რუზველტმა მიიჩნია, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ფაქტიურად ასეც იყო, ვინაიდან, ნებისმიერ ადამიანს შეეძლო ტყვია ან ყუმბარა ესროლა მისთვის. რუზველტი ისე იყო განრისხებული, რომ მისვლისთანავე გაანთავისუფლა თანამდებობიდან საწყალი ამერიკის ელჩი, ვისი სახელიც, თუ სწორად მახსოვს, დრეიფუსი უნდა ყოფილიყო. უფრო მეტიც, მან უარი თქვა დარჩენილიყო ამერიკის საელჩოში.

სტალინმა და ჩერჩილმა შეიტყვეს რუზველტის გადაწყვეტილების შესახებ, მაგრამ სტალინმა პირველმა შესთავაზა პრეზიდენტს გაჩერებულიყო საბჭოთა საელჩოში, რომელიც იმ სამში ყველაზე დიდი იყო, რუზველტი დათანხმდა, ჩერჩილმა კი ამ ამბის სხვა ვერსია აღწერა თავის „რკალის შეკვრაში". იგი ამბობს, რომ საბჭოელები კიდევ უფრო მეტად ნერვიულობდნენ, ვიდრე ამერიკელები, რადგანაც იმ შემთხვევაში, თუ სტალინს დასჭირდებოდა ამერიკის საელჩოში რუზველტთან სალაპარაკოდ მისვლა, მას მოუხდებოდა ვიწრო, ხალხმრავალ და საშიშ ქუჩებში გავლა. ჩერჩილი წერს: „მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დაზვერვამ აღმოაჩინა შეთქმულება, რომლის მიზანი იყო მოეკლათ, როგორც ჩვენ გვიწოდებდნენ, დიდი სამეულის ერთი ან მეტი წევრი. ამიტომ მას ძალზე აღელვებდა ის აზრი, რომ ხან ერთი, ხან მეორე ჩვენგანი გამუდმებით ქუჩაში აქეთ-იქით იმგზავრებდა... მე მხარი დავუჭირე მოლოტოვის თხოვნას, რომ პრეზიდენტი გადასულიყო საბჭოთა საელჩოში, რომელიც საბჭოთა ჯარისკაცებითა და პოლიციით იყო გარშემორტყმული... ჩვენ დავითანხმეთ ბატონი რუზველტი ეს კარგი რჩევა ყურად ეღო და მეორე დღესვე იგი მთელი თავისი შტატით მათთან გადავიდა".

რუზველტი კონფერენციის მთელი მსვლელობის განმავლობაში საბჭოთა საელჩოში დარჩა. მას მთავარი რეზიდენცია დაუთმეს, ხოლო სტალინი საელჩოს უფრო მომცრო შენობაში გადავიდა. როგორც ელიოტ რუზველტი წერს თავის წიგნში, „მისი თვალებით" რუსებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა რუზველტისათვის მათ საელჩოში ცხოვრება სასიამოვნო ყოფილიყო.

ჩერჩილის ჩამოსვლისთანავე, პოლკოვნიკმა რაიანმა და გენერალ-ბრიგადირმა დუგლასმა (შოტლანდიელი, რომელიც ბრიტანეთის საელჩოს შიგნით და მის გარშემო განლაგებულ უსაფრთხოების ძალებს ხელმძღვანელობდა) ბრძანება გასცეს ჩამოეყალიბებინათ ოფიცერთა ყარაული, რომელსაც პრემიერ-მინისტრის დაცვა ევალებოდა. ამ სიაში ჩემი გვარიც* იყო შეტანილი, რაც უაღრესად დიდ პატივად მიმაჩნდა და ინგლისელების მხრივ, ჩემდამი ნდობის ნიშნად ჩავთვალე. რაც არ უნდა იყოს, მე ვიყავი უცხოელი, ქართველი, ვისი ანტისაბჭოთა და ანტირუსული განწყობა საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ინგლისელები იმდენად მენდობოდნენ, რომ უფლება მომცეს, მივახლოვებოდი ჩერჩილს, სტალინს და სხვა პირებს.

კვირას, 28 ნოემბერს, დაახლოებით ნაშუადღევის 4 საათზე, საბჭოთა საელჩოში ჩატარდა სამივე დელეგაციის პირველი პლენარული სხდომა. რამდენიმე საათით ადრე მე და კიდევ ერთი ინგლისელი ოფიცერი იქ გაგვაგზავნეს, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ ყველაფერი მზად იყო ჩერჩილისა და მისი ჯგუფის მისაღებად. ჩვენ უნდა მიგვეცა საბჭოელებისათვის ყველა იმ პირის სია, რომლებიც მათთან მისვლას აპირებდნენ. საბჭოელებმა კატეგორიულად გამოგვიცხადეს, რომ სხვას არავის მისცემდნენ უფლებას, კონფერენციის დარბაზში შესულიყო ან იქ მყოფთ მიახლოვებოდა. ამასთანავე, ყველა საყარაულო მოვალეობა საბჭოელებს ევალებოდათ. ეს კი ეწინააღმდეგებოდა ადრე მიღწეულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად ჩვენც გვეძლეოდა უფლება საკუთარი დაცვა გვყოლოდა, როცა კი ჩერჩილი საბჭოთა საელჩოში მივიდოდა, მაგრამ, რადგანაც ეს შეხვედრის პირველი დღე იყო, პოლკოვნიკმა რაიანმა გადაწყვიტა არ ეკამათა და ამის შედეგად არც მე და არც ვინმე სხვა უსაფრთხოების პირი საბჭოთა საელჩოს მთავარ შენობაში არ შესულა. გამონაკლისი გაკეთდა კაპიტანი ტომპსონისათვის („ტომმი"), საზღვაო ოფიცრისათვის, რომელიც ჩერჩილის პირადი ადიუტანტი იყო და ყოველთვის თან ახლდა მას.

ინგლისელთა მხრიდან, ჩერჩილის გარდა, პირველ პლენარულ სხდომას ესწრებოდნენ: სახელმწიფო მდივანი ანტონი იდენი, საიმპერიო გენერალური შტაბის მდივანი, გენერალი სერ ჯონ დილი, ჩერჩილის პირადი მრჩეველი სამხედრო ოპერაციების საკითხებში, ლორდი ისმეი, გენერალი სერ ალან ბრუკი, საჰაერო თავდაცვის უფროსი, გენერალი პორტალი, ადმირალი კუნინგამი და ჩერჩილის თარჯიმანი, მაიორი ბირსი, რუზველტის თარჯიმანი იყო ჩარლზ ბოლენი და სტალინისა კი პავლოვი. ეს სამნი მთელი კონფერენციის განმავლობაში თარჯიმნობდნენ, თუმცა, სტალინს სხვაც ჰყავდა, ვინმე ბერეჟკოვი, რომელმაც რამდენიმეჯერ შეცვალა პავლოვი.

მე ძალიან დავუმეგობრდი მაიორ ბირსს. ის შთამომავლობით შოტლანდიელი იყო, მისი წინაპრები მე-18 თუ მე-19 საუკუნეში რუსეთში დასახლდნენ და იქ დიდი საბანკო დაწესებულება დააარსეს. ბირსი რუსულად შესანიშნავად ლაპარაკობდა, აქცენტის ნასახიც არა ჰქონდა და, საერთოდ, იყო უაღრესად სიმპათიური ადამიანი, რომელიც იცნობდა საქართველოს და ძალიან მოსწონდა ქართველები.

კვირას, 28 ნოემბრის ნაშუადღევს, დავალების თანახმად, ვიმყოფებოდი საბჭოთა საელჩოს ტერიტორიაზე, თუმცა, არა იმ შენობაში, სადაც კონფერენცია მიმდინარეობდა. და აქ მეორეჯერ შევხვდი ბერიას. მას ახლდა რამდენიმე საბჭოთა გენერალი, რომლებზედაც ის რაღაცის გამო ძალზე გაბრაზებული იყო. როდესაც მე დამინახა, გამიღიმა, დამიძახა და მკითხა, აქ რას აკეთებთო, როდესაც მე ავუხსენი, იგი ერთ-ერთ გენერალს მი-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო" № 37.

უტრიალდა და გაბრაზებულად ისევ რაღაცა უთხრა, რაც მე ვერ გავიგე. მგონი, მას უსაფრთხოების ორგანიზაცია არ მოსწონდა. შესაძლოა, არ უნდოდა, რომ თუნდაც ერთი ინგლისელი ოფიცერი ყოფილიყო მათ ტერიტორიაზე. ის საშინლად უხეშად ექცეოდა თავისიანებს, უყვიროდა, მაგრამ ჩემს მიმართ ძალიან ზრდილობიანი იყო.

ახლა კი, ვფიქრობ, დროა აღვწერო ბერიასთან ჩემი პირველი შეხვედრა. საღამო ხანს, შაბათს, 27 ნოემბერს, იმ დღეს, როდესაც ჩერჩილი თეირანში ჩამოვიდა, საბჭოთა უშიშროების სამსახურის ოფიცერთა ჯგუფი, წერეთლის, არკადიევის და რამდენიმე სხვა პირის ჩათვლით, ეწვია ბრიტანეთის საელჩოს, რათა ადგილი დაეთვალიერებინათ და უსაფრთხოების ზოგიერთი დეტალი მოეგვარებინათ. ბერიაც მათთან იყო. როცა მას პირველად მოვკარი თვალი, ის ცალკე, სხვებისგან რამდენიმე ფუტის დაშორებით იდგა, მაგრამ როდესაც წერეთელი მიუახლოვდა და რაღაც უთხრა, რაც უდავოდ ჩემს შესახებ უნდა ყოფილიყო, მან ჩემსკენ გამოიხედა და ქართულად დამელაპარაკა: „მე მითხრეს, რომ შენ ქართველი ხარ", მან სწორედ „შენ" და არა „თქვენ" იხმარა. მე მივუახლოვდი, სალამი მივეცი და ქართულადვე ვუპასუხე, დიახ, მართლაც ვლაპარაკობ ამ ენაზე-მეთქი. შემდეგ სახელი მკითხა და როდესაც ვუთხარი, შენიშნა, ეგ სახელი ქართულს სულ არა ჰგავსო. მაშინ მე ავუხსენი (როგორც ეს, მევალებოდა), რომ მამაჩემი ინგლისელი იყო, დედა კი ქართველი და დედამ ქართველად გამზარდა-მეთქი. მან ეჭვით შემომხედა და მკითხა, თუ საიდან იყო დედაჩემი. მე დაუფიქრებლად ვუპასუხე, რაჭიდან-მეთქი, რადგან ჩვენ წარმოშობით იქიდანა ვართ, მაშინ გვარი მკითხა და როდესაც ვუთხარი მიქელაძე-მეთქი, გაიღიმა და თქვა: მიქელაძეები რაჭიდან არ არიან, ეგ იმერეთში კარგად ცნობილი გვარიაო. ეს მართლაც ძალზე სულელური შეცდომა დავუშვი და ბერიამაც მაშინვე დამიჭირა ამაში.

ჩვენ კარგახანს ვისაუბრეთ. მან ბევრი პირადი კითხვა მომცა: სად ვიყავი დაბადებული, სად მივიღე განათლება, როდის წავედით მე და ჩემი ოჯახი საზღვარგარეთ სწორედ ასე შემეკითხა, როდის დატოვე რუსეთიო. აინტერესებდა, პროფესიონალი ოფიცერი ვიყავი თუ სამხედრო ვალდებულებისთვის მობილიზებული, როდესაც ვუთხარი, მოხალისედ ჩავეწერე სამხედრო სამსახურში და პროფესიით სამთო და მეტალურგიის ინჟინერი ვარ-მეთქი, დაინტერესდა. ისიც ვუთხარი, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ვიყავი ნამყოფი. მკითხა, ქართველებს თუ შევხვედროდი ჩემი მოგზაურობების დროს, ვუპასუხე, ალბათ, რახან ჯერ კიდევ ასე კარგად ვლაპარაკობ ქართულად-მეთქი.

ამ საუბარში შალვა წერეთელმაც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ბევრი კითხვა არ დაუსვამს. ბერიამ მკითხა, ჩერჩილს თუ ვახლდი, როდესაც ის უკანასკნელად მოსკოვში იყო. მე ვუთხარი, არა-მეთქი, მაგრამ დავამატე, რომ ძალიან მინდოდა, როდისმე მოსკოვშიც და საქართველოშიც ჩავსულიყავი. მან მკითხა, თუ მახსოვდა რამე საქართველოზე და დასძინა, იქ ბევრი რამ შეიცვალა და ველარ იცნობთ საქართველოს, გინდაც რამე გახსოვდეთო.

ბერია მართლაც ძალიან თავაზიანად იქცეოდა და ისე მელაპარაკებოდა, თითქოს ჩვენ ორი უბრალო ქართველი ვყოფილიყავით, რომლებიც პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. მე მაშინ კაპიტანი ვიყავი, მაგრამ ბრიტანეთის ჯარში კაპიტანს სამხრეებზე სამი ვარსკვლავი უკეთია და ბერიას (ისევე როგორც სხვა საბჭოელებს) თავდაპირველად ეგონა, რომ მე გენერალი ვიყავი. მითხრა, რა ახალგაზრდა გენერალი ხარო, როდესაც ავუხსენი, რომ მხოლოდ კაპიტანი ვიყავი, [illegible] გაუკვირდა და მკითხა, ბრიტანეთის ჯარში კაპიტნებს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების უფლება თუ ჰქონდათ. მე ვუთხარი, რომ მე მხოლოდ პოლკოვნიკ რაიანის ადიუტანტი ვიყავი და არავითარი უფლება არ მქონდა უსაფრთხოების საკითხებში რაიმე სერიოზული გადაწყვეტილება მიმეღო.

როდესაც პოლკოვნიკი რაიანი ვახსენე, ბერიამ მითხრა, რომ მისი ცნობების თანახმად, რაიანთან თანამშრომლობა შეუძლებელი იყო, აქ მან პირველად დაიწყო რუსულად ლაპარაკი: «Он ничего не понимает. Не понимает серьезности положения», თქვა მან და, ამასთან ერთად, ძალიან ცივი და მოღრუბლული გამომეტყველება მიიღო, ცოტა ხნის შემდეგ კი დაუძახა ერთ-ერთ რუს გენერალს და ძალზე გაბრაზებულად დაუწყო რაღაცაზე ლაპარაკი. მე მივხვდი, რომ დრო იყო, დამემთავრებინა საუბარი და წავსულიყავი.

ბერიამ პირველი შეხვედრისთანავე ძალზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე... მომდევნო დღეების განმავლობაში მე მას რამდენიმეჯერ შევხვდი და ვესაუბრე როგორც პირად, ისე უსაფრთხოების საკითხებზე და პირვანდელი შთაბეჭდილება კი არ შემცირებულა, პირიქით, გაიზარდა კიდეც. იგი უდავოდ ძალზე ჭკვიანი და გამჭრიახი კაცი იყო, უზარმაზარი ნებისყოფის მქონე და, ამასთანავე, მეთაურობისა და სხვებზე გავლენის უნარით დაჯილდოებული. თავისთავშიც მეტად დარწმუნებული ჩანდა. ეტყობოდა, რომ ვერავითარ საწინააღმდეგო აზრს ვერ იტანდა და არაფრადაც არ აგდებდა, სრულიად შეუწყნარებელი იყო სხვების მიმართ და ძალიან ბრაზდებოდა, თუკი ვინმე რამეში არ ეთანხმებოდა, თუმცა, ამას ვერცერთი საბჭოელი ვერ უბედავდა, ისინი მის წინ ყმებივით იქცეოდნენ. გამონაკლისს შეადგენდა წერეთელი, რომელიც ზოგჯერ ეკამათებოდა კიდეც და ბერია ხანდახან ზოგ რამეში ეთანხმებოდა ხოლმე. ბერიას, ეტყობოდა, ძალიან აღიზიანებდა, როდესაც რომელიმე ამერიკელი ან ინგლისელი ამა თუ იმ საკითხზე სხვა აზრისა იყო და მის წინადადებას არ ღებულობდა. სწორედ ამიტომაც, მაშინვე შეიძულა პოლკოვნიკი რაიანი, რომელსაც ის არც ისე დიდ ვინმედ მიაჩნდა და, ფაქტიურად, მართლაც არ იცოდა, რა უზარმაზარი უფლებებით სარგებლობდა ბერია საბჭოთა კავშირში.

ალბათ, თავის ძალაუფლებაში აბსოლუტური თვითდაჯერება გახდა შემდგომში ბერიას კრახისა და სიკვდილის მიზეზი. მას უბრალოდ, ვერც კი წარმოედგინა, რომ ვინმეს მისი ჯობნა შეეძლო. ნამდვილად შეუძლებელი იყო, ბერიას მიმართ ვინმეს რაიმე სიმპათია გასჩენოდა, მაგრამ იგი უდავოდ პატივისცემასა და ინსტინქტურ შიშს იწვევდა, პირდაპირ ასხივებდა გულცივობასა და სისასტიკეს. როგორც აღვნიშნე, ის ყოველთვის მეგობრულად და თავაზიანად მექცეოდა. მგონი, მოვწონდი და ნამდვილი სიმპათიითაც იყო ჩემს მიმართ განწყობილი, ერთხელ მითხრა: შენთვის, ქართველი კაცისთვის, ძნელი უნდა იყოს ყველა ამ ინგლისელებსა და ამერიკელებს შორის ცხოვრება. ალბათ, მარტოობას გრძნობო. მან არც კი ჩათვალა საჭიროდ, ჩემთვის თავი მოეჩვენებინა, ვითომ დაეჯერებინოს, რომ მამაჩემი ინგლისელი იყო, თავიდანვე მომმართავდა და მექცეოდა, როგორც ქართველს. და მაინც, მიუხედავად მისი თუნდაც გარეგნულად მეგობრული განწყობისა, ჩემი მოკვლის ბრძანება სწორედ მის მიერ უნდა ყოფილიყო გაცემული. იმ დროს, თეირანში, უფრო ნაკლები რანგის მქონე, ვერც ერთი საბჭოთა სამხედრო პირი ვერ გაბედავდა ბრიტანეთის ოფიცრის მოსაკლავად ხელი აღემართა, მაგრამ ბერიამ, ჩანს, გადაწყვიტა რომ მე საშიში პიროვნება ვიყავი და ბრძანება გასცა, რათა ჩემთვის ბოლო მოეღოთ. ამ თავდასხმის შესახებ მე უფრო მოგვიანებით ვიტყვი ორიოდე სიტყვას.

მთავარი საკითხი, რომელიც „დიდი სამეულის" პირველ შეხვედრაზე იქნა განხილული, ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას ეხებოდა. მეორე ფრონტი, რასაკვირველია, უკვე არსებობდა იტალიაში, მაგრამ სტალინი მას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და იმ აზრზე იდგა, რომ დასავლეთის მოკავშირეებს მხოლოდ ჩრდილოეთ საფრანგეთში გადმოსვლით შეეძლოთ დახმარებოდნენ წითელ არმიას და ომი სწრაფად და გამარჯვებით დაემთავრებინათ. ჩერჩილი ეთანხმებოდა, რომ ჩრდილოეთსა და ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში გადმოსვლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთანავე, ამტკიცებდა, რომ იტალიის კამპანიაც უნდა გაგრძელებულიყო და საფრანგეთზე შეტევის დასაწყებად იქიდან მხოლოდ რამდენიმე დივიზია უნდა მოეხსნათ. ჩერჩილი იმასაც ფიქრობდა, რომ საჭირო იყო, გაკეთებულიყო კიდევ ერთი ცდა, რათა თურქეთი მოკავშირეების მხარეს ომში ჩარეულიყო და ამით გაეადვილებინა, ფაქტიურად, შესაძლებელი გაეხადა ბალკანეთიდან სამხრეთ და ცენტრალურ ევროპაზე შეტევა. ჩერჩილმა დასვა კითხვა, თუ რისი შეთავაზება შეეძლოთ მოკავშირეებს, რათა თურქეთი ომში ჩარეულიყო. ამაზე სტალინმა უპასუხა, რომ თურქეთისთვის არავითარი დაპირება არ უნდა მიეცათ და, თუ საჭირო გახდებოდა, იგი უნდა აეძულებინათ, ომში მონაწილეობა მიეღო. მაგრამ, მისი აზრით, ბალკანეთში ფრონტის გახსნის არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა, ვინაიდან, ამგვარი ოპერაცია გამოიწვევდა იმას, რომ დიდი სამხედრო ძალები, რომლებიც საფრანგეთზე შეტევისთვის უნდა გამოყენებულიყო, ბალკანეთში უმნიშვნელო ბრძოლებში იქნებოდა დაკავებული.

სტალინს ეს პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ მას თურქეთის ომში შემოსვლა აშკარად არ უნდოდა. ალბათ, უკვე ემზადებოდა, რათა ომის შემდეგ მის ტერიტორიაზე პრეტენზია განეცხადებინა და კარგად ესმოდა, რომ თუკი თურქეთი მოკავშირე გახდებოდა, მასზე უფლების წაყენება გაცილებით უფრო ძნელი იქნებოდა. ფაქტიურად, სრულიად შესაძლებელია, რომ სტალინს სინამდვილეში უნდოდა თურქეთი ომში გერმანიის მხარეზე გამოსულიყო, ერთხელ მე ჩერჩილთანაც გამოვთქვი ეს აზრი, რამაც იგი საკმაოდ გააკვირვა, მაგრამ შეაფიქრიანა კიდეც.

პირველმა პლენარულმა სხდომამ საკმაოდ დიდხანს გასტანა, მაგრამ „დიდი სამეული" რამდენიმე საათის შემდეგ პრეზიდენტ რუზველტის მიწვევით მასთან სადილად შეიკრიბა. საერთოდ, როგორც ამას ჩერჩილი აღნიშნავს თავის მემუარებში, მთელი ამ კონფერენციის განმავლობაში, პირადი შეხვედრების, ვახშმებისა და სადილების დროს იმდენივე საკითხი იქნა განხილული და გადაწყვეტილი, როგორც ფორმალური შეხვედრებისას. რუზველტი და სტალინი უფრო ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ვიდრე რუზველტი და ჩერჩილი, ან სტალინი და ჩერჩილი. ეს მხოლოდ იმიტომ არ ხდებოდა, რომ რუზველტი საბჭოთა საელჩოში იმყოფებოდა. ამის შესახებ ჩერჩილს თავის ნაშრომში ერთი კურიოზული დეტალი აქვს აღნიშნული. „...რუზველტს არ უნდოდა, სტალინს სცოდნოდა, რომ ჩვენ ერთმანეთს ცალკე ვხვდებოდით. მე ამან გამაკვირვა, რადგანაც ვთვლიდი, რომ ჩვენ სამივე ერთნაირი ნდობით უნდა მოვეპყრობოდით ერთმანეთს..." („რკალის შეკვრა").

მიუხედავად იმისა, რომ ჩერჩილი ამას წერს, სინამდვილეში ის სტალინს არასოდეს არ ენდობოდა, თუმცა, უდავოდ მოსწონდა და აფასებდა ზოგიერთ მის თვისებას. რუზველტს კი სჯეროდა, რომ შეიძლებოდა სტალინის ნდობა და რომ ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა მასთან თანამშრომლობა ახალი და უკეთესი სამყაროს ასაგებად. ჩერჩილმა, მეორე მხრივ, იცოდა, რომ არ შეიძლებოდა სტალინის ან მისი სიტყვების დაჯერება, და რომ ომის შემდეგ, ომამდელზე გაცილებით უფრო ძლიერი საბჭოთა კავშირით სტალინი ისევ ჯიუტი და შეურიგებელი მტერი გახდებოდა.

ორშაბათი, 29 ნოემბერი, ძალზე დატვირთული დღე იყო, როგორც ყველასათვის, ასევე ჩემთვის. დილით სამივე სახელმწიფოს სამხედრო მეთაურების შეხვედრა იყო დანიშნული, შეხვედრის დაწყებამდე, დილაადრიანად, უსაფრთხოების რომელიღაც საკითხთან დაკავშირებით, ისევ საბჭოთა საელჩოში გამაგზავნეს. მაგრამ, როგორც ყოველთვის, მათთან რაიმეზე შეთანხმება ძალზე ძნელი აღმოჩნდა. მათმა ერთ-ერთმა გენერალმა (მგონი, კრუგლოვმა) განაცხადა, რომ, მათი აზრით, ყველაფერი მზად იყო და არავითარი სხვა მოლაპარაკება ან შემოწმება არ იყო საჭირო. სანამ საელჩოდან წამოვიდოდი, გენერალი არკადიევიც მოვიდა და მე და სხვა რამდენიმე ოფიცერი ვახშმად თავის ბინაში მიგვიპატიჟა. ამან ძალიან გამაკვირვა და ვუპასუხე, რომ უსათუოდ მივიდოდით, თუკი, არაფერი გადაუდებელი საქმე არ გვექნებოდა. მაგრამ ისე მოხდა, რომ მეც და არკადიევიც ძალიან დაკავებული ვიყავით იმ დღეს და მხოლოდ ერთი თუ ორი დღის შემდეგ მოგვიხდა ერთად ვახშმობა.

მეორე პლენარული შეხვედრა იმავე დღეს და ისევ საბჭოთა საელჩოში ოთხ საათზე უნდა დაწყებულიყო. მაგრამ დაწყებამდე განსაკუთრებული ცერემონია ჩატარდა, რომლის დროსაც ჩერჩილმა სტალინს გადასცა დიდების ხმალი, რომელიც ინგლისის მეფის დაკვეთით იყო გამოჭედილი, სტალინგრადის ბრძოლის აღსანიშნავად. ამ ცერემონიას მხოლოდ რამდენიმე პირი უნდა დასწრებოდა. მე მათ სიაში არ ვიყავი, მაგრამ უკანასკნელ მომენტში როდესაც ბრიტანეთის წარმომადგენლობა უკვე საბჭოთა საელჩოში წასვლას აპირებდა, გენერალ-ბრიგადირმა დუგლასმა თუ პოლკოვნიკმა რაიანმა, აღარ მახსოვს, რომელმა მანიშნა, ჯგუფს შევერთებოდი და, ამგვარად, მეც დავესწარი ამ ძალზე შთამბეჭდავ ცერემონიას. როდესაც „დიდ სამეულსა" და მათ თანმხლებლებს სურათებს უღებდნენ, კადრში რამდენიმეჯერ მეც მოვხვდი და ეს სურათები თეირანის კონფერენციის შესახებ დაწერილ წიგნებშიც დაიბეჭდა. დიდი, დიდი ხნის შემდეგ, 1989 წელს ჩემი თავი ამერიკაში, ტელევიზორშიც დავინახე, როდესაც უჩვენებდნენ დოკუმენტალური ფილმების პროგრამას სახელწოდებით „მსოფლიო ომის დროს".

ჩერჩილმა ცერემონია გახსნა მოკლე სიტყვით, რომელშიც აღნიშნა, რომ ინგლისი და მისი ხალხი აღფრთოვანებული არიან სტალინგრადის თავდადებული დაცვით და რომ მეფემ მას დაავალა, მისი პატივისცემის ნიშნად, ეს ხმალი რუსი ხალხისთვის გადაეცა.

სტალინმა ჩამოართვა ეს მართლაც მშვენიერი ხმალი, ამოიღო ქარქაშიდან და აკოცა. შემდეგ ვოროშილოვს გადასცა და მას კინაღამ ხელიდან გაუვარდა. თავის მემუარებში ჩერჩილი წერს, რომ ეს ვოროშილოვს მოუვიდა, მე კი მახსოვს, რომ სტალინი იყო, მაგრამ მოახერხა მისი დაჭერა, სანამ იატაკზე დავარდებოდა. შემდეგ რუსების საპატიო ყარაულმა ხმალი ოთახიდან გაიტანა. უნდა ვთქვა, რომ ეს ყველაფერი უაღრესად საზეიმო ვითარებაში ჩატარდა და მეც ძალზე ამაღელვა.

ცერემონიის შემდეგ დიდი სამეული და მათი ასისტენტები კონფერენციის დარბაზში გავიდნენ. მეც იქვე, საბჭოთა საელჩოში დავრჩი, რომ საჭიროების შემთხვევაში მზად ვყოფილიყავი. ამ მეორე პლენარულ სხდომას ესწრებოდა შტაბის უფროსი, რომელმაც დიდ სამეულს მათი დილანდელი შეხვედრის გადაწყვეტილებები მოახსენა. მოლაპარაკების მთავარი საგანი ისევ „ოვერლორდი" (საფრანგეთზე თავდასხმის კოდური სახელი) იყო. სტალინი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ეს ოპერაცია არაუგვიანეს 1944 წლის მაისში დაწყებულიყო და მასში ბრიტანეთისა და ამერიკის ჯარების უმრავლესობას მიეღო მონაწილეობა. ის თანახმა იყო მეორე შეტევის დაწყებაზე საფრანგეთის სამხრეთ რაიონში, მაგრამ ეს მხოლოდ იტალიაში ან ჩრდილო აფრიკაში მყოფი სამხედრო ძალების გამოყენებით უნდა მომხდარიყო. მას აგრეთვე უნდოდა სცოდნოდა, თუ ვინ იქნებოდა ამ შეტევის ხელმძღვანელი და რამდენიმეჯერ დაუბრუნდა ამ საკითხს. ეტყობოდა, ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

შემდეგ ისევ ილაპარაკეს ბალკანეთსა და, თურქეთზე. ჩერჩილმა დამსწრეებს მიუთითა, რომ ბალკანეთში იუგოსლავიის პარტიზანების წინააღმდეგ გერმანიის 21 დივიზია იბრძოდა, და რომ ბულგარეთს 9 დივიზია ჰყავდა საბერძნეთსა და იუგოსლავიაში. მან აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო იუგოსლავიისთვის დახმარების გაწევა, რათა გერმანელებს არ შესძლებოდათ არცერთი თავიანთი სამხედრო ნაწილის გადაყვანა ბალკანეთიდან საფრანგეთში, როდესაც მოკავშირეები შეტევაზე გადავიდოდნენ. სტალინი დათანხმდა, რომ იუგოსლავიისათვის დახმარების გაწევა იყო საჭირო, მაგრამ, სამაგიეროდ, მოითხოვდა, რომ ბალკანეთზე შეტევა ან ამ რეგიონში რაიმე სხვა მნიშვნელოვანი ოპერაცია არ ჩატარებულიყო. ყველასათვის ცხადი იყო, რომ სტალინს უბრალოდ არ უნდოდა, მოკავშირეებს რაიმე ჯარები ჰყოლოდათ ბალკანეთში და არც თურქეთის ომში ჩარევა სურდა. მოგვიანებით მან წამოაყენა კიდეც რუსეთისათვის თბილი წყლების საზღვაო პორტების გამოყოფის საკითხი. მოითხოვა დარდანელი და სევრის ხელშეკრულების გადასინჯვა. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ საბოლოოდ მაინც ჩერჩილმა გაიმარჯვა. სანამ თეირანის კონფერენცია დამთავრდებოდა, სტალინი თანახმა იყო მოკავშირეებს ახალი, ენერგიული ზომები მიეღოთ, რათა თურქეთი ომში ჩარეულიყო.

რასაკვირველია, ამ კონფერენციაზე ბევრი სხვა საკითხიც იქნა განხილული, მაგრამ მე ხაზს ვუსვამ თურქეთს, ვინაიდან, ყოველი ქართველისათვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და ახლაც აქვს.

პლენარული სხდომის შემდეგ მონაწილეები თავთავიანთ საცხოვრებელ ადგილებს დაუბრუნდნენ, მაგრამ სადილად ისევ შეგროვდნენ; იმ საღამოს სადილზე სტალინი მასპინძლობდა და საუკეთესო ფორმაშიც ჩანდა. ალბათ, კმაყოფილი იყო კონფერენციის მსვლელობით და ყველას მიმართ მეგობრულსა და ლაღ დამოკიდებულებას იჩენდა. როგორც ჩერჩილი წერს თავის „წრის შეკვრაში", სტალინს შეეძლო ძალზე დადებითი შთაბეჭდილება მოეხდინა, როცა კი ამას მოისურვებდა. ყველა მხიარულ განწყობაზე იყო და ბევრი სადღეგრძელო დაილია. მაგრამ კინაღამ ყველაფერი გააფუჭა სტალინის ერთმა რემარკამ, რომელიც მან სერიოზულად თუ, როგორც შემდეგ ამბობდა, ხუმრობით თქვა. ლაპარაკი იყო გერმანიის ომის შემდგომ სტატუსზე და სტალინმა აღნიშნა, რომ მათი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო, სრულიად დაეშალათ გერმანიის გენერალური შტაბი და ყველანაირი ზომა მიეღოთ, რომ იგი აღარ აღდგენილიყო. ამისათვის, განაცხადა მან, ჩვენ დაგვჭირდება 50 000 გერმანელი ოფიცერი მაინც დავხვრიტოთო.

ჩერჩილი საშინლად განრისხდა და თქვა, რომ ეს წარმოუდგენლად ბოროტი იდეა იყო და რომ ბრიტანელი ხალხი არასოდეს, არასოდეს არ დაუჭერდა მხარს ასეთ სისასტიკეს. ჩერჩილის აღშფოთებას საზღვარი არ უჩანდა, ხოლო ელიოტ რუზველტმა, პრეზიდენტის ვაჟმა, რომელიც ასევე ესწრებოდა სადილს, საქმე გააუარესა იმით, რომ სავსებით დაეთანხმა სტალინს. ჩერჩილი ისე გაბრაზდა, რომ დატოვა მაგიდა, გავიდა გვერდით ოთახში და დივანზე დაჯდა. ისე მოხდა, რომ მე და ორი თუ სამი საბჭოთა ოფიცერი იქვე მეზობელ ოთახში ვმორიგეობდით. კარები ღია იყო და მე ყველაფერს ვხედავდი და ყოველი სიტყვა მესმოდა. ჩერჩილი დაფიქრებული იჯდა. როდესაც სტალინი, მოლოტოვი და თარჯიმანი პავლოვი შემოვიდნენ. სტალინი ჩერჩილს მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და ფართო ღიმილით უთხრა, რომ მხოლოდ იხუმრა და რომ მას, რასაკვირველია, აზრადაც არ მოუვიდოდა ათასობით ადამიანის დახვრეტა. მან ეს ისეთი სახით თქვა, თითქოს ასეთი რამ მისთვის მართლაც წარმოუდგენელი ყოფილიყოს, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში მისი თანხმობით ან მისივე ბრძანებით ასობით ათასი და მილიონი ადამიანი იყო დახვრეტილი. მე ზუსტად არ მახსოვს, რა სიტყვები იხმარა სტალინმა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ სწორედ მაშინ პავლოვი დაიბნა და მაინცდამაინც კარგად ვერ გადათარგმნა. მოლოტოვიც იღიმებოდა და ამბობდა, რომ არ შეიძლებოდა ხუმრობის სერიოზულად მიღება, რომ მეგობრებს შორის გაუგებრობას არ უნდა ჰქონოდა ადგილი და ა. შ., და ა. შ.

ინგლისურიდან თარგმნა
დოდონა კიზირიამ

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# თუ გამოვაკლებთ ოჯახს და მივუმატებთ უწუნს...

ჩვენს გაჭირვებულ პროზას,
თუ გამოვაკლებთ ოჯახს
და მივუმატებთ უწუნს —
მივიღებთ პრუწუნ-პრუწუნს.

გალაკტიონი

## თამაზ წივწივაძე

გაგონილი გექნებათ: საქართველოს ერთ მაღალმთიან კუთხეში ადგილობრივი მკვიდრნი ბევრი ნადირის დახოცვის შემდეგ თოფს მიწაში მარხავენ!

რადგან ყველა „ძველი ვალი" თითქმის გასტუმრებული მქონდა, ამ წესიდან გამომდინარე, ჩემი „საბრძოლო იარაღის" (კალმის!) დამარხვას მეც ვაპირებდი!

სწორედ ამ დროს შევიტყვე, „თვითნაკეთ" ჟურნალ „ნაცარქექიას" არაფრის გამო გავუკრიტიკებივარ!

ცხადია, მე ნათქვამ სიტყვას არ გადავალ და ქართველი მწერლების გასაკრიტიკებლად, თუ ძალისძალად არავინ გამომიწვევს, კალამს ხელში არასოდეს ავიღებ!

იუმორისტულ ჟურნალში გაკრიტიკება კი ძალიან გამიხარდა! ამით საშუალება მომეცა, ჩემს ძვირფას მკითხველებს სიცილით დავემშვიდობო!..

●

გაკვირვებული ვიყავი, ამ ბოლო დროს საქართველოში ყველა რომ იცინოდა!

მართალი გითხრათ, არავისთვის მიკითხავს — ასე ერთიანად რა უხაროდათ!

მოგვიანებით გავიგე, თბილისში ახალი სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ნაცარქექია" დაუარსებიათ და ეს მისი მკითხველები ყოფილან, სიცილით რომ იხოცებოდნენ!

ამ სასაცილო ჟურნალის ნომერში სახელმწიფო კურსით მანეთი რომ გადავიხადე, ვიფიქრე, მთლად ამდენისას არა, მაგრამ თუ ესენი ათი შაურისას მაინც გამაცინებენ, დანარჩენს ჩემთვის ვიცინებ-მეთქი!

რაკი ხარჯი გავწიე, ჟურნალი ბოლომდე წავიკითხე!

არსად რომ არ გამეცინა, ახლა ამის გამო ამიტყდა სიცილი!

გული მაინც არ დამწყვეტია. ვიფიქრე, პირველი ნომერია, რედაქციას გამოცდილება აკლია — გამოვა მეორე ნომერი და, რა მეჩქარება, ერთად ვიცინებ-მეთქი!

თქვენმა მტერმა იცინა ისე! — მეორე ნომერში მე თვითონ ვიყავი გაკრიტიკებული!..

●

ჟურნალის დეტალურმა გაცნობამ დამარწმუნა: ამ ორგანოს მთავარი ნაცარქექია მოხალისე იუმორისტი ზურაბ რატიანი ყოფილა!

მე კიდევ უფრო პატარა ნაცარქექიას — ჯემალ რატიანს გავუკრიტიკებივარ!

ერთი სიტყვით, დამწყები „მეღადრეები" წერილის დასაწყისიდანვე მეღადავებიან და, სადაც წამასწრებენ, ღადავით, „ნიჭიერ კრიტიკოსს" მეძახიან...

ღმერთმა ხომ იცის — მე მათი საღადაო არა ვარ!

მაგრამ, ეტყობა, ნაცარში დიდხანს ჯდომით ნაცარას (თხას ვგულისხმობ!) ავადმყოფობა შეეყარათ!

ხომ გახსოვთ, თხა რომ გასუქდა, მგელი შემახვედრაო, ინატრა! ეს შეხვედრაც შედგა.

●

ვერ წარმოიდგენთ, რა თავისუფლად ვგრძნობ თავს, იუმორისტული ჟურნალის თანამშრომლებს რომ ველაპარაკები!

არადა, მთელი ჩემი ცხოვრება სერიოზული გამოცემების მკითხველებთან „პრუწკვამ" მომკლა.

ა, ხალხი! — იუმორისტული ორგანოს მკითხველებს ვგულისხმობ! — რაც გინდა უთხარი, ყველაფერს ხუმრობაში ატარებენ!

ამიტომ არის, ამათთან შეხვედრას რომ არაფერი მირჩევნია!..

ჩემო დამწყებო ნაცარქექიებო

სულით და გულით გილოცავთ ახალი ჟურნალის დაარსებას და ერთს ვისურვებდი — ღმერთმა სულ სასაცილოდ მოგცეთ საქმე!

მეტი რა შეგვრჩება — დავსხდეთ ერთად და ვიცინოთ!

აბა, თუ სიტუაციის მიხედვით მოვიქეცით, — დღევანდელ ყოფას რომ ვაკვირდები — ტირილით გული უნდა ამოგვიჯდეს!

თქვენ კარგად იყავით და მე ვიტირებ! — თქვენი ანგარიშით, მე ისედაც არ მქონია კარგად საქმე!

ოღონდ იმის უფლება კი მომეცით, ასე ტირილ-ტირილით მოგიყვეთ იმათზეც, ვინც ამ დღეში ჩამაგდო!...

●

ეს მერამდენე წელია, ნაცნობი ლიტერატორები ჯემალ რატიანთან შეხვედრას გაურბიან!

მიზეზიც აქვთ! აუტანელია იმ კაცთან ყოფნა, სულ იმას რომ ბელრიტინებს, — ჩემზე დაწერეო!

არადა, ამდენი ნაცნობი ლიტერატორიდან ერთმაც ვერ შეძლო მისი რომელიმე წიგნი ბოლომდე წაეკითხა!

ტყუილს ვერ ვიტყვი — ჩემთვის ასეთი რამ არ უთხოვია, მხოლოდ შორიდან მითვლიდა, თუ გამაკრიტიკებ, ქვეყანა გამიცნობს!

მე ეს კეთილშობილური განზრახვა კიდეც რომ მქონოდა, ახდენა არ ეწერა!

თუნდაც იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ჯ. რატიანის „შემოქმედებას" მე არ ვიცნობ!

მისი მხოლოდ რამდენიმე ლექსი თუ მექნება წაკითხული ადრე, როცა „ქვემსუბუქ" ჟანრში (მინიატურულ პოეზიაში!) მუშაობდა!

ხოლო, მას შემდეგ, რაც „ზემძიმე წონაში" (რომანის ჟანრში) გადავიდა, თითქმის იმ წუთიდანვე, მის „ნაშრომებთან" ყოველგვარი კონტაქტი გავწყვიტე!

რაკი თავის დროზე ჭკუა ვისმარე, ახლა ამ კაცის რომანებს ფიზიკური ძალის გამოყენებითაც ვერავინ წამაკითხებს! რა ვუყოთ მერე — მირჩევნია ქუჩაში თავგატეხილმა ვიარო, ვიდრე ცუდ წიგნებს თავი გამოვალაყებინო!...

●

რაც არ წამიკითხავს, იმაზე ვერ გეტყვით, როგორია, ლექსები კი — ვენაცვალე! — ძალიან სუსტი აქვს!

შუაღამისას ჩემს ოთახში
კალამი მღერის...
და არ მაძინებს...

აი, მთელი ლექსი, — პირველი სტრიქონიდან უკანასკნელამდე!

თქვენც შეატყობდით, ეს ლექსი კარგად გამოძინებული კაცის დაწერილი არ არის!

ამის მიუხედავად, მე მაინც ის მირჩევნია, პოეტს ლუმინალი ვუშოვო და ნორმალურად დავაძინო, ვიდრე მეორე დღით მისი კალმის „ნამღერი" ვიკითხო!

დავარქვით ღორი,
ვაჭმევთ, ვასმევთ და
ვასუქებთ ჩვენთვის.

ჩემზე უბედური კაცის ნახვა, ალბათ, გაჭირდება, მაგრამ ერთ რამეში მაინც კი მქონია ბედი — პოეტისგან მოშორებით რომ ვცხოვრობ და მისი კალმის ღამეული ფხაჭუნი არ მესმის!

გათენებულზე კი კაცი საშველს ყოველთვის იპოვი — სხვა თუ არაფერი, ქვეყანა დიდია და სადღაც დურთავ თავს!..

ძაღლმა დამსუნა,
როგორ გგონიათ, მიმიღო
თვისად?
შემომღრინა,
თუმც არ მიკბინა.

არა მგონია! ძაღლს იმდენი ჭკუა კი აქვს, ჯ. რატიანი თავისიანებში არ აერიოს.

საერთოდ კი, — მიუხედავად იმისა, რომ ძაღლი ადამიანის მეგობარია, — საქმის დაჭერა მაინც კაცთან ჯობია!

პატარა ბავშვი გავაჩერე,
ვკითხე სახელი.
წარმოიდგინეთ...
მან შემაგინა.

დავიჯერო ახლა, რომ ამ ღლაპს პოეტის ლექსები ჰქონდა წაკითხული?!

აბა, რამ გადარია! — სხვა რა მიზეზით უნდა ეგინებინა ამხელა კაცისთვის?!

ამის უცოდინარობა მე ახლაც მკლავს!

ეტყობა, მთლად გულხელდაკრეფილი არც პოეტია!

ცოდნას ვიღრმავებ
ყოველდღე ახლით,
და ვიგრძენ, ორმოს,
წყალი მოადგა,
— მოვიკლავ წყურვილს.

ცოდნის შევსებაზე, ეტყობა, მეც ინტენსიურად უნდა ვიზრუნო, თორემ, დღემდე დაგროვილი მარაგით, ამ მართლაც მშვენიერი ლექსის ბოლომდე გაგება მიჭირს!

ბავშვობისდროინდელი გამოცდილებით კი ვიცი, ორმოს წყალმა ისე მალე იცის დამყაყება, რომ მერე წყურვილის მოსაკლავად არ ვარგა!

უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ, გუბედ იქცევა!

საკუთარი თავის პატივისმცემელი კაცი დამყაყებულ გუბეში არც ჩავა!

გუბესთან ვიდექ —
დავკარი ტაში, შეწყდა ყიყინი.
წყალში ჩავყვენე...
არსაიდან გამოძახილი.

ბოდიშს ვიხდი პოეზიის მოყვარულებთან, მაგრამ, ვიდრე პოეტი ამოყვინთავდეს, უნდა გავასწრო! — გუბიდან ბაყაყის ამოყვინთა გამიგია მე და — არა კაცის!

●

წესიერ ლიტერატურაზე გაზრდილ მკითხველს შეიძლება ჩემი წერის „მანერა" არ მოეწონოს!

ჩემო ძვირფასო მკითხველო! იუმორისტული ჟანრის მწერლებთან ლაპარაკს მე ნუ მასწავლით!

ისინი მთელი ცხოვრება ან სხვებს დასცინიან, ან საკუთარ თავს!

თანაც, ჟანრის სპეციფიკურობის გამო, რაც უკეთესად დასცინებენ — ის ჯობია!

ამიტომ, მათთან ლაპარაკი მე არ მიჭირს!

ღმერთმა აგაშენოთ, ზურაბ და ჯემალ რატიანებო, ამდენი რომ მაცინეთ!

თქვე მართლა დამწყებო ნაცარქექიებო, ასე მწარედ რომ არ გავეკრიტიკებინეთ, გუნებაზე ვინ მომიყვანდა!

ახლა მართლა არა მიშავს — რაკი სასიათზე მოვედი, ცოტას კიდევ წავიმასხრებ თქვენსავით და მერე შეიძლება იმაზეც კი გიპასუხოთ, ენამოჩლექით რომ დამცინით — „ნიჭიერო კრიტიკოსო!"

ვიცი, ბატონო ზურაბ, რასაც მეტყვით, — მე რა შუაში ვარ, ჩემი ჟურნალის ფურცლიდან ჩემი ბიძაშვილი დაგცინოდაო!

ეჰ, ჩემო მეგობარო, თქვენ რომ ხელი არ შეგეწყოთ, ამას რისი თავი ჰქონდა! ნახეთ, რას წერს:

ერთი კი ვიცი —
ცალი კამეჩი უღელს ვერ
გასწევს...

ესეც მე ვარ, ბატონო ზურაბ! ხომ ხედავთ, პირზეც დაგადგათ!..

●

მე მგონი, კარგად მოვიქეცი, თავის დაცვის მაგიერ ნაცარქექიებს იქით რომ შევუტიე! თავის დროზე დევიც რომ ასე მოქცეულიყო, ეს ჩემი ნაცარქექია ახლაც კეცის ქვეშ იქნებოდა!

— რაღა კეცის ქვეშ ყოფნა და რაღა შენს ხელში ჩავარდნაო! — იტყვის, ალბათ, საქმეში ჩახედული მკითხველი.

მადლობელი ვარ, ჩემო კეთილო მეგობარო, ამ შექებისთვის! მართლაც, ჩემს ოპონენტს ჭკუა რომ ყოფნოდა, ამ დღეში თავს არ ჩაიგდებდა!

მაგრამ რა ვუყოთ! მოტყუვდა საწყალი. ორი ათეული წელია, მწერლობაში თავისით ვერ იშოვა სახელი და ასე, ჩემი გაკრიტიკებით უნდოდა აშენება!

გაკრიტიკებით კი მართლაც მონდომებით გამაკრიტიკა! მიკვირს, მეტის მონდომებით რატომ ალაგ-ალაგ კანი არ დაუსკდა!

ჯერ მარტო სათაური რად ღირს — „ასე საქართველო შორს ვერ წავა!".

როგორია!

ჯერ ისედაც სად მიდის ეს გაჭირვებული საქართველო... მერედა, რომელი საბჭოთა იმპერია მე ვიყავი, წინ რომ გადავდგომოდი!

მართალია, ეს ყველაფერი იუმორისტული ჟურნალის ფურცლებზე წერია და, შეიძლება, ხუმრობაც კი ეგონოს კაცს, მაგრამ მე იღბალი ვინ მომცა! — ისეთი მკაცრი ტონი დაჰკრავს, წარბს ვერ გახსნი!...

●

ალბათ, გახსოვთ, ერთი ორი თვის წინათ, რესპუბლიკის ხელმძღვანელებს თხოვნით მივმართე, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე უნივერსიტეტი გაეხსნათ!.

მე რა ვიცოდი, ამით ქვეყანას თუ ვაქცევდი!

ჯ. რატიანის წერილს თუ დავუჯერებთ, ჩემს „მიმართვას" ხალხი გადაურევია! თვითონ კი ბეწვზეა გადარჩენილი!

„მართალი გითხრათ, „სათაურის" ამ ფორმამ გამაკვირვა. პირველად, სანამ ტექსტს გავეცნობოდი, ვიფიქრე, რაღაც საშინელება სდება-მეთქი".

ერთი სიტყვით, ბატონ ჯ. რატიანს მოჩვენებია, ომი იწყებაო!

არა, რომელი თავდაცვის მინისტრი მე ვიყავი, მთავრობა რომ გამეფრთხილებინა — სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია-მეთქი!

არადა, ბატონი ჯემალი აშკარად ტყუის!

აგერ წელიწადი იქნება, დღე ისე არ გავა, ქართული პრესის ფურცლებზე მთავრობის სახელზე ამ ფორმის მიმართვა არ დაიბეჭდოს!

ესეც ჩემი ბედის ამბავია! — მაინცდამაინც ჩემს „მიმართვას" გადაურევია ეს დალოცვილი!

„ტექსტს რომ გავეცანი, ცოტა დავმშვიდდი"-ო.

წერს ბატონი ჯემალი, მაგრამ ახლა მე ამიტყდა თავის ტკივილი — დიდხანს ხომ არ ვანერვიულე-მეთქი!

არადა, ხელის კანკალი მის სტრიქონებს კიდევ ეტყობა!

„მაგრამ ბოლოს, როცა ვნახე, რომ ცნობილი კრიტიკოსი თამაზ წივწივაძე აწერდა ხელს, კვლავ ავფორიაქდი".

მომიკლავს კაცი და ეს არის! არც ვიცოდი, ჩემი გვარი ასე თუ ალიზიანებდა, თორემ ფსევდონიმად ფაშურიძეს [illegible]!

„ბოლოს[illegible] ქვეყ[illegible] ხომ. ზღვარი აქვს, [illegible] შუაშია თამაზ წივწივაძე ისეთ სპეციფიკურ დარგებთან, როგორიცაა სწავლების სხვადასხვა ფორმები..."

ბატონო მთავრობავ! თუ თქვენს კონსტიტუციურ მოვალეობად ისევ რჩება თქვენდამი რწმუნებული ქვეყნის მოქალაქის დაცვა — ჩემზე გაჭირვებულ კაცს ვერსად ნახავთ!

იწამეთ ღმერთი და აუხსენით ბატონ ჯემალს, რომ ჩემს „მიმართვაში" „სწავლების სხვადასხვა ფორმებზე" ლაპარაკი არ ყოფილა. მე მარტო ის ვიკითხე, ამ ეტაპზე ქუთაისში უნივერსიტეტის გახსნა თუა-მეთქი შესაძლებელი!

ბატონი ჯემალი კი წუთით[illegible] ვერ ითმენს — სული ყელში [illegible]ოხდის!

„ეს უკვე მეტისმეტია, ხომ ხედავთ, მან მოინდომა ის, რაც დიდმა ივანე ჯავახიშვილმა რის ვაი-ვაგლახით მოახერხა".

ღრმად პატივცემულო საქართველოს ხელისუფალნო! — ერთ თხოვნაზე თქვენ სხვა დროსაც არაფერი გაგიკეთებიათ, მაგრამ, თავის დაზღვევისთვის, კიდევ გეხვეწებით, ნურც ახლა იზამთ ამას, თორემ შურისგან მოკვდება ეს დალოცვილი!

●

„თამაზ წივწივაძემ კარგად იცის, რომ ისეთ მოთხოვნას, როგორიცაა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის უნივერსიტეტად გადაკეთება, გულგრილად ვერავინ შეხვდება და, მართლაც, საშურ საქმეს ყველა ქართველი აუბამს მხარს..."

კი, მაგრამ ქუთაისში უნივერსიტეტის გახსნაზე მარტო რატიანები რომ გადაირიეთ, სადაური ნაცარქექიები ხართ თქვენ? ქართველები არა ხართ?!

„პირადად მე განათლების სისტემას ოცი წელი შევალიე, თანაც მწერალი გახლავართ, და ამიტომ გავბედე, გავბედე კი არა, გადავწყვიტე, წივწივაძისთვის მეპასუხა. მწერლები ჩვეულებრივ მკითხველთან შედარებით, უფრო ღრმად ვუკვირდებით წერილის ტონს, პათოსს, სტრიქონებს, სიტყვებსა და თვით ასოებსაც კი, ლაპარაკი არა მაქვს შინაარსის ვარგისიანობაზე".

რა ყოფილხართ ეს მწერლები, ბატონო ჯემალ, მით უფრო, არავინ რომ არ გიცნობთ, ისეთი მწერლები!

თურმე რამდენ რამეს აკვირდებით!

მაგრამ, საოცარია, ცხოვრებაში და საკუთარ ლექსებში ასეთი დაკვირვებული რომ არ ჩანხართ?!

შევედი წყალში
და მეგონა, ფონი მოვნახე...
თურმე ვიხრჩობი...

კაცი იმდენს რომ ვერ მიხვდები, ნებიერად ცურავ წყალში თუ... იხრჩობი! რა უფლებით უნდა თქვა — „მწერლები, ჩვეულებრივ მკითხველთან შედარებით, უფრო ვუკვირდებით" ყველაფერსო!

მკითხველებს კი დაგვცინით, მაგრამ არც ისე სულელები ვართ, როგორც თქვენ გგონივართ!

ხო ძაან ვგიჟდებით! მაგრამ ღრმა წყალში თქვენი წიგნიც რომ შეგვიგდოთ, გამოსატანად მაინც არ შევალთ!..

ამის გარდა, მე საცოდავს აქამდე სულ მეგონა, მწერლები შეიძლება „შინაარსის ვარგისიანობასაც" კი აქცევენ-მეთქი ყურადღებას!

რომ არ დაგიმალოთ, თქვენი ზოგი ლექსი მე შინაარსის გამო მომწონდა, თორემ ისინი, როგორც პოეზია, მტერმა წაიკითხა!

ძვირფასო მკითხველო, აი, ნახეთ, საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით რა კეთილშობილურია ეს ლექსი:

დედა აკეთებს ბლის მურაბას,
მე კურკებს ვისვრი.
და ამოდის მიწიდან ბალი.

მარჯვე შვილი დედას [illegible]ლის თავის მოხუცებაშიც მოეხმარებოდა, მაგრამ, ნაკლებ შრომატევადი საქმე, ალბათ, არც კურკის სროლაა!

ზოგი რეგვენი, მაგალითად, კურკას პირდაპირ ყლაპავს!

რასაკვირველია, ბოტანიკის ისტორიამ იცის შემთხვევები, როცა ბალი განავალს გაყოლილი კურკიდანაც ამოსულა! მაგრამ, ჯერ

ერთი, ეს ერთეული ფაქტები რკინიგზის ლიანდაგის ჩაყოლებაზე უფრო იჩენს თავს! —

და მეორეც, ამ საქმეს კაცის მიზანმიმართული შრომა ნაკლებად ეტყობა!

ამიტომ, ცამდე მართალია ბატონი ჯემალი, სადაც ბალს ჭამს, კურკასაც იქვე რომ ისვრის!

სწორადაც ფიქრობს: თავისთვის სახარგებლო ამ მოქმედებას თუ ბალიც ამოყვა, ხომ კარგიო, თუ არადა, აი, დარდიო!...

●

შეიძლება, ზემოთ ცოტა გადავაჭარბე, მაგრამ ჩემი ნაკლიც უნდა გაგიმხილოთ — იუმორისტ მწერლებთან ლაპარაკით — როგორც ზოგი ბლით! — ვერ ვძლები!

ამიტომ, თუ მკითხველი არ გავცდალე, ცოტას კიდევ განვაგრძობ!

არადა, მე ხომ ვიცი, ჩემი გაკრიტიკება ბატონ ჯემალს მხოლოდ იმისთვის დასჭირდა, მკითხველისთვის რომ ეთქვა, მწერალი გახლავართო!

თანაც ამ „თემას“ იგი რამდენჯერმე უბრუნდება!

„მწერლები, ჩვეულებრივ მკითხველებთან შედარებით, უფრო ღრმად ვუკვირდებით წერილის ტონს...“.

ამ აზრს იგი უფრო გრძელი ფორმითაც იმეორებს!

„და სწორედ ამიტომ წარმოვაჩინე ჩემი თავი ამ წერილში მწერლად, რომელიც კიდევ უფრო ღრმა მკითხველი გახლავს სხვა მკითხველებთან შედარებით...“.

ეჰ, ჩემო ნაცარქექია, ეგრე შენ, თუ გინდა, დევი მოატყუე!

მწერალს როგორი თვალი აქვს, მაგას მე მასწავლი?!

ახლავე აგიხსნით, რასაც ამბობთ!

დავუშვათ, თქვენ ჩემი „მიმართვა“ იმიტომ არ მოგეწონათ, რომ, როგორც მწერალი, „უფრო ღრმად აკვირდებით“ საგნებსა და მოვლენებს, მაგრამ, ბრიყვო ნაცარქექიავ (ზღაპრის გმირს მივმართავ!), თუ თქვენი ეს დაკვირვება საყოველთაოა, მაშინ „მიმართვა“ არც სხვა მწერლებს უნდა მოსწონებოდათ!

ასე არ გამოდის ლოგიკით, ნაცარქექიავ?!

აბა, ახლა მე გეტყვი!

ჩემი ეს „მიმართვა“ ძალიან მოეწონათ:

პოეტ ჯანსულ ჩარკვიანს (წერილობით დაადასტურა!);

პროზაიკოს რევაზ მიშველაძეს (წერილობით დაადასტურა!);

კრიტიკოს ჯანსულ ღვინჯილიას (წერილობით დაადასტურა!);

მთარგმნელსა და მწერალს ამირან კალაძეს (წერილობით დაადასტურა!).

მეტსაც გეტყვი: მიმართვა საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებასაც მოეწონა და ერთხმად განაცხადა — მხარს ვუჭერთო!

შეიძლება ამ ორგანიზაციაში გაერთიანებული ყველა მწერალი ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტდეს, მაგრამ თქვენ რომ ყველა გჯობიათ, — ამას მე ვადასტურებ!

●

დაიხსომეთ, ჩემო კარგო ნაცარქექიავ!

მწერლობა უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე ჭყინტი ყველიდან წყლის გამოდენა!

მწერლის სახელის შოვნა ისე იოლად არ ხდება, როგორც ეს თქვენ გგონიათ, „სწორედ ამიტომ წარმოვაჩინე მკითხველის წინაშე ჩემი თავი ამ წერილში მწერლადო“.

იფ, რა იოლად მოგიხერხებიათ!

მწერლის სახელსა და გვარს მხოლოდ კარგი მოთხრობა და ლექსი წარმოაჩენს!

მკითხველიც ასე უფრო იმახსოვრებს!

თქვენ კი ჯერჯერობით მხოლოდ კურკების სროლაში გამოიჩინეთ თავი!

ცხადია, როცა დედა ბლის მურაბას ხარშავს, ვინმე კურკის გადაყრაშიც უნდა მიეშველოს, მაგრამ ყოველთვის ის კი არ უნდა იძახოს, — კურკებს კი ვყრი, მაგრამ თანაც მწერალი გახლავართო!

არავიზე ნაკლები მწერალი არ იყო ვაჟა-ფშაველა, მაგრამ ნახეთ, რა მოკრძალებით მიგვანიშნებს ამას:

პოეტად ვიხსენიები, თუმცა —
ხარი ვარ, ლაბაო,
ჩემისთანები ბაგაზე ათი ათასი
აბაო!..

მართალია, თანამედროვე პოეტები გასული საუკუნის მწერლებთან შედარებით, მეტსაც ხედავთ და უკეთაც წერთ, მაგრამ თავმდაბლობა ისეთი ადამიანური თვისებაა, ყველა დროში ფასობს!

თორემ რას ამბობ! დღეს რომ უკეთ ხედავთ და უკეთ აკვირდებით, ამას წყალი არ გაუვა!

წვიმა მოვიდა, შხაპუნა წვიმა.
მე... სახლში ვზივარ.
ვინც გარეთ არის, ყველა
სველდება.

რასაკვირველია, ეს უბედურება დაუკვირვებელ მკითხველებს დაგვატყდებოდა თავს, თორემ „მწერალი რომ უფრო ღრმად აკვირდება მოვლენებს“, ამ ლექსიდანაც ჩანს — მე სახლში ვზივარო!

ჩვენც რომ ყურადღებით ვყოფილიყავით და გარეთ გაგვეხედა, იმდენს როგორ ვერ მივხვდებოდით, რომ წვიმდა!

ვისხდებოდით ჩვენთვის სახლში და ალარც მწერალი დაგვცინებდა — მკითხველებს, მწერლებთან შედარებით, დაკვირვება გაკლიათო!

●

ვატყობ, ასე სერიოზული მსჯელობაც არ ივარგებს. ხანდახან სახუმარო ამბავიც თუ არ გამოვურიე, მკითხველი მოიწყენს. თანაც იუმორისტ მწერლებს ველაპარაკები!

ამ კუთხით ძალიან საინტერესოდ მეჩვენება პოეტის ერთი დაკვირვება:

ადამიანი!
როგორა ჰგავს სხვადასხვა
ცხოველს...
ზოგჯერ ფრინველსაც...
არ ვიცი, მე რას
მიმაკუთვნებენ.

ერთი უდაოა, ამ კონტექსტიდან ფრინველი უნდა გამოირიცხოს!..

რაც დარჩა, ბატონო ჯემალ, სჯობს, თქვენივე გამჭრიახი მწერლური თვალით დაუკვირდეთ, დააზუსტოთ და მკითხველს არ დაუტოვოთ თავის სატეხად.

სხვათა შორის, ჩვენს პოეტს ერთი ასეთი ლექსიც აქვს:

„ერთხელ გავმართე,
სწორად ხაფანგი,
შემეშალა და...
მყის დამიჭირა“.

ბატონო ჯემალ, რაკი სხვებისთვის განკუთვნილ ხაფანგებში გაბმის ქრონიკული სენი შეგყრიათ, — ერთ რჩევას მოგცემთ:

თაგვს თაგვის, მგელს კიდევ მგლის ხაფანგი უნდა დაუგოთ! — თორემ წრუწუნასთვის გამართულ ხაფანგს მგელი ადვილად გაგლეჯს!

აი, ხომ ხედავთ? — გეგონათ, საჩემო მახე „სწორად“ გქონდათ დაგებული და შიგ თავად გაებით!

ახლა თუ ფრინველ-ცხოველებთან მსგავსების დადგენის თაობაზე დაწერილ თქვენს ლექსსაც გაიხსენებთ, შეიძლება ამჯერად მაინც მიიღოთ სასიკეთო შედეგი: მახეში სხვის მაგივრად გაბმულს და თვალსაჩინოდ დაფიქსირებულს, აღარც უნდა გაგიჭირდეს თავის ამოცნობასთან დაკავშირებული სირთულის დაძლევა!

ვინ იცის, როგორ უხარია ახლა ჯემალ რატიანს — თავისას რომ მიაღწია და თავი გამაკრიტიკებინა!

მაგრამ ალალი იყოს, არ ვამადლი!...

ოღონდ ისევ ძველ პირობაზე ვარ! მის რომანებს მაინც არ ჩავხედავ, ქუთაისის უნივერსიტეტი კი არა, დედამიწის ზურგზე ყველა უნივერსიტეტი ერთ დღეს რომ დახურონ!

თქვენ ხომ ვერ წარმოიდგენთ, რა დღეში არიან ჟურნალის თანამშრომლები, ეგ რომ რომანს რედაქციაში მიიტანს!

ჩემი თვალით მინახავს — ეს საცოდავი ადამიანები ერთმანეთს ფანჯრიდან ახწრებენ — რედაქტორმა მე არ დამავალოს მისი წაკითხვაო!

და რა იციან უბედურებმა, სიფათი ქვემოთაც რომ ელით!

გონებამჯახვილი რედაქტორები — რაკი გამოცდილებით იციან, ასეთ შემთხვევაში თანამშრომლები ფანჯრიდან რომ დაეშვებიან, — რომანის თითო ეგზემპლარს „დაფრენის“ ადგილას ახვედრებენ!

რასაკვირველია, მე აქ ცოტას ვაჭარბებ, მაგრამ მთელი პირდაპირობით შემიძლია განვაცხადო — ამ კაცმა ქართული ენა „ხანჯის მდგომარეობაშიც“ არ იცის!

„ჩემი ზემორე ნათქვამი (მწერლები... უფრო ღრმად ვუკვირდები წერილის ტონს) გადაჭარბებულად, (აქ მძიმეს რა უნდა, გავგიჟდები! — თ. წ.) რომ არ მოგეჩვენოთ, მოვიტან გალაქტიონის (მწერალმა კაცმა გალაქტიონის სახელი როგორ იწერება, ხომ უნდა იცოდეს! — თ. წ.) სტრიქონებს...“

ბატონო ჯემალ, ვიდრე თქვენ გალაქტიონის სტრიქონებს მკითხველამდე მოიტანდით, მე იქამდე მკითხველს ამბავი მივუტანე, ჩვენმა მწერალმა ქართული „მართლწერის“ ინჩიბინჩი არ იცის-მეთქი!

და ახლა თქვენ რომ არ მითხრათ, ასე იშვიათად მემართებაო, უფრო თვალსაჩინო მაგალითს მოვიხმობ:

„წერილს ეტყობოდა (აქ მძიმე უნდა! — თ. წ.) რომ პროფესიონალების დაწერილი იყო. პროფესიონალიზმზე, (აქ მძიმე არაფერ შუაშია! — თ. წ.) როცა ვსაუბრობ (აქ კი მძიმე ნამდვილად მოუხდებოდა! — თ. წ.) ამ შემთხვევაში, (ეს მძიმე ისე უადგილოდ არის ნახმარი, მკითხველს ფეხზე წამოდგება! — თ. წ.) მხედველობაში მყავს განათლების მუშაკები“.

ბატონო ჯემალ, რასაც ახლა მე გეტყვით, სწორედ რომ განათლების მუშაკებს გეხებათ!

განათლებული განათლების მუშაკი — ცოლოურსაც რომ მიიჩქაროდეს! — სიტყვა „ეტყობოდა“-სთან ცოტა ხნით მაინც გაჩერდებოდა და მძიმეს დასვამდა!

ხოლო ასევე კარგი განათლების მუშაკი სიტყვა „პროფესიონალიზმ“-თან ძალად რომ ჩამოსვა, ისე ადგება და წავა, მძიმეს არ დასვამს!

რასაკვირველია, მე მახსოვს, ასეთი ლექსი რომ გაქვთ:

ნუ გამისწორებთ,
ყოველ წუთში წვრილმან
შეცდომებს
...რწმენას დავკარგავ.

მაგრამ, ეს რომ არ მეთქვა, მეთვითონ დავკარგავდი რწმენას განათლების მუშაკებისადმი!

მით უფრო, — თუ თქვენი ნათქვამიც გამახსენდებოდა!

„პირადად მე განათლების სისტემას ოცი წელი შევალიე, თანაც, მწერალი გახლავართ“-ო.

არადა ორივე ეს პროფესია, ცალ-ცალკეც კი, იძლევა იმის საშუალებას, — სახვენი ნიშანი რომ სწორად დავსვათ!

ისევ თქვენი ლექსი მახსენდება.

მასწავლებელი
ყოველდღე ახალ გაკვეთილს
გვიხსნის,
ჩვენ კი..,
ვხმაურობთ კვლავ ძველებურად.

მე მეგონა, სკოლაში პუნქტუაციის საკითხებს რომ გადიოდით, ავადმყოფობის გამო თუ გიცდებოდათ გაკვეთილები!

თუმცა ვერც ხმაურსა და აურზაურში სწავლობენ კარგად ბავშვები!..

ამიტომ იმ ოცი წლიწადიდან, „განათლების სისტემას რომ შეალიეთ“, ერთი წელი მაინც რომ დაგეთმოთ მართლწერის საკითხებისთვის, შეიძლება, მეტი სარგებელიც კი მოგეტანათ განათლების სისტემისთვის!

●

ძვირფასო მკითხველო, თქვენ ალბათ, გაგებით ეკიდებით რედაქციის მუშაკთა მცდელობას, თავი დააღწიონ ჯ. რატიანის რომანების სწორებას!

ალბათ, ამ გაჭირვებულ ხალხს თანაუგრძნობთ კიდეც!

ერთ ადგილას ბატონი „რომანისტი“ იმოწმებს გალაქტიონის სტრიქონებს:

არის მკითხველი მშვენიერ წიგნის
და არის მხოლოდ გადამკითხველი...

ამას მოსდევს რატიანისეული კომენტარი:

„რასაკვირველია (კარგი განათლების მუშაკი აქაც მძიმეს დასვამდა! — თ. წ.) ამ ლექსში გალაქტიონს საშუალება არ მიეცა (ლექსის ჩარჩოსა და სხვათა და სხვათა გამო), მკითხველისა და გადამკითხველის გარდა (აქაც მძიმეს დასვამდა განათლების კარგი მუშაკი! — თ. წ.) კიდევ სხვა კატეგორიის მკითხველებიც (აქ კი მხოლობით რიცხვს არჩევდა! — თ. წ.) ჩამოეთვალა...“

არც აქ ვაპირებდი „წვრილმანი შეცდომების“ გასწორებას, მაგრამ ერთ წინადადებაში იმდენი შეცდომაა, — ყაჩაღებივით დამიხვდნენ წინ!

ეს მაინც რამ გათქმევინა, ბატონო ჯემალ! — გალაქტიონმა ლექსის ჩარჩოში სათქმელი ვერ ჩაატიაო!

რისი თქმა უნდა დასჭირვებოდა გალაქტიონს, ლექსს „ჩარჩოში“ რომ ვერ ჩაეტია!

სულ არ უფიქრდებით, ბატონო ჯემალ, რას ამბობთ?! ლექსის ჩარჩო დააკავებდა გალაქტიონს?!

არ გახსოვთ, რას ამბობდა: — „მაქს მკერდს მიდებული ქნარი— როგორც მინდა...“

თუ გალაქტიონს უნდოდა, კაცი რომ გუნებაშიც ვერ გაივლებდა, იმას „ჩაატევდა“ ლექსში!

ნახეთ, რა ზუსტი „მათემატიკური“ ოპერაციები გათვალა ლექსში, შედარებით მდარე (რასაკვირველია, თქვენ არ გგულისხმობდათ!) პროზაიკოსებისთვის რომ ეთქვა:

ჩვენს გაჭირვებულ პროზას
თუ გამოვაკლებთ ოზას
და მივუმატებთ უწუნს, —
მივიღებთ პრუწუნ-პრუწუნს!..

ამით, ბატონო ჯემალ, გალაქტიონმა თქვენც გაგაფრთხილად!— როცა რაიმეს ვწერთ, მეტი ყურადღებით ვიყოთ და პრუწუნ-პრუწუნით მკითხველს ნუ შევაწუხებთო!

●

ძალიან განვიცდი — იუმორისტული ჟურნალის თანამშრომლებთან ისე ლაღად ვერ ვსაუბრობ, მათ რომ ეკადრებათ!

ალბათ, მოხათრებული კაცი რომ ვარ, მისი ბრალია!

თორემ ეხენი აქამდე თავის ჰკუაზე რომ მივეშვა, სიცილით დაგვხოცავდნენ!

მე მხოლოდ ერთი რამე მიკვირს — ეს კაცი, რომელსაც არც ერთ საგანში ელემენტარული ცოდნა არ გააჩნია, უნივერსიტეტის გახსნის წინააღმდეგი რატომ არის?

ჩემთვის გასაგებია, ის საუნივერსიტეტო ასაკს უკვე გადაცილებულია და ამ გზით ცოდნას ვეღარ შეიძენს, მაგრამ, რაც მეტ განათლებულ ხალხში იტრიალებს, ის არ ურჩევნია?!

მისი წუხილიც გასაგებია:

სამოსელსაც ვცვეთ
ჟამთა მსვლელობით,
და ვატყობ უკვე,
მეც ვიცვითები...

ვიდრე ეს სამწუხარო პროცესი არ დამთავრებულა, ბატონმა ჯემალმა ყველაფერი უნდა იღონოს ამ რეციდივის აღმოსაფხვრელად!

გარდა ფიზიკური ვარჯიშისა („მე კურკებს ვისვრი...“), თავი გონებრივადაც უნდა აწრთოს, მაგრამ საკუთარი გონებრივი მონაცემების შესამოწმებლად პირდაპირ მე არ უნდა დამეტაკოს!..

ნეტა გაცოდინათ, მისი ასეთ მდგომარეობაში ყოფნაც — „უმოქმედობით გადავიქეც მე ცოცხალ ლეშად“, როგორ მიკლავს გულს!

ანდა რა გულმა უნდა გაგიძლოს ამ სიტყვების წაკითხვაზე!

ვეღარ ვიცინი სხვის ხუმრობაზე
და ვერცა ვმასხრობ...
თუმცა კი მომწონს.

მე არ ვიცი, ბატონ ჯემალს მოსწონს თუ არა ჩემი ხუმრობა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც ვისუვრებდი:

მისი „კალმის ნამღერი“, ანუ, როგორც გალაქტიონი იტყოდა ასეთ შემთხვევაში, მისი „პრუწუნ-პრუწუნი“ ნუ მოკლებოდეს ჟურნალ „ნაცარქექიას!“

მე რომ ახლა ხუმრობის გუნებაზე ვარ, მტერი იქნა ისე, მაგრამ თავს თუ ძალას ვატან, ისევ იუმორისტული ჟურნალის ხათრით!

თქვენ თავადაც ნახავთ, საქმე სახუმაროდ რომ არ მქონია!

„წივწივაძის ამ მიმართვას სწრაფად გამოეხმაურა მწერალი და პედაგოგი ბატონი რევაზ მიშველაძე. მან კრიტიკოსი ახალი ეპითეტით დააჯილდოვა და ნიჭიერი კრიტიკოსი უწოდა, ცნობილი არ აკმარა“.

ჩემი წამებაც ამ დღიდან დაიწყო! — უკვე ჯ. რატიანის სახაცილოც გავხდი!

„თუმცა რას ვერჩი ცნობილ კრიტიკოსს, ის ხომ შეიძლება მართლაც ნიჭიერი იყოს“.

მართლა არაფერს მერჩი, ნაცარქექიავ? თუ არ მატყუებ, კიდევ რომ მოყვები კაცის ქვეშ, ხელიც რომ დავითუთქო, იქიდან მაინც გამოგიღებ!

„დანამდვილებით გეტყვით, რომ თავისებური ნიჭია ადამიანის განქიქება. ეს კი თამაზ წივწივაძეს მოჭარბებულად აქვს“.

ნაცარქექია! შენ მართლა ხულელი დევი ხომ არ გგონივარ — არ გინდა მეორედ გამოგიღო კეციდან?

„მერწმუნეთ, ჩემო თამაზ, ნაჭიერო კრიტიკოსო, რომ ასე ჰაიჰარად ეს საქმე ვერ გამოვა“.

ბატონო ჯემალ, ვერ დავმალავ და დიდი სურვილი მაქვს, რომ გამოვიდეს!

მაგრამ, არ გამოვა, და, თქვენ კარგად იყავით! შევეცდები, მწუხარების ნიადაგზე არც მე გავხდე ოლასკურის სახაფლაოზე წახალები!

მაგრამ თქვენ ვინ გეკითხებათ, ბატონო ნაცარქექიავ, რომ მპასუხობთ — ეს საქმე ახლა არ გამოვა და „სამომავლოდ ვნახოთ“-ო!.

მე რა ისეთი ხულელი მნახეთ, ამ საქმის გადაწყვეტა თქვენთვის რომ მეთხოვა?!

●

ეჰ, ჩემო ნაცარქექიებო, თქვენ ეს ქვეყანა ისევ დევებით გგონიათ დასახლებული!

●

ახლა რომ ვაკვირდები, მთელი ჩემი უბედურება იქიდან დაწყებულა, „ლიტერატურულ საქართველოში“ ბატონების გურამ გაბუნიას და გიორგი მჭედლიძის ერთობლივი წერილი რომ დაიბეჭდა!

„მე არ შევუდგები ამ წერილის დეტალურად განხილვას, რადგან წერილი საკმაოდ დიდია და მეტისმეტად ფრთხილი“.

ძვირფასო მკითხველო, ალბათ, ხვდებით, რას ვართ გადარჩენილი!

ჩემი წერილი რა კარგად განიხილა, ხომ ნახეთ.

ღმერთმა აგაშენოთ, ბატონო გურამ და ბატონო გიორგი, წერილი ისე რომ დაგიწერიათ, ეს ჩვენი ნაცარქექია წასაკითხადაც ვერ მიდგომია!

გულისტკივილით აღნიშნავს: „წერილი საკმაოდ დიდია მოცულობით და მეტისმეტად ფრთხილი“-ო!

აბა, კაი ზომისა ჩემი „მიმართვა“ იყო, ბატონო ჯემალ და, რომ არ გაცდე, თუ გინდა, თავიდან განიხილე და ხელახლა მლანძღე!

არადა, ამ დალოცვილს მეტისმეტად „ფრთხილი წერილიდან“ შინაარსიც ვერ გამოუტანია! ეს წერილი — ხატზე შემიძლია დავიფიცო! — ქუთაისის უნივერსიტეტის მხარდასაჭერად არის დაწერილი!

ამ ჩვენს ნაცარქექიას კი ისე გაუგია ეს მეტისმეტად „ფრთხილი წერილი“, თითქოს ავტორები ბოდიშს იხდიან: ამხელა საქმისთვის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი მზად არ არისო!

კი მაგრამ, ბატონო ჯემალ, მაშინ ამ წერილს რატომ დაწერდნენ — ვინ აძალებდათ, გინდათ თუ არა, უნივერსიტეტი გახსენითო?!

მწერალს ამდენი ლოგიკა ხომ უნდა ჰქონდეს!

თუ მაინცდამაინც ის გინდათ მაფიქრებინოთ, ზოგჯერ რომ ქილიკობენ — ზოგ კაცს თავი იმისთვის ადგას მხრებზე, მუცელში წვიმა არ ჩაუვიდესო!

მე და შენ ხომ მაინც ვიცით — ქოლგის მოვალეობის გარდა, თავს სხვა ფუნქციაც აკისრია!...

●

რა კარგია, კაცმა რომ ხუმრობის ფასი იცის და არაფერი წყინს!

მე ბატონი ჯემალი ასეთად მიმაჩნია და აღარც კი ვეპრანჭები — სათქმელს პირში ვეუბნები!

ქვემოთაც ამ „პრინციპით“ ვიმუშავებ!

ბატონი იუმორისტი, „განათლების მუშაკი და თანაც მწერალი“ წერს:

„ავტორებს, გურამ გაბუნიასა და გიორგი მჭედლიძეს, ეტყობათ, რომ რაღაცის გამო, ეთანხმებიან ქუთაისში ახალი უნივერსიტეტის გახსნას...“

აბა, შე კაი კაცო, ავტორები „რაღაცის გამო“ როგორ ეთანხმებიან ქუთაისში უნივერსიტეტის გახსნას, როცა ამ წერილის ერთადერთი მიზანი ის იყო, მთელი სულით და გულით დაეჭირათ მხარი ამ საქმის დაჩქარებისათვის!

ა, ძმაო! ეს ხალხი ახლაც ქუთაისში ცხოვრობს, ავდგეთ, ჩავიდეთ (გზაში ხუთრა ჩემზე იყოს) და იმათ ვკითხოთ, სწორი ვარ თუ არა!

აღარ გითხარით, თორემ თავიდანვე ჩანდა: ბატონ ნაცარქექიას ქუთაისში უნივერსიტეტის გახსნა, უკაცრავად პასუხია, ფეხზე ეკიდა!

(დასასრული მე-14 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

იმას ჩემთან ანგარიშსწორება უნდოდა და დრო ნახა!

„ჯობლა გადავიდეთ მიმართვის სხვა მხარეზე“-ო.

კი, მაგრამ რამდენი „მხარე“ შეიძლება ჰქონდეს ჩემს ორაბზაციან წერილს?!

თუმცა, თუ კაცს უნდა, „გვერდს“ ყველაფერს მოუნახავს!

— ეგ კი არა, ნამდვილმა ნაცარქექიამ ქვინტ ყველსაც ისეთი გვერდი შეურჩია, წაქი წურწურით გაადინა!

„...ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ და საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბატონმა თ. შაშიაშვილმა, ოფიციალურად განაცხადა, რესპუბლიკური უზენაესი საბჭოს მაღალი ტრიბუნიდან (ახლაა ხომ მაღალი, ჩემს გასაშავებლად რომ დაგჭირდათ?! — თ. წ.), ხოლო შემდეგ პრინციპული თანხმობისთვის რამოდენიმეჯერ იყო მსჯელობა საქართველოს მთავრობაში ჩატარებული თათბირებისა და საუბრების დროს“.

ახლა უკვე აღარ ვიცი, სად წავიდე! ბატონ ჯემალს რა გადაურჩება! იქნებ, ეცადო, რაც შეიძლება „ნაკლები დანაკარგებით“ ჩავბარდე!

ბატონო ჯემალ, როგორც ახლა გაირკვა, ეს საქმე ჩემი წამოწყებული არ ყოფილა, თორემ ქუთაისი კი ყოფილა მზად!

თქვენ რომ საწინააღმდეგოს ამტკიცებდით?

ასე რომ, ნურც ერთს ნუ გვეწყინება! — ორივენი კაი ბითურები ვყოფილვართ!

თუმცა, ჩემს საქციელს რაღაც გამართლება მაინც აქვს!

გამრათლება კი არა, ამის აღნიშვნა რომ არ მეხათრებოდეს, — ამ საქმეს ცოტათი შევწევნივარ კიდეც!

„საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილება, მთელი ქალაქის საზოგადოება, და, ვფიქრობთ, სრულიად საქართველო აღფრთოვანებით შეხვდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 22 ივნისის ნომერში მოთავსებულ მწერალ თამაზ წივწივაძის მიმართვას... ქუთაისში ქართული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე“.

გეყურება, ნაცარქექიავ! კიდევ ყოფილა ქვეყანაზე ხალხი, მადლიერების გრძნობა რომ აქვს!

ვიცი, თქვენ იტყვით, ეს საქმე ხომ ქალაქის ხელმძღვანელებმა წამოიწყესო!

მოდით, ამ კითხვაზე თავად ქუთაისელმა მწერლებმა გიპასუხონ, თქვენ „თანაც მწერალი“ ხართ და იმათ ნათქვამს უფრო გაიგებთ!

„მიგვაჩნია, რომ ამ მიმართვის (ჩემი მიმართვის, — თ. წ.) გამოქვეყნება არის ქმედითი დახმარება ქუთაისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომისადმი...“

აბა, ამის შემდეგ, რომ დამცინი და თან მიყვირი, ნაცარქექიავ, არ გრცხვენია?

„ნიჭიერო კრიტიკოსო! რას გაჭს ეს. თუ მთავრობის მსჯელობის საგანი ყოფილა ეს საქმე. შენ რისთვის ჩემულობ... გაგვაგებინე ხალხს, რას სჩადი. ვის წისქვილზე ასხამ წყალს და რისთვის. ხალხისაზე, მთავრობისაზე, თუ რომელიმე პიროვნებისაზე? რატომ ისაკუთრებ სხვის წამოწყებულ საქმეს“.

ქურდს რომ ჯიბეზე წაიჭერ, ისე მექცევა ეს დალოცვილი! გამიშვი, ნაცარქექიავ, და, ახლის გახსნას კი არა, გეფიცები, რომელიც დამთავრებული მაქვს, იმ უნივერსიტეტსაც აღარ ვახსენებ!

არადა, მე ხომ ვიცი, ცუდი გული რომ არა გაქვს:

როგორ გგონიათ,
თვითმფრინავი ზეცას კვალავს,
ჰაერს არ სტკივა?..

შენ როგორ გგონია, ნაცარქექიავ, ასე შეუბრალებლად რომ მლანძღავ, გული არ მეტკინება? ჰაერი გეცოდება და მე არ გეცოდები?!

●

თუმცა, ნაცარქექიას ახლა ჩემთვის არ სცალია. ტრაბახით აიკლო აქაურობა!

„მწერლები ჩვეულებრივ მკითხველებთან შედარებით „უფრო ვუკვირდებით“-ო.

კი მაგრამ, ჩემს მიმართვას რომ კითხულობდი, ან საიდან მაკვირდებოდი, ან თვალი სად გქონდა?

სახლში, ხომ? რატომ არ გრცხვენია, ნაცარქექიავ! საქართველოს მწერალთა კავშირის მთელი ქუთაისის განყოფილება პირზე რომ გადგება!

„საქმეში ღრმად ჩახედული ქართველი საიმედოდ და სამართლიანად მიიჩნევს ამ წინადადების (ჩემი წინადადების! — თ. წ.) განხორციელებას და მადლობას მოახსენებს მწერალ თამაზ წივწივაძეს და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას საკითხის დაყენებისათვის და ყველას, ვინც მხარს დაუჭერს ამ მამულიშვილურ საქმეს.

ღმერთმა ქნას, აღსრულებოდეს ქუთაისს, მთელ ქართველ ერს ახალი ქართული უნივერსიტეტის დაბადება“.

ამინ თქვენ, ქუთაისელო მწერლებო!

შენ კი, ჟურნალო „ნაცარქექია“, გრცხვენოდეს!..

●

მცირე ხნით რედაქტორთან მინდა დამტოვოთ!

ბატონო ზურაბ!

ამ ეროვნული საქმის გარდა, ჟურნალში გასაკრიტიკებელი ვერაფერი ნახეთ?

ანდა ქართველი ხალხი, ზნეობრივი თვალსაზრისით, ისეა გამართული წელში, რომ სატირულ-იუმორისტულმა ჟურნალმა მოღვაწეობა პირდაპირ ჩემი კრიტიკით დაიწყო?!

ან ეს კაც ვინღაა, მე რომ გადამეკიდა და აღარ ჩერდება!

„თქვენთვის განმკითხავი არ არსებობს, თუმცა, რას ვამბობ, განმკითხავი ხომ მამაზეციერია. ის განიკითხავს ყველას ეშმაკობასა და ცოდვებს. ასე რომ, ჩემო თამაზ, როდის რა ეშმაკობა დაგჭირდება, კაცმა არ იცის. გაგდის და რას იზამთ?“

ბატონო ჯემალ, მე ისეთი რა უნდა გამივიდეს, თქვენ რომ გაგიკვირდეთ!

ოღონდ ახლა მაცალე, რედაქტორს ველაპარაკები!

ბატონო ზურაბ, ეს არის სატირულ-იუმორისტული ჟურნალის „ნაცარქექიას ახლად გაჩენილი სამართალი?!

ერთი წუთით!..

გააჩერეთ, ბიჭო, ეს კაცი, ამ დაუფიქრებელ სიტყვებს, გალაკტიონის თქმისა არ იყოს, პრუწუნ-პრუწუნით რომ ისვრის!

„რაც შეეხება სახალხო განათლების მინისტრს, ბატონ გურამ ენუქიძეს, სექტემბერში ქუთაისში ჩამოსახვლელად ნუ შეაწუხებ, რადგან შენთვის ნამდვილად არ ეცლება...“.

არ მინდა, ძმაო! სასექტემბროდ ნურავინ შეწუხდებით და ნუ ჩამოხვალთ!

გაიხად, პირგაზაფხულზე, ქუთაისში ახალი ტყემალი რომ შემოვა სუფრაზე, მაშინ ჩამობრძანდით.

P.S. 1990 წლის პირველი სექტემბრის გაზეთი „კომუნისტი“! —

„ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს სასიხარულო ცნობა — ქუთაისში დაარსდა აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი.

დიახ, ამიერიდან ქუთაისი საუნივერსიტეტო ქალაქია.

30 აგვისტოს, უნივერსიტეტის ეზოში ხალხმრავლობაა. მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი, აქ მოსულან თავიანთი გრძნობების გამოსახატავად“ (გაზეთი „კომუნისტი“, 1. 9. 90 წ.).

ოჰ, როგორ მინდოდა! ქუთათურების მხურვალე გრძნობებს ჩემი სიხარულის ცრემლიც შემატებოდა! — მაგრამ რა მექნა — ვერც ამ სახაცილო ჟურნალსა და ვერც მის მოხალისე ავტორს — ჩემი თავი ხელიდან ვერ წავგლიჯე!..

რატიანებო! ბატონო ზურაბ და ბატონო ჯემალ! როგორ გგონიათ, სამართალმა პური არ ჭამა?

აბა, თქვე კაი ხალხო, იმნაირი ჟურნალი რად გინდათ, ეროვნული საქმეების კეთებას წინ თუ აღუდგება!...

ჩვენ ამ ყაიდის ან ხალხი ან ბეჭდვითი ორგანოები გვაკლდა?!

# „მოლოდინი“ ანუ სამშვენისების გალერეა



ამ პატარა წერილის მიზანია მილოცვა პოეტის ახალი წიგნის გამოსვლით გაპირობებული. არ გვინდა ჩავერიოთ კრიტიკოსების საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ მათ არცთუ იშვიათად „გამოეპარებათ“ ხოლმე „რჩეულებიც“ კი, სადაც თავმოყრილი და დაბინავებულია პოეტის (მეტ-ნაკლებად მაინც) ფასეული ნაწარმოები.

წელიწადზე მეტია, რაც ქართველმა მკითხველმა ვაჟა ეგრისელის (ვაჟა დოლბაის) კარგა მოზრდილი ლექსების კრებული „მოლოდინი“ მიიღო. ვ. დოლბაია ოც წელზე მეტია, რაც ქართველი პოეტების მხედრიონში იხსენიება. და მაინც, იგი იმ „უიღბლო“ შემოქმედთა ფალანგის წევრი მგონია, რომელთაც ვერ ამჩნევენ ჩვენი (ღვაწლმოსილ კრიტიკოსებზე რომ არაფერი ვთქვათ) ახალგაზრდა კრიტიკოსებიც კი. რას იზამ, ლიტერატურის ისტორიისათვის უცხო არ არის ასეთი შემთხვევები.

მართალია, მეტაფორულ აზროვნებას შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული და მის შესახებ უამრავი მასალა წაგვიკითხავს, მაინც ამგვარად დამუხტულ პოეტურ ნაწარმოებთა გარჩევა რთული მეჩვენება. თუმცა გარჩევას სულაც არ ვაპირებ. ვცდილობ, გადმოგცეთ მხოლოდ შთაბეჭდილებათა ის გაელვება, რომელიც ვაჟა ეგრისელის ზემოხსენებულმა წიგნმა დამიტოვა.

ამ წიგნს შეიძლება ეწოდოს სამშვენისების გალერეა, სადაც თითოეულ მათგანთან შეჩერება და ჩაფიქრება გვმართებს. ვაჟა ეგრისელის ლექსი ორ-სამ სტროფს იშვიათად აღემატება, ამიტომაც მასში გაბნეული პოეტური სახეები ისე მოჩანს, როგორც მეჩხერ წყალში თევზები. ყოველი ლექსი დაღდასმულია ლაკონური და ხშირ შემთხვევაში, რაც ყველაზე მისასალმებელია — მოულოდნელი ფინალით. აი, ერთ-ერთი ლექსის დასასრული:

„... აპრილ გაზაფხული გაუშლია, ვით დედა-ენა და... ბუჩქას ძირას ის ამბობს“. საიდუმლოებას ბოლო ორ სიტყვაში ეხდება ფარდა: „ის თქმა“ აპრილის მიერ გაცილებით მეტ ეფექტს ახდენს, ვიდრე ჩვეულებრივი: ის გაშლა, დანახვა და ა. შ. ამ წიგნში ახალი პოეტური სახეებით დაინტერესებული მკითხველი დაინახავს:

მამლებს ყივილის გრძელი თოკებით როგორ ამოაქვთ ზღვიდან ამქვეყნიური სიავკარგე...

როგორ ჰგავს მტკვარი გორგასლის ხელმოწერას...

როგორ ადის ცაში ღვთის სადიდებლად ანთებული ტყემლის თეთრი სული...

როგორ აცვია კოლხურ ღამეს, როგორც წინაპარს, ვარსკვლავების ჯაჭვის პერანგი...

როგორ ისმის სარზე ჩამოცმული ბედაურის თავის ქალიდან არარაობის ცივი ქიხვინი...

როგორ გამოიყურება ზამთარში თეთრი ბუხრის თერმომეტრგაჩრილი მეგრული ოდა... როგორ მიუყვება სოფლის შარას შავით მოსილი... საღამო კი არა, პოეტის დედა... ან — მიწას მეკურტნესავით როგორ მოუგდია ზურგზე ცა, ცისარტყელების შვიდფა თოკით შემოჭედილი...

როგორ ყრია ირგვლივ ციხეთა წარსული და როგორ დასცქერის მეტეორებისაგან ბროწეულივით გახლეჩილი მწიფე ცა...

ზღვა როგორ აკრაჭუნებს თეთრი კენჭების კბილებს...

როგორ უნდა გამოიცნოს, ან ვერ გამოიცნოს — ურემი მიდის თუ მოგონების კარი ჭრიალებს...

თვალ-მარგალიტით სავსე ღამის სასახლეს როგორ ადევს მთვარის დიდი ბოქლომი...

ამგვარ სახეებსა და მეტაფორებს წიგნის თითქმის ყოველ გვერდზე შეხვდება მკითხველი, ან დაინახავს, ან იგრძნობს, ან აღიქვამს, — იმის მიხედვით, თუ რა ზღაპრული თვისება ახასიათებს ამა თუ იმ საგანს.

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმასაც, რომ პოეტი მაშინაც არ ღალატობს თავის სტიქიას, როცა შედარებით ნაკლებ მოვლენას თუ ნაკლებ საინტერესო საგანს აგვიწერს.

ერთადერთი, რაც მინდა პოეტს შევახსენო (ეს არც რჩევაა და არც დარიგება, უგი გაფრთხილება უფროა), ის არის, რომ არ დაემუქროს, ან, უფრო ზუსტად არ მოეპაროს ერთფეროვნების საშიში სენი.

„მოლოდინს“ თითქმის მთლიანად, ჩვენი შორეული წარსულის, გმირული, მაგრამ, იმავე დროს, გრძელი, სევდიანი ისტორიის ბინდი გადაკრავს. და სწორედ ეს ანიჭებს ამ წიგნს იმ „პირველად ქმნილსა ფერს“, რომანტიკულს რომ ვეძახით ხოლმე.

არიან პოეტები, რომელთა შემოქმედება თხმელის ცეცხლივით ერთბაშად აბრიალდება და, ვიდრე მათ შესახებ ატეხილი მითქმა-მოთქმა თუ ნაირნაირი დითირამბი ერთმანეთს ენაცვლება, კერიაზე მხოლოდ ნაცარიღა რჩება, ხოლო იმ ნაცარსაც დრო ჰგვის... სულ სხვაა წყავის ხე! იწვის ხანგრძლივად, თანაბრად და უხმაუროდ... ვაჟა ეგრისელის ახალ წიგნში გაბნეული პოეტური სახეები სწორედ წყავის ხის ნაკვერჩხლებივითაა თავისსავე ღველფში შეფუთული და უხმაუროდ გამოსცემს სითბოს. ერთი და იგივე სიტყვა ორ წინადადებაში უკვე ორჯერ ვიხმარე (უხმაუროდ). ამასაც თავისი გამართლება აქვს. პოეტის ირგვლივ ჩვენს ლიტერატურულ წრეს არასოდეს აუტეხია კამათი თუ შეხლა-შემოხლა, არ გამოთქმულა ესა თუ ის კომპეტენტური, ხმამაღალი აზრი. ამასაც თავისი გამართლება თუ მიზეზი აქვს: იგი არასოდეს ყოფილა რომელიმე აშკარა თუ ფარული კასტის წევრი, არასოდეს აჰყოლია მოდურ რეფორმებს, მოდის, მოჰყვება თავის ფიქრის მდინარეს და შთაგონებას, ვით ლექსის ძიძას ბავშვივით ეფოფინება, მისი პოეტური ყაბახი მისივე ბიოგრაფიაა, დაწყებული სწორედ იმ ომისდროინდელი ბავშვობიდან, კერიასთან გასაშრობად მიკიდულ ერთადერთ პერანგს რომ შესცქერებს...

**ოთარ შალამბერიძე**

# მიეძღვნა ზურაბ ანჩაბაძის ხსოვნას

გიორგი შარვაშიძის საზოგადოების ინიციატივით საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში გაიმართა ცნობილი აფხაზი მეცნიერის, ქართული სამეცნიერო სკოლის ღირსეული წარმომადგენლის — ზურაბ ანჩაბაძის ხსოვნის საღამო.

მეცნიერის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრეს: აკადემიკოსმა გიორგი მელიქიშვილმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მარიამ ლორთქიფანიძემ, პროფესორებმა — გიორგი პაიჭაძემ, ვალერიან მაჭარაძემ, დამიანე გოგოხიამ, ედიშერ ხოშტარიამ, ანტონ ლეჟავამ და სხვებმა.

უაღრესად დიდი შინაგანი კულტურის და განათლების მქონე ზურაბ ანჩაბაძე, პირველი აფხაზი პროფესიონალი მეცნიერი, სახელოვანი შვილი იყო როგორც აფხაზი, ასევე ქართველი ხალხისა. სრულიად ახალგაზრდა ჩაირიცხა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, მუშაობა დაიწყო ნიკო ბერძენიშვილთან და იმთავითვე მიიქცია ყურადღება თავისი ნიჭითა და ნათელი პიროვნული თვისებებით. საკანდიდატო დისერტაციაც თბილისში დაიცვა.

მისი მეცნიერული ნაღვაწი არ ამოიწურება მარტო აფხაზეთის ისტორიის საკითხებით, მას აქვს მრავალი შრომა საქართველოს ისტორიის შუა და ახლო პერიოდებზე, დაინტერესებული იყო კაპიტალიზმის გენეზისის შესწავლით.

ზურაბ ანჩაბაძე იყო დამაარსებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილებისა, რომლის შემადგენლობა მთლიანად მისი აღზრდილებით დაკომპლექტდა.

მისი შრომები: „სამეგრელო და აფხაზეთი XVII ს-ში“, „შუასაუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან“ — ქართული მეცნიერების მნიშვნელოვანი მონაპოვარია. გამოირჩეოდა ფენომენალური მეხსიერებით, იცოდა მრავალი ენა, იყო ბრწყინვალე მოქართულე, შესანიშნავი პოლემისტი, უაღრესად ტაქტიანი, პაექრობისას მოწინააღმდეგეში პატივისცემას და ღირსების გრძნობას რომ აჩენდა. დიდია მისი წვლილი ჩრდილო კავკასიის ხალხების ისტორიის შესწავლაში. მეცნიერმა ბევრი საინტერესო შრომა უძღვნა ყაბარდოსა და ჩერქეზეთის ისტორიას, წლების მანძილზე თბილისისა და აფხაზეთის უნივერსიტეტებში კითხულობდა კავკასიის ხალხთა ისტორიის კურსს.

ზურაბ ანჩაბაძის მოწაფეებმა ტკივილითა და სიყვარულით გაიხსენეს მეცნიერის პედაგოგიური მუშაობა, მისი შესანიშნავი ადამიანური თვისებები. მას ხომ საუკეთესო აღზრდა ჰქონდა მიღებული. მეცნიერის ბებია შალვა დადიანის და — მაშო დადიანი იყო. თარაშ და მაშო ანჩაბაძეების ოჯახში მუდამ სიყვარულისა და მეგობრობის ცეცხლი ენთო. აქ სტუმრად ყოფილან დიდი ილია და აკაკი... და კიდევ ვინ იცის, რამდენი შესანიშნავი ადამიანი ზიარებია აქ ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის გულწრფელ გრძნობას.

აფხაზეთის უნივერსიტეტის პირველი რექტორი, მაღალი მეცნიერული აზროვნების დონითა და სულიერი კულტურით გამორჩეული, ალბათ, არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვებდა იმ კონფლიქტს, და, მითუმეტეს, ძმათა შორის სისხლისღვრას, რაც გასულ ზაფხულს აფხაზეთში მოხდა, არც სეპარატიზმსა და ისტორიის გაყალბებაში აუბამდა მხარს ვინმეს...

ამიტომ აკლია დღეს ზურაბ ანჩაბაძე ქართველ და აფხაზ ხალხებს!..

2 ოქტომბერს აფხაზეთის უნივერსიტეტში გაიმართება სესია — კავკასიის ხალხთა ისტორიის პრობლემებისადმი მიძღვნილი. იგი ზურაბ ანჩაბაძის დაბადებიდან 70 წელს მიეძღვნება. მასში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი, აფხაზი, ჩრდილო კავკასიის წარმომადგენელი მეცნიერ-ისტორიკოსები. გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნა გვავალებს — ვემსახუროთ ისტორიულ სიმართლეს, ვიაროთ ურთიერთგაგებისა და პატივისცემის გზით.

**მირანდა ტყეშელაშვილი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, გიორგი შარვაშიძის საზოგადოების პრესჯგუფის წევრი.

# ქართული ქორეოგრაფიის სადღეისო პრობლემები

ჩვენმა ეროვნულმა ქორეოგრაფიამ კარგა ხანია დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში. ქართული ცეკვები დიდ მოწონებას იმსახურებს სხვადასხვა ქვეყნებში.

„ქართული ბალეტი არის ბალეტი რაინდისა", — წერს გრიგოლ რობაქიძე. „მხედრული" იგი დიონისურ ზღვარგადალახვას უწოდებს, ისეთს, რომლის მსგავსი იქაც არ მოლანდებიათ, თრაკიაში, სადაც დიონისე წარმოიშვა.

საუკუნეების მიღმა შეიქმნა ჩვენი ცეკვები და მას მერე დიალექტიკურად ვითარდება, თავიდან იქმნება, ალორძინდება, იცვლება მრავალი შემქმნელის ხელში, მრავალფეროვნებას იძენს, მდიდრდება მისი ილეთები. ქართული ცეკვა დოგმად არასოდეს ქცეულა, იგი ვითარდება ნიჭიერი შემოქმედის ხელში და საგანგაშო ამაში არაფერია. დრო საუკეთესო გამომცდელია, ხინჯს თავად ჩამოაცლის და დარჩება მხოლოდ ღირებული. მთავარია, არ შეწყდეს სიცოცხლე ცეკვისა.

და მაინც, თავს უფლებას ვაძლევ, ქართული ხალხური ქორეოგრაფიის თეორიულ და საორგანიზაციო საკითხებში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები აღვნიშნო და ამ პრობლემებზე გავამახვილო ყურადღება. მოუთმენელია და დაუშვებელი, რომ საქართველოში, ცეკვის ამ უძველეს ქვეყანაში, არ არის ქორეოგრაფთა კავშირი, ან საზოგადოება მაინც. შემოქმედებითი კავშირი აქვთ მსახიობებს, კომპოზიტორებს, მუსიკოსებს, მხატვრებს, არქიტექტორებს, დიზაინერებს, ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენლებს. განა ცეკვა ხელოვნების დარგი არ არის? ერის სული ხომ ცეკვაშიც აისახება. ეკუთვნით თუ არა ცეკვის შემქმნელებს, ამაღორძინებლებს შემოქმედებითი კავშირი? ვფიქრობ, ეკუთვნით! ეს გადაუდებელი და პრაქტიკულად განსახორციელებელი საქმეა.

რამდენი სასიკეთო საქმის გადაწყვეტა შეგვეძლებოდა, ქორეოგრაფთა კავშირი რომ გვქონდეს, თუმცა კავშირი კი არა, ერთი პატარა ოთახიც კი არა გვაქვს, სადაც შევიკრიბებოდით, ვისაუბრებდით საჭირბოროტო საკითხებზე, პრობლემებზე და მომავალში მათი გადაწყვეტის გზებს დავსახავდით.

ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ დიდი ამაგი დასდო ჩვენს დედაქალაქს, საქართველოს, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს. ალბათ ამან განაპირობა ჩვენი თხოვნა თუ მოთხოვნაც. თან, ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა: შეიქმნა საოპერო და საბალეტო ხელოვნების მოყვარულთა საქართველოს საზოგადოება.

არ გაგვაჩნია ქორეოგრაფიის მუზეუმი, რომლის შექმნა გადაუდებელ, მოსაგვარებელ საკითხად მიმაჩნია. მუზეუმში თავს მოიყრიდა მდიდარი მასალა, რომელიც დღეს უკვე ქართული ცეკვის ისტორიაა და უმოწყალოდ ნიავდება, მასალები ან კერძო პირთა ხელშია, ან მივიწყებულია. ხრიან ადამიანები, სათუთად რომ ინახავენ პრესას, ფოტოსურათებს, კინოფირებს და სხვა მასალებს, რომელთაც სიამოვნებით ჩააბარებდნენ მუზეუმს. ჩვენს შვილთაშვილებს ექნებოდათ საშუალება ენახათ, რა იქმნებოდა და რას ვაღწევდით ჩვენს დროში, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის, რუსთავის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, ოსეთის სახელმწიფო, ასევე თვითმოქმედი ანსამბლებისა და საბავშვო ქორეოგრაფიული კოლექტივების საგასტროლო მოგზაურობებიდან ჩამოტანილი უცხოური და სხვადასხვა რესპუბლიკების პრესა და კინოფილმები მდიდარ სამუზეუმო ექსპოზიციად მოგვევლინებოდა; მუზეუმში წარმოდგენილი იქნებოდა ის ჯილდოები და პრიზები, რომლებიც სხვადასხვა დროს მოიპოვეს ქართველმა ქორეოგრაფებმა, მოცეკვავეებმა და ანსამბლებმა საკავშირო, საერთაშორისო, მსოფლიო ფესტივალებზე და კონკურსებზე. მუზეუმში მოთავსდებოდა თეორიული ლიტერატურა, დღემდე გამოცემული წიგნები, ბროშურები ქართულ ცეკვებზე.

ალბათ ძალზე დამაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ საბჭოთა კავშირში პირველად თბილისში, 1952 წელს შეიქმნა ქორეოგრაფიული განყოფილება კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლებთან. დღეს კი, როდესაც თითქმის ყველა რესპუბლიკის დედაქალაქსა და ოცდაათამდე ქალაქში გახსნილია ქორეოგრაფიის ინსტიტუტები, სხვადასხვა ინსტიტუტებთან არსებული ქორეოგრაფიული განყოფილებები, ფაკულტეტები, ჩვენ არ დაგვადგა საშველი, რომ უმაღლესი სასწავლებელი კი არა, ქორეოგრაფიული განყოფილება ან ფაკულტეტი მაინც გახსნილიყო რომელიმე ინსტიტუტში (თეატრალურსა და კონსერვატორიაში თუ არა, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მაინც). თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში კლასიკას ეთმობა ძირითადი დრო, ხოლო ქართული ცეკვა გერის როლშია. უნდა ნახოთ, რა დაბალ დონეზეა თბილისის, ქუთაისის და ბათუმის კულტურულ საგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური ბაზები. არადა, ზემოთ აღნიშნული სასწავლებლების ქორეოგრაფიული განყოფილების საქმიანობა საკმაოდ მაღალ პროფესიულ დონეზეა. უპრიანია აქვე აღინიშნოს, რომ თუკი დღიდან დაარსებისა ქორეოგრაფიულ განყოფილებაზე სწავლება ოთხწლიანი ციკლით მიმდინარეობდა, რატომღაც იგი ორწლიანი გახადეს. გაკვირვებას იხიც იწვევს, რომ ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლებში საათების დიდი რაოდენობა დათმობილი აქვს სახასიათო ცეკვებს და აქაც კი შევიწროებულია ქართული ქორეოგრაფია.

უმაღლესი ქორეოგრაფიული სასწავლებლის, ან რომელიმე უმაღლეს სასწავლებელთან ქორეოგრაფიული განყოფილების გახსნა ხელს შეუწყობდა არა მარტო ქორეოგრაფების მომზადებას უმაღლესი სპეციალური განათლებით, არამედ მეთოდურ და მეცნიერულ მუშაობასაც, რომელიც ჩვენდა სავალალოდ, ძალზე მოიკოჭლებს. თუმცა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ამ მიმართულებით ქართულ ქორეოგრაფიას აწ განსვენებულმა დ. ჯავრიშვილმა, ასევე დიდი წარმატებით მოღვაწეობენ ლ. გვარამაძე, ა. თათარაძე და სხვები, მაგრამ მარტო ისინი ვერ გასწვდნენ ამ უზარმაზარ ეროვნულ საქმეს. აუცილებელია საქართველოს ყველა კუთხის ცეკვების თეორიული შესწავლა, სასწრაფოდ უნდა აღინუსხოს ყველა ილეთი, მოძრაობა, ცეკვების სიუჟეტები, შინაარსი, თორემ ვიძარცვებით, ნიავდება ქართველი ხალხის კუთვნილება. ჩვენი ეროვნული ცეკვებით, ცალკეული ილეთებით, მოძრაობებით, ძალზე დაინტერესებული არიან ჩვენი კოლეგები, განსაკუთრებით კავკასიის რეგიონიდან. ერთი შეხედვით, ეს თითქოს საამაყოცაა, მაგრამ სამწუხაროა, რომ ბევრ ელემენტს ახალებენ, როგორც სხვა ხალხთა ცეკვებისათვის დამახასიათებელ, განუყოფელ ნაწილს. ყველაფერი ეს აღნიშნულია ნაშრომებში, დასტამბულ წიგნებში და განმკითხავი არავინ არის.

ქართველი ქორეოგრაფები კარგა ხანს მოღვაწეობდნენ დაღესტნის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ჩრდილო ოსეთის ეროვნულ ანსამბლებში. ისინი თავს ნაკლებად იწუხებდნენ ოსური, ლეკური, ჩეჩნურ-ინგუშური ხალხური ცეკვების მოსაძიებლად და იოლ გზას მიმართეს — ქართული ილეთებით გაამდიდრეს სხვა ხალხთა ცეკვები. ცხადია, ამ საქმესაც სჭირდება მიხედვა. კავშირი რომ გვქონდეს, შესაძლებელი გახდებოდა სამუშაოდ გაგზავნისას ისეთი ქორეოგრაფის შერჩევა, რომელიც ერკვევა სხვისი ერის ცეკვებში და არ გასწირავს ქართულს.

ღარიბია ქართული ცეკვების მუსიკალური თანხლება, ეროვნული საცეკვაო ჩაცმულობა. ქორეოგრაფთა კავშირი შეძლებდა კონტაქტი დაემყარებინა კომპოზიტორთა და მხატვართა კავშირთან, საქართველოს მუსიკალურ საზოგადოებასთან, რომლებიც გამოაცხადებდნენ კონკურსებს საუკეთესო მუსიკალური-საცეკვაო ნიმუშების და ესკიზების შესაქმნელად.

ჩვენში ხშირად ტარდება მუსიკის, სიმღერის, ფოლკლორის უკვე ტრადიციად ქცეული ზეიმები, რატომ არ შეიძლება ასეთი ღონისძიებები წელიწადში ერთხელ მაინც მიეძღვნას ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას. ასეთი ზეიმების ჩატარება ძალზე შეუწყობდა ხელს ახალგაზრდა ქორეოგრაფების დაინტერესებას და წარმოაჩენდა ბევრი მათგანის ნიჭსა და პოტენციას.

ვფიქრობ, კავშირის შექმნა ამ პრობლემასაც მოაგვარებდა და იმასაც, რომ საქართველოში ასობით ქორეოგრაფი მოღვაწეობს, რომელთა საქმიანობა ხშირად თვითდინებაზეა მიშვებული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა ქორეოგრაფების უმეტესი ნაწილს სჭირდება კვალიფიკაციის ამაღლება, რის შემდეგაც საბოლოოდ გაირკვეოდა, ვინ არის მოცეკვავე, ვინ პედაგოგი, ვინ პედაგოგ-ქორეოგრაფი და ვინ დამდგმელი ქორეოგრაფი.

შარშან, ტელევიზიით ქორეოგრაფების გამოსვლის შემდეგ, საქართველოს კულტურის სამინისტროში შეიქმნა ქორეოგრაფთა საკოორდინაციო საბჭო, რისთვისაც დიდი მადლობა უნდა მოვახსენოთ სამინისტროს ხელმძღვანელობას, მაგრამ ეს არ არის იურიდიული უფლებების მქონე საბჭოთა და, არც ის ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა ნაწილობრივ მაინც გადაეწყვიტა ის პრობლემები, რომელთა მოგვარება ქართველ ქორეოგრაფებს გადაუდებელ საკითხად მიგვაჩნია.

საქართველოს მუსიკალურ საზოგადოებაშიც არის ქორეოგრაფიული განყოფილება, მაგრამ აქაც მას მეორე თუ მესამეხარისხოვანი როლი ენიჭება.

ქორეოგრაფთა მომავალი კავშირის ფინანსური საფუძველი იქნება საწევრო ანარიცხები, საქველმოქმედო შეხატანები, საქველმოქმედო კონცერტების შემოსავალი, საზღვარგარეთ ქორეოგრაფიული ანსამბლების გასტროლების დროს გადაღებული ფილმებისა და ვიდეოფილმების ჩვენება და მისი შემოსავალი. ამას მიემატება ქორეოგრაფიული სტუდიების შემოსავლის გარკვეული პროცენტები.

დამაფიქრებელია ისიც, რომ მომავალ თაობებს არ ეცოდინება ამა თუ იმ ცეკვის ავტორთა ვინაობა, რადგან, როგორც წესი, არასოდეს არ ცხადდება ცეკვის შემქმნელის (არა დამდგმელის) გვარი, არადა ბევრ ცეკვას იხევე ჰყავს ავტორი, როგორც სიმღერას.

ქორეოგრაფთა კავშირის შექმნა აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა. იმედი გვაქვს, ამ პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარებიან სათანადო უწყებები. ეს საშუალებას მოგვცემს, გადავჭრათ ბევრი საჭირბოროტო საკითხი, რაც სათანადო წვლილს შეიტანს ეროვნული კულტურის განვითარებაში.

**რევაზ ჯანიშვილი**

## ჩვენი მილოცვა

# სილოვან ახვლედიანი — 70



დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა პოეტ სილოვან ახვლედიანს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ მისალმება გაუგზავნა იუბილარს. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო სილოვან!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა გულითადად გილოცავთ დაბადების 70 წლისთავს. თქვენი პირველი ლექსები ამ ნახევარი საუკუნის წინათ გამოქვეყნდა გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში". 1939 წელს ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტი იყავით, როცა გაგიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც მოგისწროთ დიდმა სამამულო ომმა. თქვენი საბრძოლო გზა ბერლინში დამთავრდა, საიდანაც ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაბრუნდით შინ.

ომიდან დაბრუნების შემდეგ სამუდამოდ დასახლდით რუსთავში და 40 წელზე მეტია თვალსაჩინო წვლილი შეგაქვთ ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

მრავალი წლის მანძილზე მუშაობდით გაზეთ „სოციალისტური რუსთავის" რედაქტორად, პოლიგრაფიული წარმოების დირექტორად, საქალაქო რადიომაუწყებლობისა და რუსთაველ ქიმიკოსთა მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორად.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა თქვენი მონაწილეობა რუსთავის საქალაქო ლიტერატურული გაერთიანების მუშაობაში, სადაც 30 წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობთ პოეზიის სექციას და ეხმარებით დამწყებ ლიტერატორებს.

თქვენი წიგნები „ქალაქი ნაქალაქარზე", „ლექსები", „ომგადახდილის დღიურები" გულთბილად მიიღეს მკითხველებმა. ბევრი თქვენი ლექსი თარგმნილია რუსულ და სხვა ენებზე.

თქვენ კვლავ ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობთ შემოქმედებით მუშაობას და ღირსეულად ეხმაურებით დღევანდელობას.

ერთხელ კიდევ მხურვალედ გილოცავთ თქვენი დაბადების საიუბილეო თარიღს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა

## ალმაშენებლის გამზირი

თითქოს შეიტყო,
რომ აბორგდა ჩვენი ამინდი
და ისტორიის ყველა ზარი
ერთად გუგუნებს,
როგორც ოდესღაც, გმირთა ლაშქარს,
დიდი დავითი
თბილის-ქალაქში შემოუძღვა
ცხრა საუკუნეს.

დროის განაჩენს
თითქოს ერთად დასტურს აძლევენ
იქით კრწანისი, ნარიყალა,
აქეთ ისანი
და შეჰღიმიან ერთურთს ყველგან
და-ძმებს და-ძმები,
დიდგორელთა, მარაბდელთა,
არაგველთა ჯილაგისანი.

ამ ერიამულში
თითქოს ქვაც კი არ ჩანს მდუმარი,
გული მთხოვს,
აქ ლამეც თეთრად გავათენო
და მესმის, როგორ შეჰყიჟინებს
სტუმრის სტუმარი:
დიდიო, დიდი
პატარა საქართველო!

მე მინდა, ეს ხმა მიწვდეს
მარად დასაფიცარ მზეს,
შორს გასცდეს ჩვენი
მთა-გორების ჩრდილთა მარაოს,
რომ საქართველო,
დატვირთული მტკაველ მიწაზე,
მართლა არვის ეპატარაოს.

**სილოვან ახვლედიანი**



რულდება ქართველი კომპოზიტორების — ზაქარია ფალიაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ოთარ თაქთაქიშვილის, რევაზ ლაღიძის, ალექსი მაჭავარიანის და სხვათა ნაწარმოებები.

ფესტივალისათვის მზადების პერიოდში თეატრში სახელდახელოდ შეიქმნა პატარა ანსამბლი — თემურ გუგუშვილის, ნუგზარ გამგებელის, გია ასათიანის, გივი ფეიქრიშვილისა და ლადო ათანელიშვილის შემადგენლობით. მომზადდა ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების პროგრამა. „როგორც კი გერმანიაში ჩა-

# გზა დაგვილოცეთ!

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრი ახლახან დასავლეთ გერმანიაში გაემგზავრა პროკოფიევის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ თანამედროვე მუსიკის ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად.

თავისი არსებობის თითქმის საუკუნენახევრის მანძილზე ფაქტიურად მეორე შემთხვევაა, როცა ჩვენი საოპერო თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივი გაემგზავრა საზღვარგარეთ. პირველი საგასტროლო ტურნე თეატრს ჰქონდა 1969 წელს პოლონეთში, ხოლო ამჯერად, იმპრესარიოების მიერ წინასწარი „დაზვერვის", შემოქმედებითი ძალების შემოწმებისა და შერჩევის საფუძველზე თბილისის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრს წილად ხვდა პატივი მონაწილეობა მიიღოს ზემოთ აღნიშნულ პრესტიჟულ ფესტივალში.

ფესტივალი გაიმართება დასავლეთ გერმანიის ქალაქ დუისბურგში ა. წ. 20 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე. თბილისის საოპერო თეატრი ფესტივალზე წარსდგება ს. პროკოფიევის ორი ოპერით— „ცეცხლოვანი ანგელოზი" (დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა, მხატვარი—გოგი ალექსი-მესხიშვილი, დირიჟორები — ჯანსუღ კახიძე, ირაკლი ჭიაურელი), და „ნიშნობა მონასტერში" (დამდგმელი რეჟისორი — გურამ მელივა, მხატვარი — უშანგი იმერლიშვილი, დირიჟორები — ჯანსუღ კახიძე, თამაზ ჯაფარიძე); გია ყანჩელის გახმაურებული ოპერით — „და არს მუსიკა".

ფესტივალზე გათვალისწინებულია გალა-კონცერტი, რომლის ერთი განყოფილება დაეთმობა მხოლოდ ქართულ მუსიკას, შესვალთ, მასპინძლებთან შეხვედრის დროს გაიმართება პატარა კონცერტი და ძალიან გვინდა ქართული სიმღერებით მოვიწონოთ თავი" — მითხრა თემურ გუგუშვილმა. ამიტომ ყოველდღე, ძირითადი რეპეტიციების შემდეგ, ბიჭები თეატრში რჩებოდნენ და თავს არ ზოგავდნენ, რომ მათი შესრულებით ქართული სიმღერები სათანადო სიმაღლეზე იდგეს.

თითოეული ჩვენთაგანისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ამაღელვებელია ის გარემოება, რომ 1 ოქტომბერს დუისბურგის სცენაზე წარმოდგენილი იქნება ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი", ხოლო ეთერის პარტიას პირველად შეასრულებს ახალგაზრდა უნიჭიერესი მომღერალი იანო ალიბეგაშვილი. „ძალიან ვღელავ — მითხრა იანომ,—დებიუტი „აბესალომ და ეთერში", თანაც საზღვარგარეთ, ისიც საფესტივალო დღეებში — ეს სამმაგ პასუხისმგებლობას მაკისრებს.

გარდა დუისბურგისა, თეატრის კოლექტივს გამოსვლები ექნება სხვა ქალაქებში — ესენში, გელზენკირხენში და ლევერკუზენში...

ჩვენი საოპერო თეატრის იმ ურთიერთობებზე, რომელსაც გერმანიის მუსიკალურ სამყაროსთან ჯერ კიდევ 70-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი და კიდევ ამჟამად მიმდინარე ფესტივალის შესახებ მკითხველს უფრო დაწვრილებით ვუამბობთ, როცა ჩვენი ეროვნული თეატრი ფესტივალიდან დაბრუნდება...

**ციცინო ჯერვალიძე**

# დავით აღმაშენებლის საზოგადოება—ბორჯომში

ფართო საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოებამ თავისი არსებობის სულ რაღაც ერთი წლის მანძილზე არაერთი საგულისხმო ღონისძიება ჩაატარა, რომლებიც ქართველი ერის კონსოლიდაციას, საქართველოს ეროვნულ აღორძინებას, დემოგრაფიული და კულტურული სიტუაციის გაუმჯობესებას ემსახურება.

ამავე დროს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დიდი დავითის სახელობის საზოგადოება ყოველივე ამას რაიმე რეკლამის, ზედმეტი ფაციფუცის გარეშე აკეთებს.

ალბათ, ამის გამოცაა, რომ საზოგადოებას მიზნად არ დაუსახავს აუცილებლად საქართველოს ყველა კუთხეში შეექმნა თავისი განყოფილება თუ ფილიალი. და თუ, ზოგიერთ რაიონში უკვე ჩამოყალიბდა საზოგადოების განყოფილებები, ეს მხოლოდ საზოგადოების დიდმა ავტორიტეტმა და, უპირველეს ყოვლისა, მისმა ღვაწლმა, კონკრეტულმა ნაბიჯებმა განაპირობა.

ასე იყო ამჯერადაც. 2 სექტემბერს დაბა წაღვერში შეიკრიბნენ ბორჯომის რაიონის მშრომელები, რომელთა შორის იყვნენ რაიონის ყველა ფენის, ყველა საწარმო-დაწესებულებისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები და გადაწყვიტეს დავით აღმაშენებლის საზოგადოების ბორჯომის განყოფილების შექმნა. კრების მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის წევრები: ნუგზარ ჩიგოშვილი, ტარიელ კიპაროიძე, მერაბ მიქაძე, რომლებმაც საფუძვლიანად გააცნეს ბორჯომელებს საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანები, დღემდე გაწეული საქმიანობის შედეგები და სამომავლო მიზნები.

კრებამ დააფუძნა სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების ბორჯომის განყოფილება, რომლის გამგეობის წევრებად აირჩიეს: რ. ნინიძე, გ. კურტანიძე, ა. ჩაჩანიძე, გ. ფოფხაძე, რ. ლურსმანაშვილი, თ. ლომიძე, თ. ხუხიაშვილი.

გაიმართა გამგეობის პირველი სხდომა, რომელზედაც განყოფილების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ა. ჩაჩანიძე.


## გამოიწერეთ ჟურნალი

## განთიადი

უსახსრობისა და უქაღალდობის მიუხედავად, ჟურნალს, რომელიც ბევრ საინტერესო, სადავო და საჭოჭმანო ნაწარმოებს გპირდებათ, ფასი არ მოემატება. სამაგიეროდ, შეიზღუდება ტირაჟით. მოვაწეროთ ხელი, სანამ გვიან არაა.

ჟურნალ „განთიადის" წლიური ფასი კვლავ

**12 მანეთია.**

ცალი ეღირება ერთი მანეთი. დროზე გამოიწერეთ ჟურნალი

**„განთიადი"!**




**საწვავის გარეშე.**

**როინ ნიკოლავას ფოტო.**

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიურო, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ პოეტ მედეა კახიძეს დედის

**თამარ კოლელიშვილი-კახიძის**

გარდაცვალების გამო.




## გამოიწერეთ გაზეთი „ლიტერატურული საქართველო" 1991 წლისათვის



მთავარი რედაქტორი **ელიზბარ ჯაველიძე.**

სარედაქციო კოლეგია: **თამაზ ბიბილური** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.**

პასუხისმგებელი მდივანი **გივი ჯოხაძე**

მორიგე რედაქტორი **მამუკა წიკლაური.**



**რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2**

**ტელეფონები:**

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65. 98-86-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით

ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა.